DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION

This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library (AWDL) hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library at New York University.

- Creator: Gamkrelidze, G. / გამყრელიძე, გ. / Гамкрелидзе, Г. А.
- Title: Historical and topoarchaeological researchs / ისტორიული ტოპოარქეოლოგიური ძიებანი / Историко-топоархеологиххеские разыскания
- Publication Date: 1993
- Publisher: Georgian National Academy of Sciences, GNM Archaeological Center
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_97b7fab6dc

## About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum and the Institute of Archaeology and Ethnography in the National Academy of Sciences of the Republic of Armenia. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

## Rights

The Georgian National Museum has granted permission to the Institute for the Study of the Ancient World of New York University to publish this material electronically in the Digital South Caucasus Collection (DSCC). We are making such material available on a noncommercial basis for research and educational purposes, in an effort to expand access to thinly-held and/or out-of-print material related to the study of the ancient world to the widest possible audience. If you wish to use copyrighted material from this site for purposes beyond those in accordance with fair use (Title 17 U.S.C. Section 107), you must obtain permission from The Georgian National Museum. We respect the intellectual property rights of others. If you believe that you own the copyright to the material made available on this site, please see our takedown policy: http://dcaa.hosting.nyu.edu/dscc/takedown-notice.

გელა გაჩეჩილიძე

# ისტორიულ-ტოპონიმოლოგიური ძიებანი



მეცნიერება

IVE
5088

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი

გელა გამყრელიძე

22843

# ისტორიულ-ტოპოარქეოლოგიური ძიებანი

თბილისი
„მეცნიერება“
1993

63.2 (2ქ)
ბ 198

ნაშრომში განხილულია ძველი კოლხეთის ისტორია-ტოპოარქეოლოგიის საკითხები. პირველ ნაწილში შეფასებულია ბიოგეოგარემოს როლი კოლხეთის ისტორიული განვითარების პროცესში. ამასთან დაკავშირებით, პირველად არის წარმოდგენილი ბიოგეოგარემოს და ისტორიული განვითარების საერთო მოდელის ჩვენეული სქემა. მეორე ნაწილში შესწავლილია საგარეო ფაქტორის მნიშვნელობა კოლხეთის ისტორიული განვითარების პროცესში.

ნაშრომი გათვალისწინებულია ისტორიკოსების, გეოგრაფების და სხვა მომიჯნავე დარგების სპეციალისტებისათვის.

რედაქტორი ისტ. მეცნ. დოქტორი თ. ბ ე რ ა ძ ე

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. კანდ. ვ. თ ო ლ ო რ დ ა ვ ა
ისტ. მეცნ. კანდ. ა. ნ უ ც უ ბ ი ძ ე

ბ $\frac{0502000000}{М\ 607\ (06)—93}$ ბრძ. № 131—93 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1993

ISBN 5—520—01483—3

*ვუძღვნი ბაბუის—ნიკოლოზ არჯევანიძის ხსოვნას, რომელიც 1937 წ. უსამართლობამ შეიწირა.*

## წინასიტყვაობა

ქართველთა მოდგმა დასაბამიდან სახლობს დღევანდელი საქართველოს მიწა-წყალზე. ამ მიწაზე, ამ ბიოგეოგარემოში საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა ქართველების ისტორიულ-კულტურული განვითარების ხანგრძლივი და თავისებური პროცესი.

ძველი საქართველოს ისტორიული განვითარების ჯაჭვში ერთ-ერთი მეტად საყურადღებო რგოლია დასავლეთ საქართველო (resp. გეოგრაფიული ცნება „კოლხეთი"). საქართველოს ამ ნაწილმა ფრიად რთული ისტორიული გზა განვლო. მისი ეკონომიკა და პოლიტიკური მდგომარეობა სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვანაირი იყო.

ნაშრომის პირველ ნაწილში განვიხილავთ ბიოგეოგარემოს როლს კოლხეთის ისტორიული განვითარების პროცესში. ბიოგეოგარემოს გამოწვლილვით შესწავლის გარეშე შეუძლებელია რომელიმე ქვეყნის ისტორიის აღდგენა. ამასთან დაკავშირებით, პირველად არის წარმოდგენილი ბიოგეოგარემოს და ისტორიული განვითარების საერთო მოდელის ჩვენეული სქემა. მოცემული საკითხი საერთოდ, და კონკრეტულად კოლხეთთან მიმართებაში, გარკვეულად გეოგრაფიული დეტერმინიზმის პოზიციიდანაა განხილული. აქამდე, ასეთი მიდგომა ზემოხსენებული საკითხისადმი (ბიოგეოგარემოს დეტერმინატორული მნიშვნელობა საზოგადოების განვითარებაში) მიუღებლად ითვლებოდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პირველ რიგში სწორედ ბიოგეოგარემომ ითამაშა წამყვანი როლი კოლხეთის საწარმოო ძალთა განვითარებაში, საზოგადოების იერარქიულად დაქვემდებარებულ სტრატიფიკაციებაში და სახელმწიფოებრიობის განვითარებაში. კოლხეთის ბიოგეოგარემოს ზედმიწევნით გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია მისი ისტორიის სრულად აღდგენა-წარმოდგენა.

ნაშრომის მეორე ნაწილში შესწავლილია საგარეო ფაქტორის მნიშვნელობა კოლხეთის ისტორიული განვითარების პროცესში. გეო-

პოლიტიკურად აზიისა და ევროპის საზღვარზე მდებარე კოლხეთი ორი დიდი პოლიტიკურ-ეკონომიკური ძალის (ერთი მხრივ ირანული და მეორე მხრივ ანტიკური ორიენტაციის ქვეყნების) მძლავრ ზეგავლენას განიცდიდა. საგარეო ფაქტორის მხრივ საყურადღებოა კოლხეთის ურთიერთობების შესწავლა საბერძნეთთან, იბერიასთან, პონტოსთან და რომთან. ამ ქვეყნებმა ძირითადი როლი ითამაშა კოლხეთის განვითარების კულტურულ-ისტორიულ პროცესში. ნაშრომის ამ ნაწილში ყურადღება გამახვილებულია ქართლი (იბერია)-კოლხეთის ურთიერთობის შესწავლაზე, რადგან მათ ადგილსა და საფუძველზე შემდგომში განვითარდა ერთიანი სახელმწიფო — საქართველო.

ბოლო წლებში საგრძნობლად გაფართოვდა საქართველოს ძველი ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზა (ახალი არქეოლოგიური, ეპიგრაფიკული, წერილობითი და ა. შ.). ჩვენსა და უცხოურ ისტორიოგრაფიაში გამოჩნდა ახალი ნაშრომები, მიძღვნილი საქართველოს მეზობელი ქვეყნების განვითარების კონკრეტული და თეორიული ასპექტებისადმი, რაც საშუალებას გვაძლევს კოლხეთში მიმდინარე პროცესებს ისტორიულ-შედარებითი განვითარების ჭრილში დავაკვირდეთ. უახლესი არქეოლოგიური მასალა და ზოგიერთი წერილობითი წყაროს ახლებური ინტერპრეტაცია დასავლეთ საქართველოს ისტორიული განვითარების რიგი საკითხების ახლებურად გააზრების საშუალებას იძლევა.

ბუნებრივია, სათაურში სიტყვა ტოპოარქეოლოგიამ მკითხველის ყურადღება მიიქცია. ტერმინ ტოპოარქეოლოგიაში (ტოპო ძველბერძნული სიტყვაა და აღნიშნავს ადგილს) ფიზიკური გეოგრაფიის, ისტორიული გეოგრაფიის, არქეოლოგიის, ტოპონიმიკის, ეთნოარქეოლოგიის, წერილობითი წყაროთმცოდნეობის სინთეზურ შესწავლას ვგულისხმობთ, კონკრეტულ ადგილთან, რეგიონთან, კულტურულ არეალთან, ქვეყანასთან მიმართებაში. მოცემულ შემთხვევაში კოლხეთის კულტურულ-ისტორიული და ეკონომიკური რეგიონი (ტოპო, ადგილი) იგულისხმება. გვეჩვენება, რომ ამ ტერმინით უფრო მოხერხებულად, მოკლედ და მარჯვედ აღინიშნება ზემოხსენებული დარგების ერთობა კონკრეტული რეგიონის მიმართ.

ძველი კოლხეთის ისტორია-ტოპოარქეოლოგიის საკითხები არაერთმა მეცნიერმა განიხილა. ამ ნაშრომებმა ფასდაუდებელი, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს ძველი ისტორიისა და კერძოდ კოლხეთის შესწავლის საქმეში. ხსენებული ნაშრომები დამოწმებულია ტექსტში შესაბამის საკითხებზე მსჯელობისას.

# ბიოგეოგარემო და ისტორიული განვითარების მოდელი (ძველი კოლხეთის მაგალითზე)

ბიოგეოგარემოს (resp. გეოგრაფიული გარემოს, გეოგრაფიული ფაქტორის) როლი საზოგადოების ისტორიული განვითარების პროცესში ფრიად განსაკუთრებულია. ბიოგეოგარემოზეა დამოკიდებული უმთავრესად სოციოგარემოს, საზოგადოების ისტორიული განვითარების, კონკრეტული რეგიონის, ერის, ქვეყნის მდგომარეობა.

ბიოგეოგარემოს გავლენა საზოგადოებაზე უკუპროპორციულია დროის მიმართ. რაც უფრო გადის დრო და იზრდება საზოგადოების ინტელექტუალურ-ტექნიკური დონე, მით უფრო მატულობს ადამიანის ზემოქმედება ბიოგეოგარემოზე, რასაც ზოგჯერ, ზოგიერთ რეგიონში გლობალურ ეკოლოგიურ კატასტროფამდეც კი მივყავართ (მაგ., არალის ზღვა, ჩერნობილი).

ბიოგეოგარემოს უპირველესი მნიშვნელობა ჰქონდა ამა თუ იმ ცივილიზაციის (მაგ., შუამდინარეთის, ნილოსის, ხუანხეს, განგის, მედიტერანულის, შუა ამერიკულის) ჩამოყალიბება-განვითარებასა და გავრცელებაში სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში.

ჩვენ ბიოგეოგარემოს და სოციოგარემოს განვიხილავთ ისტორიული განვითარების ერთობლიობაში, რითაც რამდენადმე ვიზიარებთ ფრანგი მეცნიერების გეოისტორიულ კონცეფციას („ანალების სკოლა").

სოციოგარემოს წარმოქმნა იწყება Homo sapiens-ის გაჩენით და მისი ბიოგეოგარემოსთან ურთიერთზემოქმედების ევოლუციით. სხვადასხვა საფეხურზე მყოფ სოციოგარემოებს შორის ინოვაციური ზემოქმედებები იწვევს საზოგადოებათა გარკვეულ პროგრესს. სოციოგარემოების დაწინაურებული ცივილიზაციების ცენტრებიდან ხდება კულტურის (სამეურნეო-საწარმოო, ინტელექტუალურ-ტექნიკური, სულიერ-კულტურული და სხვ.) დიფუზია.

ნიშანდობლივია, რომ სამყაროს წარმოშობის ბიბლიური მოდელის მიხედვით, ღმერთმა თავდაპირველად შექმნა ბიოგეოგარემო, ხოლო შემდეგ ადამიანი, სოციოგარემოს მოთავარი შემოქმედი. ამ მოდელში დაცულია შემდეგი თანამიმდევრობა. ღმერთმა ჯერ შექმნა ცა, მიწა, მცენარეული, მნათობები (მზე, მთვარე, ვარსკვლავები), თევზი, ფრინველი, პირუტყვი, ნადირი, ქვემძრომი და ბოლოს ადამიანი: „თავ-

დაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა“ (დაბადება, 1); „ხმელეთს ღმერთმა უწოდა მიწა და შეგროვილ წყალს უწოდა ზღვა“ (დაბადება, 10); „წარმოშვა მიწამ მცენარეული — ბალახი, თესლის მთესველი თავისი გვარისდა მიხედვით, და ხე, თესლოვანი ნაყოფის მომტანი, თავისი გვარისდა მიხედვით“ (დაბადება, 12); „გააჩინა ღმერთმა ორი მთავარი მნათობი, — დიდი მნათობი დღის განმგებლად და მცირე მნათობი ღამის განმგებლად — და ვარსკვლავები“ (დაბადება, 16); „შექმნა ღმერთმა დიდი თევზები და ყოველი სულდგმული, მცურავი თავ-თავისი გვარისდა მიხედვით, რაც კი წყალში ფუთფუთებს და ყველა ფრთოსანი თავ-თავისი გვარისდა მიხედვით“ (დაბადება, 21); „გააჩინა ღმერთმა ნადირი თავ-თავისი გვარისდა მიხედვით, საქონელი თავ-თავისი გვარისდა მიხედვით და ქვემძრომი თავ-თავისი გვარისდა მიხედვით“ (დაბადება, 25); „თქვა ღმერთმა: გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსებად. ეპატრონოს ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, პირუტყვს, მთელს დედამიწას და ყველა ქვემძრომს, რაც კი მიწაზე დახოხავს“ (დაბადება, 26).

ბიოგეოგარემოს განმსაზღვრელ როლზე საზოგადოების განვითარებაში თავდაპირველად ანტიკური ეპოქის მეცნიერ-მოაზროვნეებმა — ჰიპოკრატემ და არისტოტელემ — გაამახვილეს ყურადღება. მათი თვალთახედვით, ბიოგეოგარემოს კომპონენტებიდან მთავარი აქცენტი კლიმატზე იყო გადატანილი.

მეცნიერული მედიცინის ფუძემდებელი, ჰიპოკრატე, პირველი იყო, რომელმაც ბიოგეოგარემო, კერძოდ კლიმატი, მიიჩნია ადამიანების, ხალხების ფიზიოლოგიური და ფსიქიკური წყობის განმსაზღვრელ ფაქტორად. ეს მოსაზრება მან ჩამოაყალიბა ძვ. წ. 430—10 წწ-ში დაწერილ ტრაქტატში — „ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ“ (περὶ ἀέρων ὕδάτων τόπων). მასში ჰიპოკრატე ხალხებზე და მათ საცხოვრებელ გარემოზე უშუალო დაკვირვების შედეგებს გადმოგვცემს. ჰიპოკრატეს პირადი დაკვირვების შედეგად კარგად ჰქონდა შესწავლილი ხმელთაშუა და შავი ზღვის სანაპიროების მოსახლეობა. მაგალითად, შავი ზღვის აღმოსავლეთით მდებარე კოლხეთის შესახებ საკმაოდ ზუსტ აღწერილობას იძლევა, საიდანაც a priori უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ნამყოფია კოლხეთში, მდ. ფასისზე და თავისი თვალით უნახავს იქაურობა.

ჰიპოკრატე თავის ნაშრომში „ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ“ (თ. ყაუხჩიშვილი, 1965) გადმოგვცემს: „...აზია ძალიან ვანსხვავდება ევროპისაგან, როგორც ბუნებით, რაც აღმოცენდება დედამიწიდან, ასევე ხალხით“. „...აზიაში ყველაფერი ბევრად უფრო მოხდენილია და დიდია“. აქ ევროპაზე“... უფრო რბილი კლიმატია და ხალ-

ხსაც ზნე უფრო სათნო და მშვიდი აქვს. ამისი მიზეზია წლის დროების მონაცვლეობა...“ (12). „...აზიელები ევროპელებზე უფრო ნაკლებ მებრძოლები არიან და უფრო მშვიდი ხასიათი აქვთ. ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ წლის დროები დიდ ცვლილებას არ განიცდიან“. „...აზიელებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან — ზოგი უკეთესია, ზოგი უფრო ნაკლებად. ამის მიზეზებიც წლის დროების ცვალებადობაშია, როგორც უკვე აღვნიშნე ადრეც“ (16). „ისინი, ვინც ცხოვრობენ მთიან, მთაგორიან, მაღლობ და წყლიან ქვეყანაში, სადაც წლის დროები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, იქ ხალხი ჩვეულებრივ შესახედავად დიდია, მშრომელი და ვაჟკაცი...“ „ხოლო რომლებსაც უჭირავთ დაბლობები, ბალახით დაფარული და დახუთული, სადაც უფრო ცხელი ქარები ქრის, ვიდრე ცივი და წყალსაც თბილს ხმარობენ, ის ხალხი ვერ იქნება ტანადი და მოხდენილი. ისინი უფრო მსუქნები და შავგვრემანები არიან...“ (24). „ეს იმიტომ, რომ სადაც ცვლილებები (კლიმატური — გ. გ.) ხშირია და წლის დროები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, იქ შეხვდები (ადამიანთა — გ. გ.) დიდად განსხვავებულ შესახედაობას, ხასიათს და ბუნებას“. „მეტწილად ქვეყნის ბუნებას მიჰყვება (ჰგავს — გ. გ.) ხალხის შესახედაობა და ზნე-ხასიათი“. „რაც დედამიწისაგან წარმოიშვება, მისდევს იმას, როგორიც არის თვითონ ეს მიწა“ (24).

საყურადღებოა ჰიპოკრატეს მიერ დასავლეთ საქართველოს, კოლხეთის შუაგულის, ჰდინარე ფასისის (რიონის) ქვემო წელის აღწერა: „ეს ქვეყანა ჭაობიანია, თბილი, წყლიანი და ტყიანი. მთელი წლის განმავლობაში იქ ხშირი და ძლიერი წვიმები იცის“. „წყლებისაგან ამ ქვეყანაში დიდი ნისლი დგას. ამ მიზეზების ვაძოა, რომ ფასისელებს სხვა ხალხთან შედარებით ძალიან განსხვავებული გარეგნობა აქვთ“ (15).

ჰიპოკრატეს ნაწარმოებებს იცნობდნენ და მის მოსაზრებებს გარკვეულად იზიარებდნენ პლატონი, არისტოტელე, ქსენოფონტე, პოლიბიოსი, სტრაბონი, პტოლემაიოსი, პომპონიუს მელა და ანტიკური ეპოქის სხვა ცნობილი ავტორები.

დიდმა ბერძენმა მოაზროვნემ, არისტოტელემ, შრომაში სახელმწიფოს შესახებ — **πολιτεία** (V—VI წიგ.) განავრცო ჰიპოკრატეს მოსაზრებები ბიოგეოგარემოს, კერძოდ, კლიმატის გავლენის შესახებ ხალხის, საზოგადოების განვითარებაში. მან ეს ფაქტორი დაუკავშირა საზოგადოების მმართველობის ფორმებს. ის აღნიშნავდა, რომ დაბლობი, ტრამალი ქვეყნებისათვის დამახასიათებელია მონარქია და ოლიგარქია, ხოლო მთაგორიანისათვის — დემოკრატია. ამით არისტოტელემ ბიოგეოგარემოდან, კლიმატის გარდა, ლანდშაფტსაც მიაკუთვნა გარკვეული მნიშვნელობა, რომელთა შორის განსხვავებაც, მისი აზრით, ქმნის მმართველობის შესაბამის საზოგადოებრივ წყობებს.

არისტოტელე, ისევე როგორც ჰიპოკრატე, თვლის, რომ ჩრდილო ევროპის ცივი ქვეყნების ხალხები მამაცი და მედგარი, მაგრამ ნაკლებ საზრიანი არიან. ამიტომ ისინი პოლიტიკურად უმწიფრები, ხოლო აზიის ცხელი ქვეყნების ხალხები საზრიანები, ოღონდ ნაკლებ მამაცები არიან; ამიტომაც ხშირად კარგავენ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. ცივი და ცხელი ქვეყნების მოსახლეობის კარგი თვისებები თავს იყრის თბილ, ზომიერ ქვეყნებში, კერძოდ, მაგ., საბერძნეთში. ამის გამო ელინები საზრიანი, ლაღი და მამაცნი არიან. ისინი პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურობენ და ძალაც შესწევთ, რომ დაიმორჩილონ სხვა ხალხები.

ანტიკური ეპოქის შემდეგ, შუა საუკუნეებში ბიოგეოგარემოს ფაქტორი ხალხების განვითარებაში წინ წამოიწია და ჰიპოკრატეს მოსაზრებები ამის შესახებ ააღორძინა და განავითარა არაბმა მეცნიერ-მოაზროვნემ, 1332 წელს ქალაქ ტუნისში დაბადებულმა იბნ ქალდუნმა (გარდაიცვალა 1406 წ.), 1375—78 წწ-ში დაწერილ შრომაში „შესავალი". იბნ ქალდუნმა მისთვის ცნობილი ქვეყნიერება კლიმატური პირობების მიხედვით შვიდ სარტყლად დაჰყო. მისი აზრით, პირველი და მეორე კლიმატური სარტყელი ძალიან ცივია, ხოლო მეექვსე და მეშვიდე — ცხელი; მესამე, მეოთხე და მეხუთე კლიმატური სარტყელი კი ზომიერი ჰავით ხასიათდება. ამ სარტყელებში განლაგებულია ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები. ამათგან განსაკუთრებით კარგ, ზომიერ კლიმატიან ქვეყნებად მიაჩნია სირია და ერაყი. მას სწორედ ამგვარი კლიმატიანი სარტყელის ხალხები მიაჩნია მაღალცივილიზებული ქვეყნების შემქმნელებად. იბნ ქალდუნი თვლის, რომ ამ სარტყლების ქვეყნების მცხოვრებლები ერთნაირი ფიზიონომიურ-ფსიქიკური წყობის არიან — აღნაგობა, კანის ფერი, ზნე-ხასიათი და სხვ.

მკვეთრად ცივი და ცხელი კლიმატიანი სარტყელების ქვეყნების ხალხები დაბალი საზოგადოებრივი განვითარებით გამოირჩევიან. ამ განუვითარებლობის მიზეზებად, კლიმატის გარდა, ბიოგეოგარემოდან იბნ ქალდუნი ასახელებს ნიადაგს, მადნეულს, ფაუნას (მეცხოველეობა), ფლორას (საკვები — გასტროკალორიული ფაქტორი). იგი აღნიშნავს, რომ გარკვეული საკვები მავნედ მოქმედებს, რის გამოც ადამიანებს გონება ებინდებათ და ხასიათი ზედმეტად ემოციური, გაუწონასწორებელი უხდებათ.

ანტიკურ ეპოქაში წარმოქმნილი გეოგრაფიული დეტერმინიზმის იდეა გაიზიარა ფრანგმა იურისტ-პოლიტოლოგმა ჟან ბოდენმა 1576 წელს გამოცემულ ნაშრომში — „Les six livres de la Republique" („ექვსი წიგნი რესპუბლიკის შესახებ").

იბნ ქალდუნივით, ჟან ბოდენმაც ქვეყნიერება კლიმატურ სარტყლებად დაყო. მან დედამიწა დაანაწილა სამ სარტყელად: ცივკლი-

მატიანი პოლარული ნაწილები, ცხელკლიმატიანი ეკვატორული სარტყელი და მათ შორის მდებარე ზომიერკლიმატიანი არე. ამ უკანასკნელში მცხოვრები ხალხები გამოირჩევიან გაწონასწორებული ხასიათით და ფიზიკური მონაცემებიც ზომიერად აქვთ. აქ განლაგებულმა ხალხებმა შექმნეს სამართლიანი სახელმწიფოებრივი წყობები და შეიმუშავეს პროგრესული კანონები. ცივკლიმატიანი სარტყლის მოსახლეობა ფიზიკურად ძლიერია და გამოირჩევა სიმამაცით. ამიტომ, ისინი ხშირად აწარმოებენ ომებს თბილი კლიმატის ქვეყნების დასამორჩილებლად. თბილი და ცხელი კლიმატის ქვეყნების მოსახლეობა ფიზიკური მონაცემებით შედარებით სუსტია ხოლო საზრიანობით უფრო მაღალ დონეზე დგას.

ბოდენის აზრით, ქვეყნების მმართველობის ფორმები დაკავშირებულია ბიოგეოგარემოზე. მაგალითად, ზომიერი კლიმატის სარტყლებში იქმნება იმპერიები.

გეოგრაფიული დეტერმინიზმის უდიდესი წარმომადგენელია ფრანგი ფილოსოფოსი და ისტორიკოს-სოციოლოგი შარლ ლუი მონტესკიე, რომელმაც წინამორბედთა მოსაზრებები ბიოგეოგარემოს დეტერმინატორული როლის შესახებ განავითარა და მწყობრ სისტემაში ჩამოაყალიბა. მან თავისი იდეები წარმოადგინა ჟენევაში 1748 წელს დასტამბულ ნაშრომში „De l'esprit des lois" („სული კანონთა"). აქედან ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა მეთოთხმეტე წიგნი, რომელიც 15 თავისაგან შედგება.

მონტესკიეს მიხედვით, ადამიანის და ბიოგეოგარემოს ურთიერთზემოქმედებაში მთავარია კლიმატი, რომელიც ძირითადად განსაზღვრავს პოლიტიკური მმართველობის ფორმებს. „კლიმატის" გაგებაში მონტესკიე ზოგჯერ დებს უფრო ფართო მნიშვნელობას, კერძოდ, ბიოგეოგარემოს სხვა კომპონენტებსაც. ეს გარემო ახდენს ადამიანის ბიოფიზიოლოგიურ და ფსიქიკურ ცვლილებას, რომელიც, თავის მხრივ, შესაბამის კანონქმედებას განაპირობებს.

მონტესკიეს მიხედვით, კლიმატის გავლენა დიდია ადამიანის ფიზიონომიურ-ფსიქიკურ მდგომარეობაზე. სიცივე ადამიანის სხეულის ზედაპირის შეკუმშვას იწვევს, ხოლო სიცხე — პირიქით, გაფართოებას. ცივ კლიმატში ადამიანი უფრო ძლიერი და მამაცი ხდება, რაც მოქმედებს მის ზნესა და ქცევის წესზე. ცხელი კლიმატის ადამიანი უფრო სუსტი, დუნეა და მოშიში. ცივიდან ცხელ ქვეყანაში მოხვედრისას შესაბამისად იცვლება ადამიანის ფიზიონომიურ-ფსიქიკური მდგომარეობა. მაგალითად, მონტესკიეს აზრით, ერთი და იგივე საოპერო დადგმა სავსებით განსხვავებულ რეაქციას იწვევს იტალიელებსა და ინგლისელებში, რაც მათი განსხვავებული კლიმატით განპირობებული ტემპერამენტით არის გამოწვეული. კლიმატი ასევე გავლენას

ახდენს სქესობრივ ცხოვრებაზე, ანდა ტკივილის აღქმაზე. ცივი ქვეყნების ადამიანები ტკივილისადმი ნაკლებ მგრძნობიარენი არიან, ხოლო ცხელი ქვეყნების ადამიანები პირიქით. კლიმატითვეა განპირობებული სხვადასხვა ავადმყოფობები.

მონტესკიეს მიხედვით, ახალშობილთა შორის ქალ-ვაჟთა თანაფარდობა კლიმატზეა დამოკიდებული. კლიმატივეა მთავარი მონოგამიური ან პოლიგამიური ოჯახის ფორმირებაში.

მონტესკიეს აზრით, ცივკლიმატიანი ქვეყნების დაპყრობა და მართვა გაცილებით ძნელია. რთული რელიეფის, მთაგორიანი ტერიტორიებისათვის დამახასიათებელია შედარებით პატარა სახელმწიფოები. ამგვარ ადგილებში დამპყრობლებს მთების და მდინარეების გადალახვა უჭირთ, რაც ადგილობრივი მოსახლეობისათვის თავისუფლების მეტ შესაძლებლობას ქმნის. ქვეყანაში, სადაც ნიადაგი ნაყოფიერია და ხალხი მისდევს მიწათმოქმედებას, პოლიტიკური სიტუაცია უფრო სტაბილურია, ხოლო სადაც მწირი ნიადაგია, იქ ხალხს ბრძოლა უწევს გამოკვებისათვის და უფრო მებრძოლი, აგრესიული სულით გამოირჩევა. მთაგორიანი ქვეყნის ხალხები დემოკრატიის მომხრეები არიან, ხოლო ბარ-ტრამალების მცხოვრებლები უფრო არისტოკრატიული მმართველობის.

მონტესკიეს მიხედვით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება გარკვეულ ტერიტორიულ სივრცეს, რასაც უკავშირდება აქ დამყარებული სახელმწიფო წეს-წყობილება. მაგალითად, ქვეყნის პატარა ტერიტორია მოითხოვს რესპუბლიკურ წყობას, საშუალო — მონარქიულ წყობას, ხოლო დიდი სივრცე — დესპოტიას. მათი ტერიტორიის ცვალებადობა (გაფართოება ან შემცირება) იწვევს ქვეყნის სახელმწიფო წყობილების ცვლას. იდეალური სახელმწიფო არის საშუალო ზომის (მაგ., საფრანგეთი, ესპანეთი), ხოლო ძალზე დიდი ფართობის სახელმწიფოები, რთული კომუნიკაციების გამო, სამართავად მოუხერხებელია. მონტესკიე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქვეყნის მდებარეობას. ის თვლის, რომ ქვეყანა მატერიკზეა თუ კუნძულზე, ამის მიხედვით არის სახელმწიფო წყობილებაც. კუნძულის მაცხოვრებლები უფრო მეტად თავისუფლების მოყვარენი არიან, ვიდრე მატერიკზე მყოფნი, რადგან ისინი კონტინენტებიდან შორს არიან და ზღვებით არიან გარემოცულნი. ამიტომ მათი დაპყრობა ძნელია.

მონტესკიე, მართალია, არ უარყოფს გეოგრაფიულის გარდა საზოგადოების განვითარებაში სხვა ფაქტორებსაც, მაგრამ ამ იერარქიაში მისთვის კლიმატი მაინც პირველ ადგილზეა: „კლიმატი, რელიგია, კანონები, მმართველობის პრინციპი, წარსულის მაგალითები, წეს-ჩვეულებები; ყველაფერი ამისაგან წარმოიშვება ხალხის საერთო სულიერი წყობა“ (XIX წ. 4 თ.).

საყურადღებოა, რომ დავით ბაგრატიონმა ჯერ კიდევ 1815 წელს ქართულად თარგმნა მონტესკიეს ნაშრომი — „სული კანონთა". ქართულ თარგმანში ბაგრატიონმა მას უწოდა „გულისხმის ყოფისათვის სჯულთასა". თარგმანს ახლავს კომენტარები, სადაც მონტესკიეს ზოგიერთი აზრი კლიმატის მნიშვნელობის შესახებ გაკრიტიკებულია. ჩანს, ქართველი მეცნიერებისათვის უკვე XIX საუკუნეში იყო ცნობილი გეოგრაფიული დეტერმინიზმის იდეები.

ბიოგეოგარემოს როლს საზოგადოების განვითარების პროცესში იაზრებს და ითვალისწინებს ფრანგი ფილოსოფოსი, პარიზში 1863 წ. გამოქვეყნებული წიგნის „Histoire generale de la philosophie" ავტორი, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი ვიქტორ ქუზენი (1792—1867). იგი გადმოგვცემს: „...მომეცით მე ქვეყნის რუკა, მისი კონფიგურაციის, კლიმატის, წყლების და სხვა მთელი ფიზიკურ გეოგრაფიული მონაცემები; მომეცით ბუნების პროდუქტები, მისი ფლორა და მე გეტყვით a priori თუ როგორი იქნება ხალხი ამ ქვეყანაში და რა როლს ითამაშებს ეს ქვეყანა ისტორიაში..."

გეოგრაფიული დეტერმინიზმის მომხრე იყო და საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორს გეოგრაფ კარლ რიტერს (1779—1859), რომლის კალამსაც ეკუთვნის ფუნდამენტური 19 ტომიანი ნაშრომი „დედამიწისმცოდნეობა" (Erdkunde) სადაც იგი ამტკიცებდა, რომ ბიოგეოგარემოს განმსაზღვრელი ადგილი უჭირავს ხალხების ცხოვრებაში. რიტერის მიხედვით, ხალხების განვითარება მიდიოდა გარემოს მიერ განსაზღვრული გზით. ამ გზაზე თითოეული რეგიონის განვითარების პროცესს თავისი კონკრეტული ადგილი ჰქონდა. შედარებითი მეთოდის გამოყენებით და მათი კლასიფიკაციით იგი ხსნიდა სხვადასხვა რეგიონის განვითარების გზებს.

გეოგრაფიული დეტერმინიზმის იდეების თვალსაჩინო განმავითარებელი იყო ინგლისელი ისტორიკოს-სოციოლოგი ჰენრი თომას ბოკლი, რომელმაც 1857—60 წწ. გამოაქვეყნა ორტომიანი ნაშრომი „ისტორია ცივილიზაციისა ინგლისში" (History of civilization in England).

ბოკლის აზრით, ისტორია ისევე კანონზომიერად ვითარდება, როგორც ბიოგეოგარემო. საჭიროა ისტორიის და საბუნებისმეტყველო მეცნიერების დაახლოება ერთმანეთთან ისე, რომ სიზუსტის მიხედვით ორივენი ერთ დონეზე დადგნენ. ისტორიაში რაც შემთხვევითობად გვეჩვენება, სინამდვილეში ყველაფერი ბუნების კანონზომიერებას ექვემდებარება. ადამიანის მოქმედება ყოველთვის მოტივირებულია და

სათანადო მიზეზები გააჩნია. თუ ამ მიზეზებს გავარკვევთ, მაშინ ისტორიული პროცესების პროგნოზირებას შევძლებთ.

ბოკლს მაჩნია, რომ ისტორიული განვითარების პროცესი გარემოსა და ადამიანის ურთიერთზემოქმედების სარბიელია: „...გვაქვს ბუნება, რომელიც მოქმედებს ადამიანზე და თავის მხრივ ადამიანიც მოქმედებს ბუნებაზე. ამ ურთიერთზემოქმედებიდან აღმოცენდება ყველაფერი, რაც ხდება“. ბოკლმა პირველმა განიხილა ბიოგეოგარემოსა და ადამიანს შორის ურთიერთმიმართების საკითხები. გარემოს ადამიანზე ზეგავლენასთან ერთად, მან განიხილა ადამიანის ზეგავლენა ბიოგეოგარემოზე. ბოკლი მიუთითებს, თუ რა ბიოგეოფაქტორები ახდენენ საზოგადოებაზე გავლენას — კლიმატი, ნიადაგი, საკვები. მისი მოსაზრებით, ისინი ერთობლივად მოქმედებენ და ძირითადად განსაზღვრავენ საზოგადოების ისტორიულ განვითარებას. ბოკლის განსაზღვრებით, კლიმატი ფართო გაგებით ნიშნავს მთელ ფიზიკურ გეოგრაფიას, ხოლო ვიწროთი — ფიზიკურ გეოგრაფიული გარემოს ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტს.

ბოკლის მიხედვით, საზოგადოებაში მთავარია მატერიალური დაგროვება, რაც განისაზღვრება სამი ფაქტორით — კლიმატი, ნიადაგი და საკვები. ამას შემდგომში ემატება ინტელექტის განვითარება. იქ, სადაც ინტელექტუალური ცოდნა-გამოცდილება არ გააჩნიათ, შრომის ეფექტიანობას საზღვრავს მხოლოდ ადამიანის ფიზიკური ძალა და ნიადაგის ნაყოფიერება. ნიადაგის მოსავლიანობა შესაძლოა ბუნებისაგან ნაბოძები და ადამიანის გარჯის შედეგიც იყოს. ცივ ან ცხელ კლიმატიან ქვეყნებში მიწათმოქმედნი დიდი ხნით არიან სამიწათმოქმედო საქმიანობას მოწყვეტილნი, ამიტომ მატერიალური დოვლათის შექმნა პირველ საფეხურზე დაკავშირებულია ზომიერ კლიმატზე და ნოყიერ ნიადაგზე. ამაზევეა დამოკიდებული საკვების მოპოვება, რომელიც, თავის მხრივ, დემოგრაფიულ მდგომარეობას აპირობებს. ბოკლი საწარმოო პროცესში დემოგრაფიულ ფაქტორს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ის ამ ფაქტორს ბიოგეოგარემოზე დამოკიდებულად მიიჩნევს. იქ, სადაც კარგი, ნოყიერი ნიადაგი და ზომიერი კლიმატია, საკვები ბევრია და იაფი, მოსახლეობა სწრაფად მრავლდება. ბოკლის მიხედვით, კვების პროდუქტების ორი ჯგუფი არსებობს. აქედან პირველი ათბობს, ხოლო მეორე აღადგენს დახარჯულ ენერგიას. ორივე განპირობებულია კლიმატით. კლიმატითვე განისაზღვრება კვებაზე მოთხოვნილება. ცხელ კლიმატში კვებაზე მოთხოვნილება ნაკლებია, ხოლო ცივ კლიმატში — მეტი. ცივ ქვეყანაში საკვების მოპოვება უფრო მეტ შრომას მოითხოვს, ხოლო ცხელში — ნაკლებს. ეს შრომის შედეგის სიძვირეს იწვევს. ცხელ კლიმატში მოსახლეობა უფრო მრავლდება, ვიდრე ცივში.

ბიოგეოგარემოს და ადამიანის ურთიერთზემოქმედებაში წონასწორობის დარღვევას ბოკლი არა მხოლოდ არახელსაყრელკლიმატიან და ნიადაგიან ქვეყანაში ხედავს, სადაც კვების პროდუქტები ცოტაა, არამედ იქაც, სადაც ბუნება ძალიან უხვია. ეს უკანასკნელი კი ადამიანის ქმედების გარკვეულ ინერტულობას იწვევს. ადამიანს აღარ სჭირდება საკვების მოპოვებისათვის დიდი გარჯა.

ბოკლის აზრით, ძირითადად კლიმატი, ნიადაგი და საკვები მოქმედებს მატერიალური დოვლათის შექმნისას, ხოლო ლანდშაფტი, გარეგნული ხედი ხალხის ფსიქიკაზე, წარმოსახვის ფანტაზიაზე, სულიერ მდგომარეობაზე, ხელოვნებაზე, რელიგიაზე, ლიტერატურაზე მოქმედებს. ერთ შემთხვევაში, როცა გარემო მახინჯია, ბუნებრივია, იქმნება საშინელებათა წარმოსახვა, ხოლო როცა გარემო სახიერია, მაშინ ადამიანის გონება წარიმართება ბუნების კანონების შემეცნების გზით ბიოგეოგარემოს დამორჩილებისაკენ.

ბოკლი მიიჩნევს, რომ ცივილიზაციების განვითარება დაკავშირებულია როგორც ბიოგეოგარემოს მდგომარეობაზე, ასევე ხალხზე, მათი განვითარების დონეზე, მათ ინტელექტსა და გამოცდილებაზე, რათა შემოქმედებითად გაითავისოს გარემოს მიერ შემოთავაზებული შესაძლებლობანი. აქედან გამომდინარე, კლიმატი, ნიადაგი, საკვები, ლანდშაფტი და ინტელექტი განაპირობებს ცივილიზაციების განვითარებას და სტაგნაციას. საზოგადოებაში რამდენადაც დარეგულირებულია მოპოვება-დაგროვების და განაწილების ფორმები, იმდენად მაღალია ცივილიზაციის დონე.

აღსანიშნავია, რომ გეოგრაფიულ დეტერმინისტული იდეების გარდა, ბოკლი არ გამორიცხავდა საზოგადოების ისტორიაში სხვა ფაქტორებსაც, ოღონდ მათ უფრო მოკრძალებულ როლს აკუთვნებდა.

გეოგრაფიზმის საყურადღებო და ორიგინალური განმგრძობი იყო რუმინული წარმომავლობის რუსი გეოგრაფ-სოციოლოგი ლევ მეჩნიკოვი (1838—1888), რომელიც მეცნიერულ მოღვაწეობას ძირითადად დასავლეთ ევროპაში ეწეოდა; გარდაიცვალა შვეიცარიაში. მეჩნიკოვის ჩვენთვის საყურადღებო ძირითადი ნაშრომი პირველად დაისტამბა 1889 წელს ფრანგულ ენაზე, ხოლო 1899 წელს რუსულად — „Цивилизация и великие исторические реки“ („ცივილიზაცია და დიდი ისტორიული მდინარეები“).

მეჩნიკოვის მიხედვით: „...ცივილიზაციათა ჩასახვა-განვითარების მთავარი მიზეზია მდინარე: ყველა ქვეყანაში მდინარე თითქოსდა ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების (კლიმატი, ნიადაგი, რელიეფი, ლანდშაფტი და გეოლოგიური აგებულება) სინთეზია“. აქედან ჩანს, რომ ბიოგეოგარემოს მრავალ ფორმათაგან მეჩნიკოვისათვის აბსოლუ-

ტურ მნიშვნელობას იღებს წყალი — ჰიდროსფერო. მისი აზრით, დედამიწის ჰიდროსფერო ცივილიზაციათა განვითარების ძირითადი განმსაზღვრელია.

მეჩნიკოვი თავის მონოგრაფიაში ეხება და თავისებურად იაზრებს ისტორიის, სოციოლოგიის, ფილოსოფიის, გეოგრაფიის კარდინალურ საკითხებს. ესენია — ცივილიზაციების წარმოშობის განმსაზღვრელი ფაქტორები; ცივილიზაციების განვითარება და მათი როლი საერთო ისტორიულ პროცესში; ისტორიული განვითარების მთავარი მიმართულებები; ისტორიაში საზოგადოების სოციალური პროგრესის კრიტერიუმები. იმის მიუხედავად, რომ მეჩნიკოვი გეოგრაფიზმის მომხრეა საზოგადოებრივი განვითარების ახსნაში, მან აქ დაუმატა ეკონომიკური და ინტელექტუალურ-ტექნიკური პროგრესის ფაქტორიც.

მეჩნიკოვი გადმოგვცემს: „...მინდა შევისწავლო შინაგანი ურთიერთობა სხვადასხვა ისტორიულ განვითარებასა და ყველა ცივილიზებულ ხალხთა საერთო სამდინარო და გეოგრაფიული გარემოს შორის, სადაც სახლობდნენ და ევოლუციას განიცდიდნენ ეს ხალხები“.

მეჩნიკოვის მოსაზრებით, დედამიწაზე ცივილიზაციის განვითარებაში უპირველესი როლი შეასრულა ჰიდროსფერომ — მდინარეებმა, ზღვებმა, ოკეანეებმა. მას მიაჩნია, რომ ჰიდროსფეროს მიხედვით, მსოფლიო ისტორიამ განვითარების სამი ძირითადი ეტაპი განვლო. პირველია სამდინარო ეპოქა, როცა ცივილიზაციები ჩაისახა მდინარეთა ნაპირებზე, კერძოდ, მდინარეების — ტიგროს-ევფრატის, ნილოსის, განგის, ინდის, ხუანხეს, იანძის ხეობებში. მეორე ეტაპია საზღვაო ეპოქა. ამ ეპოქაში ცივილაზაციებმა მდინარეთა ნაპირიდან ზღვის სანაპიროებისაკენ გადაინაცვლა, მაგალითად, ხმელთაშუა ზღვის და შავი ზღვის ცივილიზაციები. მესამე ეტაპი ზოგადად იწყება 1492 წ. ამერიკის კონტინენტის აღმოჩენით. ამ ეტაპს საოკეანო ეპოქა უწოდა, რასაც მოჰყვა ცივილიზაციის გადანაცვლება შიდა ზღვებიდან ოკეანეთა სანაპიროებზე. საოკეანო ეპოქაში შიდა ზღვების ცენტრების (გენუა, ვენეცია, კონსტანტინეპოლი, ათენი, მარსელი და სხვ.) ადგილი საოკეანო ცენტრებმა დაიკავა — ლონდონი, ლისაბონი, ამსტერდამი, ნიუ-იორკი და სხვ. კაცობრიობის ისტორიაში საოკეანო ეპოქა ბოლოა.

მეჩნიკოვი კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების ძირითად საერთო ნიშნად თვლის ჰიდროსფეროს — წყალს. მისი აზრით, წყალი ცივილიზაციების განვითარების ძირითადი განმსაზღვრელია. ჩვენ გარკვეულად ვიზიარებთ ლ. მეჩნიკოვის კონცეფციას სამდინარო ცივილიზაციების შესახებ (იხ. Гамкрелидзе, 1992).

გეოგრაფიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელია გეოპოლიტიკის, როგორც მეცნიერების საფუძვლის ჩამყრელი, გერმანელი მეცნიერი ფრიდრიხ რათცელი (1844—1904). მის კალამს ეკუთვნის შემდგომში

ერთობ გახმაურებული და საყურადღებო ნაშრომები — „პოლიტიკური გეოგრაფია“ (Politische geographie), „ანთროპოგეოგრაფია“ (Anthropogeographie) ორი ტომი, „სივრცე და დრო გეოგრაფიაში და გეოლოგიაში“ (Raum und zeit in Geographie und Geologie) და სხვ.

რათცელი დედამიწის ისტორიას ყოფს ორ ძირითად მონაკვეთად — ადამიანამდელ და ადამიანის ეპოქად; დედამიწისას შეერწყა ადამიანის ისტორია. რამდენადაც იცვლება დედამიწის გარემო, იმდენად იცვლება ადამიანიც. რათცელი შეისწავლიდა ბიოგეოგარემოს და ადამიანის ურთიერთმიმართება-ზემოქმედების საკითხებს. ის ეყრდნობოდა ბიოგეოგრაფიას და აქედან მიისწრაფოდა ანთროპოგეოგრაფიის, გეოპოლიტიკის და შედარებითი გეოგრაფიის ამოცანების განხილვისაკენ. რათცელის აზრით, ბიოგეოგრაფია დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობა-გავრცელებას შეისწავლის, რომელიც, თავის მხრივ, იყოფა სამად — ფლორის, ფაუნის და ადამიანის გეოგრაფიად.

ანთროპოგეოგრაფიის მთავარ ამოცანად რათცელი მიიჩნევს გარემოს გავლენის ხარისხის დადგენას ადამიანზე, ხალხზე, კერძოდ, მათ ფიზიოლოგიაზე და ფსიქიკაზე. რათცელის მიხედვით, ადამიანი, ხალხი, ქვეყნები უნდა განვიხილოთ, როგორც ბიოორგანიზმები განვითარებად პროცესში. ბიოორგანიზმის მსგავსად, გარემოს ზემოქმედებას განიცდის ხალხი და ქვეყანა. წიგნში „კაცობრიობა, როგორც სიცოცხლის მოვლენა ქვეყნიერებაზე“ აღნიშნავს: „...კლიმატური ცვალებადობა დიდ გავლენას ახდენს მთელ დედამიწაზე და ყოველივე ერთეულზე. აქედან იწყება ყოველთვის ისტორიული კვლევა“. აქედან, ერთნაირი კლიმატის ქვეყნებში ერთნაირი კულტურა ვითარდება. ხალხებსა და ქვეყნებს შორის ისტორიულ-კულტურულ განსხვავებას აპირობებს კლიმატი, რელიეფი, ნიადაგი, ხსენებული ფაქტორები „.. ზემოქმედებს ადამიანზე; პირველ რიგში ის უშუალოდ განსაზღვრავს ცალკეული პიროვნების, ხალხის ქცევას მოცემული სარტყლის მცხოვრებლებზე. ეს ჩანს მათ ფიზიკურ მდგომარეობაში, მათ ფსიქიკაში და ჩვევებში“. „ეს ზემოქმედებები თავს იყრის პოლიტიკურ გეოგრაფიული ხასიათის შედეგებში, რომლებიც ძირითადად სახელმწიფოთა ზრდას, ხანგრძლიობასა და ძლიერებაში აისახება“.

რათცელის მიხედვით, ძლიერი ხალხები, ქვეყნები იმ მხარეს ფართოვდებიან ტერიტორიულად, სადაც ნაკლებ წინააღმდეგობას უწევენ. ამის მაგალითად მოჰყავს რუსეთი, რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გაფართოვდა. მისი აზრით, ეს ტერიტორიული გაფართოებები ისტორიული განვითარების ძირითადი მიზანია. ქვეყნის ტერიტორია შეიძლება გაფართოვდეს სხვა ქვეყნების დაპყრობის გზით ან ახალი, თავისუფალი ტერიტორიების ათვისებით. ეს გაფართოებები

და ზრდა, რათცელის აზრით, ექვემდებარება გარკვეულ კანონებს. ყველაზე მეტად ქვეყნის ტერიტორიის გაფართოება-ზრდის ტენდენციებს აკავებს საზღვარი. ამ მხრივ ყველაზე უფრო მყარია გეოგრაფიულ-ბუნებრივი საზღვარი. ამა თუ იმ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა და ფართობი ძირითადია მეზობელ ქვეყანათა ურთიერთდამოკიდებულებაში. ძლიერი მეზობელი ქვეყანა ნიშნავს მისგან აგრესიას, ხოლო სუსტი — საკუთარი ტერიტორიების გაფართოების შანსს იძლევა.

რათცელი ძირითად გეოგრაფიულ ფაქტორად მიიჩნევს ქვეყნის ტერიტორიულ განლაგებას, ფართობს და მოსახლეობის რაოდენობას. მისი აზრით, ქვეყნის ტერიტორიული გაფართოების სურვილი ბუნებრივია და ეს ზრდა ხალხის სულიერ ზრდას და ინტელექტუალური აზროვნების განვითარებასაც ნიშნავს. რათცელს სახელმწიფოს გაფართოებისაკენ სწრაფვა უმაღლესი კულტურის ნიშნად მიაჩნია.

რათცელი გადმოგვცემს, რომ ისტორიულ კვლევა-ძიებაში გათვალისწინებული უნდა იყოს კლიმატი, ნიადაგი, რელიეფი, რადგან მათ წამყვანი ადგილი უჭირავთ ისტორიის განვითარების მამოძრავებელ ფაქტორთა შორის. მაგალითად, ისტორიული მოვლენები ზოგჯერ განისაზღვრება ამინდით — ეილაუსთან ნაპოლეონმა ბრძოლა წააგო იმიტომ, რომ უეცრად ამოვარდა ქარიშხალი. ფილიპე II-ის საზღვაო არმადის ქარიშხლის გამო გაფანტვამ დიდი გავლენა მოახდინა ევროპის მთელ შემდგომ ისტორიაზე.

რათცელის მიხედვით, ერთნაირი კლიმატი ქვეყნების პოლიტიკური დამაკავშირებელია, ხოლო განსხვავებული კი, პირიქით. მისი აზრით, ზღვაოსნობა პროგრესის ერთ-ერთი ძირითადი მამოძრავებელი ძალა იყო. კომუნიკაციების თვალსაზრისით, ზღვა ხმელეთზე უფრო მნიშვნელოვანია. რათცელს მიაჩნია, რომ მთაგორიანი რელიეფი ექსპანსიის შემზღუდველია, ხოლო სწორი რელიეფი ხელს უწყობს ტერიტორიულ გაფართოებას. მთაგორიან რელიეფზე მცხოვრები ხალხი თავისუფლებისმოყვარეა, ხოლო ბარის მცხოვრებნი უფრო მორჩილნი არიან. ამის მაგალითად მოჰყავს კავკასია, სადაც რუსეთის ტერიტორიული ექსპანსია თავის დროზე სერიოზულ წინააღმდეგობებს წააწყდა.

რათცელმა სახელმწიფო განიხილა, როგორც ბიოლოგიური ორგანიზმი, რომელიც გარკვეულ ტერიტორიას და მოსახლეობას მოიცავს. მან სახელმწიფოს განვითარების ჩვეულებრივ ტენდენციად შესაძლებლობის ფარგლებში ბუნებრივი გარემოდან გამომდინარე ტერიტორიის გაფართოება მიიჩნია.

რათცელის თეორიები სახელმწიფოს განვითარების და ტერიტორიული გაფართოების შესახებ განავრცეს გეოპოლიტიკოსებმა — ალ.

მეჰენმა, კ. ჰაუმსჰოფერმა, რ. ჩელენმა, ო. მაულიმ, ე. ობსტმა, ე. ჰანთინგტონმა, ჰ. მაკინდერმა, ნ. სპიკმენმა, დ. კიფერმა, ა. გრაბოვსკიმ და სხვ.

პირველად ტერმინი „გეოპოლიტიკა“ სამეცნიერო მიმოქცევაში შვედმა მეცნიერ-პოლიტოლოგმა რუდოლფ ჩელენმა (1863—1923) შემოიტანა. მან გამოყო რამდენიმე მძლავრი გეოგრაფიულ-სამეურნეო კომპლექსი და მიიჩნია, რომ მათ უნდა გაეერთიანებინათ თავის გარშემო მდებარე ჩამორჩენილი ქვეყნები.

XX ს. 20-იან წლებში გეოპოლიტიკური მიმართულების მეცნიერები შრომებს ძირითადად გერმანულ ჟურნალ „Zeitschrift für Geopolitik“-ში აქვეყნებდნენ, რომელსაც რედაქტორობდა კარლ ჰაუსჰოფერი (1869—1946), გეოპოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორი.

გეოპოლიტიკოსები ამოსავალ წერტილად იყენებდნენ გეოგრაფიული დეტერმინიზმის მიმდევართა იდეებს და მას უხამებდნენ ბიოლოგიური განვითარების მოდელს. მათ სახელმწიფოს განვითარების ტენდენცია წარმოადგინეს ისევე, როგორც ბიოლოგიური ორგანიზმი. ისევე, როგორც ბიოორგანიზმი განიცდის ზრდას და განვითარებას, ასევე სახელმწიფოც განიცდის ტერიტორიულ ზრდას და სახელმწიფოებრივ განვითარებას. ამიტომ უფრო მაღალგანვითარებული ქვეყნები შთანთქავდნენ უფრო დაბალგანვითარებულ ქვეყნებს და ზოგიერთი ქვეყანა შინაგანად მოწოდებულიც კი იყო ამისათვის.

ძირითადი გეოპოლიტიკური მოსაზრების — „სასიცოცხლო არეს“ გაფართოებისათვის, შეიარაღებული ძალის გამოყენების გარდა, ზოგჯერ შეიმჩნევა მოსაზრება მშვიდობიანი ეკონომიკური ექსპანსიის შესახებაც. ორივე შემთხვევაში საფუძველია რეგიონული გეოგრაფიული გარემო და გეოპოლიტიკური სიტუაცია.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა რათცელის მიმდევართა საინტერესო ნაშრომები: ე. ჰანთინგტონის „Mainspring of civilization“, 1945; ნ. სპიკმენის „America's strategy in world politics“, 1942; დ. კიფერის „Realities of world power“, 1952; მისივე, „Strategy for survival“, 1953; ს. მარკჰემის „Climate and Energy of nations“, 1942.

საზოგადოების განვითარებაში ბიოგეოგარემოს ადგილის შეფასება ფ. რათცელის მიმდევარი გეოპოლიტიკოსებისაგან განსხვავებულად გაიაზრა საფრანგეთში წარმოშობილმა გეოგრაფიულმა სკოლამ. საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული ამ სკოლის ფუძემდებელს პოლ ვიდალ დე ლა ბლაშს (1845—1918) ნაშრომში „Principes de geographie humaine“. მისი მიხედვით, გეოგრაფიული გარემო იძლევა შესაძლებლობებს, ხოლო საზოგადოებაზე და მის ინტელექტზეა დამოკიდებული, თუ როგორ და რამდენად გამოიყენებს ამ შესაძლებ-

ლობებს. ამდენად, ბიოგეოგარემოსა და ადამიანის ურთიერთდამოკიდებულებაში რამდენადმე წინ არის წამოწეული ადამიანის როლი.

შემდგომში გეოგრაფიზმის ამ მიმართულებას გამოუჩნდნენ მიმდევრები, რომლებიც გეოგრაფიული პოსიბილიზმის (possibilis — შესაძლებლობა) სახით გაფორმდნენ, მაგ., ი. ბოუმენი, ო. შლუტერი, ლ. ვაიბელი.

საყურადღებოა, აგრეთვე, ფრანგების „ანალების" სკოლა, რომლებმაც წამოაყენეს გეოისტორიზმის მოსაზრება. ამ მოსაზრების მიხედვით, საზოგადოების განვითარების ისტორია უნდა შესწავლილი იყოს გეოგრაფიულ გარემოსთან ერთად და მისი კვლევა უნდა იწყებოდეს ადამიანის გაჩენამდე გეოლოგიური ეპოქიდან. ამდენად, მათი აზრით, საზოგადოების განვითარება წინასწარ რამდენადმე განსაზღვრული იყო უკვე გეოლოგიურ ეპოქაში (მაგ., მ. მორაზე, მ. სორი, ლ. ფევრი, ვ. ბრადელი და სხვ.).

ფ. რათცელის ანთროპოგეოგრაფიული მოსაზრებების გამოყენება-განვითარების შედეგად, ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოიქმნა ახალი მიმართულება ენვაირონმენტალიზმი (Environmentalismus — გარემო). ეს მიმართულება ძირითადად სოციოწარმონაქმნების ბიოგეოგარემოსთან ურთიერთზემოქმედებას იკვლევს. მასში ყურადღება გამახვილებულია საზოგადოების ეკოლოგიურად სუფთა გარემოში მოქმედებაზე. კერძოდ, გამოთქმულია ბიოგეოგარემოს რაციონალურად, ეკოლოგიურად სუფთა და მაღალი მარგი ქმედებით გამოყენების სურვილი. ენვაირონმენტალისტები საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ზუსტი მეთოდიკის გამოყენებით გამოირჩევიან. მათ კვლევა-ძიებაში სტატისტიკურ-ტიპოლოგიურ მონაცემებს წამყვანი ადგილი უჭირავს. ენვაირონმენტალისტებმა გეოგრაფიული დეტერმინიზმის იდეები უფრო განავითარეს და სტატისტიკურ-ტიპოლოგიური მეთოდიკის გამოყენებით უფრო მწყობრ სისტემად ჩამოაყალიბეს (Petuila, 1980). მათ მონაცემებზე დაყრდნობით, რამდენადმე გაადვილდა გარკვეული საზოგადოებრივი ფენების სხვადასხვა გარემოში მოქმედების მოდელირება. ენვაირონმენტალიზმის მიმდევრები იყვნენ ე. სიმპლი, ე. ჰანთინგტონი, რ. სმიტი, გ. ტეილორი, ბ. ფერნაუ, დ. მიუირი, დ. პინშო, დ. ჭათლი, რ. ემერსონი, გ. ტორო და სხვ.

გეოგრაფიზმის მიმდევრების გარდა, საზოგადოების განვითარების ისტორიაში გეოგრაფიული გარემოს გარკვეულ გავლენას აღიარებდნენ, მაგრამ გადამწყვეტ როლს არ ანიჭებდნენ, სხვადასხვა დროის მეცნიერ-მოაზროვნეებიც, მაგ., იოჰან ჰოტფრიდ ჰერდერი (1744—1803), ალექსანდრე ფრიდრიხ ვილჰელმ ჰუმბოლტი (1769—1859), გეორგ ვილჰელმ ჰეგელი (1770—1831), კარლ მარქსი (1818—1883), სერგეი სოლოვიოვი (1820—1879), ვასილი კლიუჩევსკი (1841—1911),

გიორგი პლეხანოვი (1856—1918), კარლ კაუცკი (1854—1938), არნოლდ ჯოზეფ ტოინბი (1889—1975), ლევ გუმილიოვი (რუსული და საბჭოური ლიტ. გეოგრაფიული გარემოს შესახებ დაწვრილებით იხ. Роль географического фактора... 1984, გვ. 231—261; Анучин, 1982) და სხვ.

გეოგრაფიული გარემოს და საზოგადოების ურთიერთობის შესახებ საყურადღებო ნაშრომები აქვთ შექმნილი ქართველ მეცნიერებსაც: გ. ყორანაშვილი, 1975; გ. ზარდალიშვილი, 1952; გ. მარგიანი, 1985; ტ. გვალია, 1991 (ისტორიოგრაფია იხ. გ. მარგიანი, 1985, გვ. 30—51).

ამრიგად, როგორც ვხედავთ, გეოგრაფიული დეტერმინიზმის მომხრეთა აზრით, გეოგრაფიული გარემო (ჩვენეული ბიოგეოგარემო) გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს საზოგადოების განვითარებაზე. ამ გარემოდან ისინი ძირითადად გამოყოფენ კლიმატს, რელიეფს, ნიადაგს, ლანდშაფტს, მადნეულს, ფაუნას, ფლორას, მდინარეს, ზღვას, ქვეყნის მდებარეობა-განლაგებას. მათი მიხედვით, ეს ფაქტორები მოქმედებს ადამიანის, საზოგადოების ზნე-ხასიათზე (ფსიქიკაზე), შესახედაობაზე, ფიზიოლოგიაზე, კვებაზე, ინტელექტზე, გამრავლებაზე, მატერიალურ დაგროვებაზე, სულიერ წყობაზე, ქვეყნის მმართველობის ფორმაზე, ქვეყნის ტერიტორიულ სივრცეზე, კანონქმედებაზე, ცივილიზაციების განვითარებაზე, ქვეყნის ისტორიულ განვითარებაზე და სხვ.

ჩვენ ზოგადად ვიზიარებთ მათ მოსაზრებებს და ვცდილობთ ზემოთ მოყვანილ ფაქტორებს კიდევ რამდენიმე დავუმატოთ და სქემის საშუალებით ისინი გარკვეულ ურთიერთობათა სისტემაში წარმოვადგინოთ.

ისტორიული განვითარების პროცესის ახსნისას ჭეშმარიტება ორი ძირითადი ფაქტორის, კერძოდ, ბიოგეოგარემოს და სოციოგარემოს კორელაციური ურთიერთზემოქმედების ახსნაში უნდა ვეძებოთ. ამათგან პირველის გარეშე მეორე ვერ წარმოიქმნება და განვითარდება, ხოლო მეორეს გარეშე პირველი მაინც არსებობს.

ბიოგეოგარემოს კომპონენტებია: ბარისფერო, ლიმნოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო, ატმოსფერო, კოსმო-ასტრო სივრცე, პლანეტთა-მოძრაობა და მათგან გამომდინარე კლიმატი, რელიეფი, ნიადაგი, მადნეული, მდინარე, ტბა, ზღვა, ადამიანი (ბ), ფლორა, ფაუნა, მეტეორიტები. ბიოგეოგარემოს შემადგენელ ნაწილთაგან ერთ-ერთის ცვლილება იწვევს სხვა ნაწილების ცვლილებას, რაც შემდგომ, შესაბამისად, სოციოგარემოზე ზემოქმედებს.

ისტორიული განვითარების მოდელი ურთიერთობების ერთობლივ სისტემაში წარმოგვიდგენია (იხილეთ ისტორიული განვითარების მოდელის ჩვენეული სქემა).

# ბიოგეოგარემო და ისტორიული განვითარების მოდელი


ბიოგეოქიმიური კვლევა
ქრონოლოგიური კვლევა
ბიოგეოლოგიური
ეკონომიკური
ინფორმაციული
ინფორმაციული
ეკონომიკური
ბიოგეოლოგიური
ბიოგეოქიმიური
ქრონოლოგიური
ბიოგეოქიმიური
ქრონოლოგიური

სქემა გრაფიკულად წრიულია, რომელიც შედგება შიდა წრიდან განვითარებული სარტყელებისაგან. წრის გულში ასახულია ბიოგეოგარემოს კომპონენტები (მუქად) — ციფრობრივად № 1. ციფრობრივად № 2 არის სოციოგარემო, რომელიც სარტყლების სახით წრის გარშემოა განლაგებული. სოციოგარემოში არის A სარტყელი — ადამიანის, ინდივიდის განვითარების ფაქტორებით და D სარტყელი — ინდივიდებისაგან შემდგარი საზოგადოების განვითარების ფაქტორებით.

მოცემული სქემა განვითარებადია, შეიძლება სარტყლებში კომპონენტ-ფაქტორების დამატება და სარტყლების რაოდენობის ან კლასიფიკაციის გაზრდა. სექტორებში წარმოდგენილი ფაქტორები, შესაძლებლობის ფარგლებში, ერთმანეთიდან გამომდინარენი არიან.

სქემის წრიულ სარტყლებს კვეთს ოთხი „პროცესი", რომლებიც ისტორიულ განვითარებას მუდმივად (ბიოგეოგარემოს, სოციოგარემოს) თან სდევენ და მართავენ. ეს პროცესებია: ბიოგეოქიმიური, გენეტიკური, ქრონოლოგიური და საკრანოსი.

ბ ი ო გ ე ო ქ ი მ ი უ რ ი  პ რ ო ც ე ს ი მუდმივად, ქიმიური საშუალებებით ბიოგეოგარემოში დასაბამიდან დღემდე მიმდინარეობს. ეს არის პროცესი, რომლის დროსაც ორგანიზმები ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადადიან და ჩაბმული არიან ბიოგეოქიმიურ მიმოქცევაში. მასში მოქმედებენ ორგანული და არაორგანული ნივთიერებები. პროცესი მიმდინარეობს მიკროორგანიზმების და ბაქტერიების ღვივილის საშუალებით. ბიოგეოქიმიური პროცესი ბიოგეოგარემოში მიმდინარე გლობალური ქმედებაა (Поннамперума, 1977, გვ. 110). ის მოქმედებს ადამიანზეც. მაგალითად, დაბადება, საკვების მიღება (გასტროკალორიული ფაქტორი), კვების შედეგად ცხოვრება და ზრდა, დაბერება, სიკვდილი, მიწას მიბარება (ბიოგეოქიმიურ მიმოქცევაში ჩაბმაა).

გ ე ნ ე ტ ი კ უ რ ი  პ რ ო ც ე ს ი ყველა ორგანიზმის ბუნებრივი თვისებაა და უზრუნველყოფს მშობელთა თვისებების შთამომავლობისათვის გადაცემას. თითოეული დღევანდელი ადამიანი დასაბამიდან დღემდე უწყვეტი გენეტიკური პროცესის შედეგია. მან მთელი თანმიმდევრული ისტორიული განვითარება გამოიარა. საყურადღებოა, მაგალითად, სამეფო დინასტიების ან არისტოკრატიული გვარის წარმომადგენელთა როლი ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიული განვითარების გზაზე.

ქ რ ო ნ ო ლ ო გ ი უ რ ი  პ რ ო ც ე ს ი არის მოვლენების, ფაქტების გაბმული თანამიმდევრობა ისტორიის ერთიან განვითარებაში (ბიოგეოგარემოში და სოციოგარემოში). მოვლენები ქრონოლოგიური პროცესის მიხედვით აითვლება ჩვენიდან (დღევანდელობიდან) ადრე მომ-

ხდარ ფაქტამდე. ამ პროცესის ძირითადი, პირველადი საზომია ასტრონომიური დღე-ღამე (შესაბამისად, წამი, წუთი, საათი, კვირა, თვე, წელიწადი, საუკუნე და ა. შ.), რომლის განმავლობაშიც დედამიწა, მზესთან მიმართებაში, თავისი ღერძის გარშემო შემობრუნდება (Bickerman, 1969, გვ. 9—12). ჩვენ თუ არ გვეცოდინება ქრონოლოგიური პროცესის მიხედვით მოვლენების გაბმული განლაგება, მაშინ გაგვიჭირდება ბიოგეოქიმიური და გენეტიკური პროცესების შინაგანი ბუნების გაგება. მაგალითად, ადამიანი დაიბადა, გაიზარდა, გარდაიცვალა (ჩაბმულია ბიოგეოქიმიურ მიმოქცევაში); ან წარმოქმნა სახელმწიფო, განვითარდა და უცხო ტომთა შემოსევის შედეგად განადგურდა. ეს ყველაფერი შესაბამისად ქრონოლოგიური პროცესის კონკრეტულ მონაკვეთში და გარკვეული თანამიმდევრობით ხდება — ბიოგეოქიმიური და გენეტიკური პროცესების ქრონოლოგიურ პროცესში.

საკრანოსი, ჩვენი აზრით, ზებუნებრივი, ღვთიური ძალის და ადამიანის გონის ერთობლიობაა, რომელიც ისტორიული განვითარების პროცესს მუდამ თან სდევს. ის სამყაროს მატერიალისტური გაგებიდან ამოვარდნილია და უფრო იდეალისტური მიდგომით აიხსნება. ზებუნებრივი ძალები, რომლებიც ადამიანის გონთან თანამშრომლობენ, საზოგადოების განვითარებაზე ახდენენ გარკვეულ გავლენას. სხვანაირად გაძნელდება ზოგიერთი ზებუნებრივი მოვლენის ახსნა. საკრანოსი მოქმედებს ბიოგეოგარემოსა და სოციოგარემოში და აკავშირებს მათ — გადაჰყავს ერთმანეთში. ამდენად, ის ჩვენ გვეახება ხიდად, რომელიც გადებულია, აკავშირებს და გარდაქმნის ბიოგეოგარემოს სოციოგარემოდ. ვფიქრობთ, რომ ადამიანის გონს მარტო არ ხელეწიფება ჩასწვდეს ბუნების შინაგან კანონებს. ამიტომ მასში მოქმედებს ზეადამიანური ძალაც, რომელიც გარკვეულწილად გამორჩეულ ადამიანთა გონის გავლით ზემოქმედებს საზოგადოების განვითარებაზე. გარკვეულწილადვე საკრანოსს ინტუიციურ-ინტელექტუალური ნაწილიც გააჩნია, მაგრამ მასში ალბათ მაინც ზებუნებრივი საწყისია წამყვანი.

ჩვენ რამდენადმე ვიზიარებთ ვ. ვერნადსკის ბიოსფეროს ნოოსფეროში გადასვლის კონცეფციას (Вернадский, 1926; Вернадский, 1989, გვ. 234; Вернадский, 1944; Ермолаева, Калькова, 1989, გვ. 3-53; Лапо, 1979, გვ. 18—30 და იქ დასახ. ლიტ.), მაგრამ მას განვიხილავთ იდეალისტური მხრიდან და ამიტომ ზებუნებრივი ფაქტორის არსებობას ვუმატებთ.

მოცემული სქემის 2A და D სარტყლებში წარმოდგენილია სოციოგარემო — ბიოგეოგარემოს შემდეგ ისტორიული განვითარების მეორე კომპონენტი. სოციოგარემო არის ბიოგეოგარემოსთან კორე-

ლაციური ურთიერთზემოქმედების შედეგად წარმოქმნილი გარემო. ის წარმოადგენს ადამიანის, ადამიანთა ჯგუფის, საზოგადოების ინტუიციურ-ინტელექტუალურ ქმედებას ბიოგეოგარემოში და მის მატერიალურ შედეგს.

სოციოგარემოს წარმოქმნა Homo sapiens-ის გაჩენით და მისი ბიოგეოგარემოსთან ურთიერთზემოქმედების ევოლუციით იწყება. პირველ ეტაპზე (სქემაში 2 A სარტყელითაა წარმოდგენილი) ის ხასიათდება უფრო ინდივიდის განვითარების ფაქტორებით; ადამიანის ფიზიოლოგიური, ფსიქონევროლოგიური, გასტროკალორიული, ინსტინქტურ-ინტუიციური, გამრავლებით-დემოგრაფიული და მაგიურ-მითიური წყობით.

ადამიანის, ინდივიდის ცხოვრება, ძირითადად, ბიოლოგიური და სოციალური მოთხოვნილებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციაა.

სქემაში წარმოდგენილი 2 D სარტყლები კი უფრო საზოგადოების განვითარების ერთიანი ნიშნებით ხასიათდება — სამეურნეო-საწარმოო, სავაჭრო-კომუნიკაციური, სამხედრო-სტრატეგიული, რელიგიური, სულიერ-კულტურული, ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი, საგარეო ფაქტორი და ა. შ.; უფრო მაღალი განვითარების იერარქიაა ენერგეტიკული, ეკონომიკური, ინფორმაციული, სამეცნიერო-ტექნიკური, გეოპოლიტიკური, იდეოლოგიური და ა. შ. ესენი სოციოგარემოს ის წამყვანი ფაქტორებია, რომლებსაც ადამიანთა ჯგუფური ძალისხმევა ბიოგეოგარემოსაგან გადაამუშავებს და საზოგადოების წინსვლისათვის იყენებს. მაგალითად, საცხოვრებელი, თავდაცვითი და საკულტო ნაგებობები; გზები, ჰიდრონაგებობები (სარწყავი სისტემები, წყალსაცავები და სხვ.), სოფლები, ქალაქები, სხვადასხვა წარმოებები და სხვ. ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რასაც ადამიანთა ჯგუფები, საზოგადოება თავისი მოაზროვნე ინტელექტით ქმნის — სოციოგარემოს პროდუქტია.

ჩვენი ტაბულის ქვედა მხარეს წარმოდგენილია ცივილიზაციების ჩასახვისა და აღმავალი განვითარების სქემა. სქემა ერთ დიდ წრეს წარმოადგენს, სადაც მიმდინარეობს საკრანოსი (Sн), ბიოგეოქიმიური (b), გენეტიკური (g) და ქრონოლოგიური (c) პროცესები. ამ წრეში წარმოდგენილია ოთხი ერთმანეთში ნაწილობრივ გადასული მცირე წრე — ბიოგეოგარემო (B), სოციოგარემო (S), ადამიანის (ბ) (Hb), როგორც ბიოლოგიური ცნება და ადამიანის (Hs), როგორც მოაზროვნე-ინტელექტიანი ცნება. ჩვენი აზრით, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტების (წრეების ერთმანეთში გადასული მუქი არე) სიდიდე (მაგალითად, კვადრატში აყვანა) და თანხვედრა წარმოქმნის ცივილიზაციების (civ) უპირატესი ჩასახვის და აღმავალი განვითარების არეს.

მოცემული სქემის მიხედვით შეგვიძლია შევადგინოთ ზოგადი ფორმულა (იხ. ტაბ.), რის მიხედვითაც, თუ სტატისტიკური მონაცემები გვექნა, შეგვიძლია გამოვითვალოთ ცივილიზაციების ჩასახვის გეოგრაფიული არეები.

ვფიქრობთ, რომ ისტორიული განვითარების მოდელის და ცივილიზაციების ჩასახვის ჩვენეული სქემა სრულიადაც არ არის უნაკლო, ის შემდგომ დახვეწას მოითხოვს.

ბიოგეოგარემოს და საზოგადოების ისტორიული განვითარების ურთიერთზემოქმედების პრობლემა მსოფლიოს ცივილიზაციების წარმოქმნა-განვითარების საერთო ძირითადი პრობლემაა, მაგრამ რეალურად არსებობს კონკრეტული რეგიონი, ქვეყანა, კონკრეტული ცივილიზაცია, კონკრეტული საზოგადოება, კონკრეტული ბიოგეოგარემო. როგორც ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, გეოგრაფიული დეტერმინიზმის მომხრეებს არაერთხელ აქვთ მიმოხილული საზოგადოების ბიოგეოგარემოსთან ურთიერთობის საკითხები. ჩვენ ვეცდებით ეს ურთიერთობები განვიხილოთ კონკრეტული ქვეყნის, ამ შემთხვევაში ძველი კოლხეთის მაგალითზე.

*

* *

კოლხეთი, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე, მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავს. მისი ფიზიკურ-გეოგრაფიული საზღვრებია: ჩრდილოეთით კავკასიონის მაღალი მთები; სამხრეთით „მცირე კავკასიონი" (ანუ ანტიკავკასიონი), აჭარა-ლაზეთის მთიანეთი; აღმოსავლეთით სურამის, ანუ ლიხის ქედი, ხოლო დასავლეთით შავი ზღვა. კოლხეთის ისტორიული განვითარების პროცესში წამყვანი როლი შეასრულა ბიოგეოგარემომ (resp. გეოგრაფიულმა გარემომ) — კლიმატი, ნიადაგი, რელიეფი, მადნეული, ზღვა, ტბა, მდინარე, ფლორა, ფაუნა, ადგილმდებარეობა და სხვ. უპირატესად ამაზე არის დამოკიდებული მოსახლეობის ფიზიონომიურ-ფსიქიკური, სამეურნეო-საწარმოო, დემოგრაფიული, სავაჭრო-კომუნიკაციური, ინტელექტუალურ-ტექნიკური, სამხედრო-სტრატეგიული, სულიერ-კულტურული, გეოპოლიტიკური, ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მდგომარეობა.

ისტორიული კვლევისას ბიოგეოგარემოს გამოწვლილვით შეფასებას ისტორიული განვითარების პროცესის შესწავლაში უპირველესი ადგილი უჭირავს (იხ. მუსხელიშვილი, 1977).

დასავლეთ საქართველოს, კოლხეთის მთიანეთის ბორცვ-გორაკები, ხეობები, სერები, ტაფობები და დაბლობი თავიანთი ბუნებრივი გარემოთი მოსახერხებელ დასასახლებელ ადგილებს ქმნის. აქ დიდი რაოდენობით მოიპოვება საშენი მასალა — ხე, სხვადასხვა ჯიშის ქვა, თი-

ხა და ა. შ. არის მარმარილო, კირქვა, თაბაშირი, კერამიკული თიხა. სხვადასხვა ფიქლები.

კოლხეთში თიხის ჭურჭლის მოჭიქურებისათვის და მინის ჭურჭლის საწარმოებლად გამოიყენებოდა კვარცის ქვიშა, რომელიც მრავლად მოიპოვება. დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილია ისეთი მინერალებიც, რომლებიც ძველთაგანვე გამოიყენებოდა სამკაულების დასამზადებლად, მაგ., გიშერი, მთის ბროლი, აქატი, ქალცედონი, სარდიონი, ობსიდიანი, მალაქიტი, სურინჯი და ა. შ.; მოიპოვებოდა სუფრის მარილი.

კოლხეთში მეტალურგიული (სპილენძი, რკინა, ტყვია, თუთია, კალა, ვერცხლი) ნედლეულის მოპოვების ძირითადი ადგილებია — რაჭალეჩხუმი, სვანეთი, აფხაზეთი, აჭარა. მდინარეების ენგურის, ცხენისწყლის, ტეხურის და რიონის ქვიშა გარკვეული რაოდენობით ოქროს შეიცავს (დაწვრილებით იხ. ბოჭორიშვილი, 1946, გვ. 284—285; კოჭლავაშვილი, 1962, გვ. 257—259; ჭყონია, 1981, გვ. 92—99). ამას ადასტურებს ჯერ კიდევ I ს. ავტორი სტრაბონი, რომლის ნაწერებიც საკმაო საფუძვლიანობით გამოირჩევა: „წყლის ნაკადებს ოქრო ჩამოაქვს. ხოლო ადგილობრივი მაცხოვრებლები მას აგროვებენ დაჩეჩილი ვარცლებით და ბეწვიანი ტყავებით“ (სტრაბონი, XI წ. II თ. 19). II საუკუნის ავტორი აპიანე აღნიშნავს: „კავკასიონიდან ჩამომდინარე ნაკადულებს ოქროს ქვიშა ჩამოაქვს. ადგილობრივი მცხოვრებლები მდინარეებში ხშირბეწვიან ცხვრის ტყავებს აგებენ და აგროვებენ ქვიშას, რომელიც მათზე ილექება“ (აპიანე, მითრიდატეს ომები, 103). (ყაუხჩიშვილი, 1959, გვ. 199). ოქროს მოპოვების შესახებ გადმოგვცემს I საუკუნის ავტორი გაიუს პლინიუს სეკუნდუსიც (უფროსი): „კოლხეთში მეფობდა აიეტის მემკვიდრე სავლაკი, რომელიც თავის სამეუფეოში დიდძალ ოქროს და ვერცხლს იპოვებდა სვანეთის მიწასა და საერთოდ სახელმწიფოში...“ (Natvralis historia, liber XXXIII).

საყოველთაოდ ცნობილია კოლხეთის მოსახლეობის როლი მეტალურგიული წარმოების საქმეში (მაგ., ხალიბები, მოსინიკები, მოსხები). კოლხეთის რეგიონი ლითონების წარმოება-დამუშავების ერთ-ერთ მსოფლიო ცენტრს წარმოადგენდა (დაწვრილებით იხ. კვირკველია, 1976; Хахутаишвили, 1987, და იქ დასახელებული ლიტ.). აქ მოსახლეობის მიერ მადნეულის ნაყოფიერმა დამუშავება-გამოყენებამ კოლხური საზოგადოება უკვე ძვ. წ. II ათასწლეულში ახალი განვითარების საფეხურზე აიყვანა. ანტიკურ ხანაში კოლხური მეტალის ექსპორტი მეზობელ ქვეყნებშიც ხდებოდა. ამდენად, კოლხეთში სასარგებლო მადნეულის არსებობა იწვევდა პოზიტიურ ძვრებს წარმოების და ვაჭრობის განვითარებაში, რაც, თავის მხრივ, აქაური საზოგადოების და-

წინაურებას და სახელმწიფოებრიობის განვითარების პროცესს აჩქარებდა.

ამგვარად, ძველი კოლხეთი მადნეულით მდიდარი ქვეყანა ჩანს, რაც შემდგომში საფუძვლად დაედო მომპოვებელი და გადამამუშავებელი ხელოსნობა-წარმოების მთელი რიგი დარგების განვითარებას. ამ დარგების პროდუქცია კი ხშირად სხვადასხვა ქვეყნებში სავაჭროდ გაჰქონდათ. იქიდან კი შემოჰქონდათ ისეთი ნაწარმი, რომელიც ადგილობრივ არ მოიპოვებოდა (დაწვრ. იხ. ლორთქიფანიძე, 1966, გვ. 68—92, 117—144 და იქ დასახელებული ლიტ.).

კოლხეთის რელიეფი, ტექტონიკური განვითარების თავისებურებების გამო, ორ ძირითად განსხვავებულ ნაწილად იყოფა: მთა-მთისწინეთად და ბარ-დაბლობად (Гвоздецкий, 1956, გვ. 101—125; Атлас Грузии, 1964, გვ. 20—21; მარუაშვილი, 1970, გვ. 200—210).

მთა-მთისწინეთი — კავკასიონის მთავარი ქედი და გვერდითი ქედებია: რაჭის, ლეჩხუმის, სამეგრელოს, სვანეთის, კოდორის, ბზიფის და გაგრის. ამ ქედების მრავალრიცხოვანი განშტოებები ბარისაკენ ეშვება. კოლხეთის კავკასიონის ქედის ყველაზე მაღალი მწვერვალია შხარა — 5068 მ.

მცირე კავკასიონი უფრო დაბალია, ვიდრე კავკასიონი. აქ ყველაზე მაღალი წერტილებია — ხევა (2812 მ), არსიანი (3165 მ), მეფისწყარო (2850 მ). აჭარა-მესხეთის მთიანეთი ორი ძირითადი ქედისაგან შედგება. ერთი არის მესხეთის, ხოლო მეორე შავშეთის ქედი. მათაც მრავალი განშტოება აქვთ, რომლებიც მთისწინა ზოლში გადაღის და ბარისაკენ ეშვება.

დიდ და მცირე კავკასიონს ერთმანეთთან აკავშირებს ლიხის, ანუ სურამის ქედი, რომელიც ორივე კავკასიონზე გაცილებით დაბალია. მისი ყველაზე მაღალი ნაწილი 1920 მეტრს არ აღემატება.

ლიხის, დიდი და მცირე კავკასიონის ქედებ-მთიანეთში გადიოდა ბილიკ-გზები, რომლითაც კოლხეთის მოსახლეობა უკავშირდებოდა დანარჩენ კულტურულ სამყაროს. ადგილობრივი მცხოვრებლები ამ გადასასვლელებს ახლაც იყენებენ სავალად. ესენია: რიკოთის, ზეკარის, მეფისწყაროს, გოდერძის, მამისონის, ნაკრის, ქლუხორის და სხვ. ეს გადასასვლელები ხელს უწყობდა ეკონომიკურ-კულტურული კონტაქტების გაღრმავებას.

მთებით შემოსაზღვრული კოლხეთი თავისი რელიეფით (ქედები, ხეობები, სერები, ტაფობები, ბორცვ-გორაკები) მოსახერხებელ თავდაცვით და სამხედრო-სტრატეგიულ გარემოს ქმნიდა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ძვ. წ. I ს-ის რომაელი მხედართმთავრის ლუკულუსის მითრიდატე ევპატორთან ომის დროს კავკასიონის მთიანეთის

და მისი მიმდებარე ტერიტორიის სამხედრო მოქმედების ადგილის შეფასება: „მე აქ იმ მიზნით ვაყოვნებ, რომ ჩემმა მოწინააღმდეგემ (მითრიდატე ევპატორი — გ. გ.) კვლავ მოიკრიბოს ძალა და დიდ მხედრობას მოუყაროს თავი, რათა ადგილზევე დარჩეს და ჩვენი მიახლოებისთანავე არ გაიქცეს. განა თქვენ ვერ ხედავთ, რომ მის ზურგში გადაშლილია უზარმაზარი და უსაზღვრო უდაბნო? (იგულისხმება ბოსფორისა და ყუბანის სტეპები — გ. გ.). იქვე ახლოს არის კავკასიონი მრავალი მაღალი მთით, რომელთაც სულ ადვილად შეუძლიათ შეიფაროონ და დაიცვან ბრძოლის ამრიდებელი ათი ათასობით მეფე“ (პლუტარქე, ლუკულუსი, 14).

აღსანიშნავია, რომ სამხედრო მოქმედების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი რელიეფ-ლანდშაფტის გათვალისწინებას. ჩასაკეტად ადვილი ვიწრო ხეობების, გადასალახად რთული მაღალი მთების, გასამაგრებლად მოხერხებული გორების, ხშირი გაუვალი ტყეების, ძნელად დასაძლევი მდინარეების მოხერხებული სამხედრო-სტრატეგიული გამოყენება საომარი მოქმედების წარმატებული დაგვირგვინების გარანტია იყო. არანაკლები მნიშვნელობა სამხედრო მოქმედებისას ენიჭება კლიმატს და წელიწადის დროების ცვლას. მაგალითად, მითრიდატე ევპატორი პომპეუსთან ომის დროს „მთების გადალმა კოლხეთში გაიქცა“ (სტრაბონი, XII წ. III თ. 28). მას ძალების მოკრება და აღჭურვილობის შევსება ესაჭიროებოდა და ზამთარი დიოსკურიაში გაატარა. ამ შემთხვევაში მითრიდატემ ზამთარი და მთები (რელიეფი და ჰავა) თავისი სამხედრო-სტრატეგიული გეგმის განსახორციელებლად გამოიყენა (აპიანე, „მითრიდატ.“ 101).

ზემოხსენებულ მთათა მყინვარებიდან გამოედინება დიდი თუ პატარა მდინარეები, რომლებიც შავი ზღვის აუზს მიეკუთვნებიან. ისინი რაოდენობრივად დაახლოებით 1600-ზე მეტია. მათ შორის წყალუხვობით უწინარესი ადგილი უჭირავთ — რიონს, ყვირილას, ცხენისწყალს, ტეხურას, ხობს, ენგურს, კოდორს, ბზიფს, ღალიძგას, ხანისწყალს, ფიჩორს, სუფსას, ნატანებს, ჭოროხს. აქედან ხობს, ტეხურას, ფიჩორს, სუფსას და განსაკუთრებით რიონ-ყვირილას სატრანსპორტო გადასაადგილებელ გზებად იყენებდნენ. მათზე სავაჭრო-სატრანსპორტო ნავებით დაცურავდნენ. სწორედ ეს სავაჭრო-სამდინარო გზები (ვიდრე სახმელეთო) გაცილებით რენტაბელურს ხდიდა ვაჭრობას, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის განვითარებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა.

კოლხეთის დედამდინარეა რიონი (ფასისი), რომლის ნაპირზეც განვითარდა კოლხური ცივილიზაცია (დაწვრილებით იხ. Лордкипанидзе, 1979; Гамкрелидзе, 1992). მდინარე რიონი კავკასიონის სამხრეთი კალთებიდან, ფასის მთის მყინვარიდან გამოედინება. ქალაქ ქუთაისამ-

დე იგი მთის მჩქეფარე მდინარეა, ჩქარი დინება გააჩნია და უმეტესწილად ვიწრო ხეობაში მოედინება; ქუთაისის ქვემოთ კოლხეთის დაბლობზე ჩამოდის და ბარის მდინარის მდორე დინება უჩნდება. იგი იტოტება და მთებიდან ჩამოტანილი შლამის დალექვით წარმოქმნის კუნძულებს. რიონი, როგორც ჩანს, ხშირად იცვლიდა კალაპოტს, ამიტომ კოლხეთის დაბლობზე კარგად შეინიშნება ნარიონალები, ძველი კალაპოტები. საყურადღებოა რიონის II ს-ში მნახველის, ფლავიუს არიანეს ნაწერში — „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო" — დაცული ცნობა: „ფასისის წყალს ტყვიის თუ კალის ფერი გადაკრავს, მაგრამ რომ გააჩერებ, ძალიან წმინდა ხდება" (ფლავიუს არიანე, 1961, გვ. 37).

წერილობით წყაროებში მდ. რიონი ხშირად იხსენიება ფასისის სახელით, ოღონდ მისი სათავის მდებარეობა ხანდახან არასწორადაა მითითებული (ბერძნიშვილი, 1969, გვ. 89; ჯანაშია, 1952, გვ. 271—281).

შემორჩენილ წერილობით წყაროებში ფასისი პირველად იხსენიება ჰესიოდეს „თეოგონიაში" (ძვ. წ. VIII—VII სს.). ჰესიოდეს იქვე აქვს მოხსენებული რესოსიც. ზოგ მკვლევარს ეს სახელი მდ. რიონის სახელწოდების სახესხვაობად მიაჩნია (ურუშაძე, 1964, გვ. 494). არსებობს, აგრეთვე, მოსაზრება, რომ მდ. ფასისის ზემო წელს ერქვა რისი (ჯანაშია, 1952, გვ. 271—281). ხსენებული მოსაზრება ემყარება ფსევდო სკილაქს კარიანდელის ძვ. წ. IV ს. ცნობას: „...მდ. ფასისის და ელინური ქალაქი ფასისი, მდინარის ზევით ეყოლებით ასოთხმოცი სტადიონის მანძილზე არის დიდი ბარბაროსული ქალაქი, საიდანაც იყო მედეა. აქ არის მდ. რისი..." (ყაუხჩიშვილი, 1967, გვ. 48—49). შესაძლებელია, რომ რისად იწოდებოდა ჯერ ახლანდელი რიონის ზემო წელი, ხოლო შემდეგ ქვემო წელმაც იგივე სახელი მიიღო. თვით სახელს „ფასისი", „ფაზისი" სამეცნიერო ლიტერატურაში ქართველურ ენობრივ სამყაროს უკავშირებენ (დაწვრ. იხ. ბერძნიშვილი, 1965, გვ. 82; გორდეზიანი, 1971, გვ. 181—186).

მდინარე რიონ-ყვირილა (ფასისი), თავისი ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობით, მოხერხებული სავაჭრო-სატრანზიტო გზა იყო (Гозалишвили, 1956, გვ. 153—160; Ямпольский, 1956, გვ. 161—180; ბერძნიშვილი, 1969, გვ. 99—199; ლორთქიფანიძე, 1957, გვ. 377—384; Гамкрелидзе, 1992). ცნობები მისი სატრანზიტო გზად გამოყენების შესახებ, ძირითადად სტრაბონისა და პლინიუსის ნაწერებშია შემონახული. სტრაბონი აღწერს მდ. რიონ-ყვირილას მაგისტრალს: „ფასისზე აღმა ცურვა შეიძლება შორაპნამდე. ამ სიმაგრეს შეუძლია დაიტიოს მთელი ქალაქის მოსახლეობა; შორაპნიდან ფეხით, საუმე გზით ოთხ დღეში მიისვლება მდ. მტკვარამდე" (XI წ., II თ. 17). ამ

გზის გაგრძელებას სტრაბონი ასე აგვიწერს: „...ინდური საქონელი შემოაქვთ ჰირკანის ზღვაში, ხოლო აქედან ალბანეთში გადააქვთ და შემდეგ მტკვარზე და მის მომდევნო ადგილებით ევქსინის ზღვაში ჩააქვთ“ (სტრაბონი, XI წ., VII თ. 3).

ამრიგად, ნათელია, რომ I ს. ავტორი სტრაბონი აღწერს სავაჭრო გზას, რომელიც მოემართებოდა აღმოსავლეთიდან მდ. მტკვარზე და მდ. ფასისზე (რიონ-ყვირილა) გავლით შავი ზღვისკენ. ამავე გზას აღწერს I ს. ავტორი პლინიუსი: „...პომპეუსის ლაშქრობის დროს, მისი ბრძანებით შესწავლილი იქნა, რომ ინდოეთიდან შეიძლება შვიდ დღეში ჩასვლა ბაქტრიაში, მდ. ბაქტრთან, რომელიც ერთვის ოქსს. აქედან ინდური სავაჭრო საქონელი გადააქვთ კასპიის ზღვის იქით მდ. მტკვარზე და ხმელეთით არა უმეტეს ხუთი დღისა მათ შეუძლიათ მიაღწიონ ფასის, რომელიც შავ ზღვას უერთდება“ (პლინიუს სეკუნდუსი, VI, 52).

საყურადღებოა, რომ სწორედ ამ გზის გაყოლებაზე მდებარეობს ანტიკური ხანის და ადრეული შუა საუკუნეების ნამოსახლარები, რომელთა არქეოლოგიური კვლევის დროსაც აღმოჩნდა შემოტანილი უცხოური ნაწარმი (კერამიკა, სამკაულები, მონეტები, ლითონის და მინის ჭურჭელი). ასეთი ნამოსახლარები მდ. რიონ-ყვირილას გაყოლებაზე აღმოჩენილია შორაპანში, ვარციხე-პატრიკეთში, ვანში, საყანჩიაში, ციხესულორში, შუამთაში, ფარცხანაყანევში, მთისძირში, დაბლაგომში, დაფნარში, საჯავახოში, პატარა ფოთში, ჭალადიდში, ფოთში (პალიასტომის ტბაზე) და სხვ. (დაწვრილებით იხ. Гамкрелидзе, 1992).

რიონ-ყვირილას (ფასისის) სავაჭრო-სამდინარო გზის ბოლო პუნქტი იყო ტბა პალიასტომზე მდებარე ქალაქი, რომლის შემდეგაც სავაჭრო კარჭაპები შავ ზღვაში გადიოდა კაბოტაჟური ცურვისათვის (Берадзе, 1989, გვ. 66—71).

გეომორფოლოგების აზრით, პალიასტომის ტბა — ლაგუნა ზღვიური რელიქტია (Гвоздецкий, 1958, გვ. 109). ძველად აქ მდინარე რიონის ლიმანი იყო (Вылканов, Данов, Маринов, Владев, 1983, გვ. 287). სრულიად ბუნებრივია, რომ წინათ სწორედ ამ მოხერხებულ ლიმანში, რომლის ნაპირზედაც ქალაქ-ნავსაყუდელი მდებარეობდა, ხომალდები შემოსულიყო. ხომალდებიდან შემდეგ ტვირთი ბრტყელძირა სამდინარო კარჭაპებში გადაიტვირთებოდა და პალიასტომის გავლით ისინი მდინარე რიონზე ანდა ფიჩორზე აღმა აგრძელებდნენ სვლას.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, პალიასტომი „კვალად ფოთის სამხრეთით, ზღვის კიდეზე, არს ტბა პალიასტომისა, დიდი. ამ ტბიდამ შესდის ზღუას მდინარე ამისივე. აქედამ შემოვლენან ნავნი და დგე-

ბიან ტბასა შინა განსუენებისათვის. იპყრობის თევზნი სხუადასხუანი მას შინა ურიცხუნი. ამას იტყვიან ნაქალაქევს და შემდგომად მოცულსა წყლისაგან. კვალად ამ ტბისა და ჯუმათის მთის სამხრეთით დის მდინარე სუფსეი“ (ვახუშტი, 1973, გვ. 790).

აგათია პალიასტომის შესახებ გადმოგვცემს: „იქ ხომ ერთი ტბა არის, რომელსაც პატარა ზღვას ეძახიან და რომელიც ევქსინის პონტოს უერთდება“. შემდეგ: „დიდი სატვირთო ხომალდები ზღვის ნაპირას და ფასისის შესართავთან მიაცურეს ქალაქის მახლობლად“ (აგათია, „გეორგიკა“, 1936, გვ. 102).

პალიასტომის ტბის ფართობი თვრამეტ კვადრატულ კილომეტრამდეა. მისი მაქსიმალური სიღრმე ექვს მეტრამდეა. ტბის წყალი მომლაშოა და ძირითადად მუქი, მოყავისფრო-მომწვანო ელფერი დაჰკრავს. ზღვისა და ტბის დონე თითქმის თანაბარია. ტბის დონე გაზაფხულზე და შემოდგომაზე ოდნავ მატულობს. იგი ძირითადად შენაკადებით და წვიმის წყლით საზრდოობს. მალთაყვის სრუტით ტბაში გარკვეული რაოდენობის ზღვის წყალიც იჭრება (განსაკუთრებით ზამთარში).

პალიასტომს დაჭაობებული შემოგარენიდან მდორედ მომდინარე მდინარეები ერთვის. ამათგან ახლა ყველაზე უფრო წყალუხვია სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარის შენაკადი მდინარე ფიჩორი. წინათ, ვიდრე ჯებირებს ააგებდნენ, რიონის ერთი ტოტიც აქ შემოედინებოდა.

1985 წელს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის შავიზღვისპირეთის ჰიდროარქეოლოგიურმა ექსპედიციამ პალიასტომის ტბაში, ზღვის შესართავიდან დაახლოებით კილომეტრზე, ტბის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში წყალში მიაკვლია III—VII სს. ნამოსახლარს. შესაძლოა, რომ ამ ნამოსახლარის სახით ჩვენ საქმე გვაქვს პროკოფი კესარიელის და აგათიას თხზულებებში აღწერილი ქალაქ ფასისის ნაშთებთან (დაწვრილებით იხ. გამყრელიძე, 1987, გვ. 98—117; გამყრელიძე, 1988, გვ. 44—50; Гамкрелидзе, 1986, გვ. 502—504; Gamkrelidze, 1990, გვ. 223—226; Gamkrelidze, 1992, გვ. 46—61).

მდინარე რიონზე ჩამოცურებული სატრანსპორტო ნავებიდან ტვირთი პალიასტომის ტბაზე მდებარე ნავსაყუდელში უკვე საზღვაო კარჭაპ-ხომალდებში გადაჰქონდათ და შავი ზღვის გავლით მიჰქონდათ შორეულ ქვეყნებში.

შავმა ზღვამ დიდი როლი შეასრულა კოლხეთის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ზღვის სანაპიროზე მთელი რიგი ნაქალაქარები და სხვა დასახლებული პუნქტებია მიკვლეული. ესენია: აფსაროსი (გონიოსთან), ბათუმის ციხე, ციხისძირი, ქობულეთ-ფიჩვნარი, ურეკი, ფა-

სისი (ფოთთან), ანაკლია, ფიჩორი, გიენოსი (ოჩამჩირესთან), დიოსკურია-სებასტოპოლისი (სოხუმთან), ეშერა, პიტიუნტი (ბიჭვინტასთან) და ა. შ.

ჩამოთვლილი დასახლებები, ბუნებრივია, ცხოვრების წესით ზღვასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. ისინი გარკვეულ როლს ასრულებდნენ უცხოეთიდან სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ-პოლიტიკურ ურთიერთობაში. პირველ რიგში, სწორედ ზღვისპირა ქალაქების მეშვეობით ხორციელდებოდა კონტაქტები შავი ზღვის და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან და ქალაქებთან: მილეტთან, ქიოსთან, როდოსთან, ათენთან, მენდეესთან, სინოპესთან, რომთან (ოსტია). შემდგომში ბიზანტიასთან (კონსტანტინეპოლთან), გენუასთან, ვენეციასთან და სხვ.

ზღვისპირა ქალაქში, ვაჭრობის გარდა, ხელოსნობის სხვადასხვა დარგები (მეთუნეობა, მჭედლობა, ხუროობა, ფეიქრობა და ა. შ.) იყო განვითარებული. მაგრამ აქ ალბათ განსაკუთრებული ადგილი მაინც ზღვასთან დაკავშირებულ საქმიანობას, ზღვაოსნობას, მეთევზეობას, ზღვის მარილის მოპოვებას და, რაც მთავარია, ვაჭრობას ეჭირა.

ცნობილია, რომ ზღვამ მსოფლიო არენაზე ცივილიზებული ქვეყნები გამოიყვანა. ანტიკურ ეპოქაში კოლხებმაც გამოიყენეს საზღვაო კომუნიკაციები ვაჭრობისათვის. ანტიკურ ხანაში კოლხეთის სანაპიროზე გარკვეული ბუფერული რეგიონი შეიქმნა ანტიკურ სამყაროსა და კოლხეთს შორის (იხ. გამყრელიძე, 1985, გვ. 90—94). ეს რეგიონი მაშინ ორივე მხარისათვის ეკონომიკურად მომგებიან-მოხერხებული უნდა ყოფილიყო.

სტრაბონის „გეოგრაფიაში“ აღნიშნულია, რომ შავი ზღვის „ძველი ხალხები დაცურავდნენ ყაჩაღობისა და ვაჭრობისათვის. ისინი შუა ზღვაში კი არ ცურავდნენ, არამედ ნაპირ-ნაპირ (კაბოტაჟურად — გ. გ.), როგორც იასონი. ‖ რომელმაც დასტოვა ხომალდი (როდესაც კოლხებისაგან მიდიოდა...“ (სტრაბონი, I წ. III თ. 2). ზღვაზე ყაჩაღობა და უცხო სანაპიროებზე თავდასხმები, ალბათ, ზღვისპირა ხალხების შემოსავლის ერთ-ერთი წყარო იყო.

ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია შრომაში „περὶ Ἰουστινιανοῦ βασιλείας“ კოლხეთის შესახებ გადმოგვცემს: „ძლიერნი და მამაცნი არიან ლაზები“. ისინი „...ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით...“; გამოირჩევიან „...თავისი სიმდიდრის სიუხვით, ასევე ქვეშევრდომთა სიმრავლით, მიწა-წყლის სიჭარბით და მოსავლიანობით...“ „...ეხლანდელი მცხოვრებლები დასცურავენ კიდეც, რამდენადაც შესაძლებელია, და ვაჭრობაშიაც ნახულობენ დიდ სარგებლობას“ (აგათია, III, 5) (ყაუხჩიშვილი, 1936, გვ. 50).

საინტერესოა აპოლონიოს როდოსელის (ძვ. წ. III ს.) „არგონავტიკაში“ აღწერილი ძველი გადმოცემა, სადაც მოთხრობილია არგონავტების მიერ ოქროს საწმისის გატაცების და კოლხთა მეფის აიეტის შვილის აფსირტეს მათზე ხომალდებით დადევნების ამბავი: „კოლხებმა იმავე დღეს გამოიყვანეს ხომალდები, ხომალდებზე აფრები აუშვეს და იმავ დღეს გავიდნენ ზღვაში“ (არგონავტიკა, IV, 235); ერთ ღამეს არგონავტებმა „თავისი ხომალდი კოლხური ხომალდის ახლოს მიაცურეს და დაამარცხეს კოლხი მეომრები...“ „...როცა კოლხებმა წინამძღოლის (აფსირტეს — გ. გ.) დალუპვა გაიგეს, შეუდგნენ ზღვაში არგოსა და მინიების ძებნას...“ (არგონავტიკა, IV, 490—495).

ფიზიკურ-გეოგრაფიულად შავი ზღვა ხმელეთშიდა ზღვაა. ის ბოსფორ-დარდანელის სრუტეებით გადის ხმელთაშუა ზღვის აუზში. ბოსფორის სრუტის უვიწროესი ადგილი სიგანეში მხოლოდ 700 მეტრამდეა, ამიტომ მისი გადაკეტვა-კონტროლი ადვილია. სრუტე გეოპოლიტიკურ-სტრატეგიულად ფრიად მოსახერხებელია. ისტორიულად ვის ხელშიაც ბოსფორის სრუტე იყო, ის აკონტროლებდა ხმელთაშუა და შავ ზღვებს შორის მიმოსვლას. ამან კი უარყოფითი როლი ითამაშა კოლხეთის ისტორიულ-ეკონომიკურ განვითარებაზე (იხ. ბერაძე, 1989; Берадзе, 1989).

შავი ზღვის ფართობი 41200 კვ. კილომეტრამდეა (დაწვრილებით იხ. Выланов..., 1983). ის ოვალური ფორმისაა და სიღრმით 2210 მეტრამდეა; კოლხეთის ნაპირებთან სიღრმე 200 მეტრამდეა. აქ ნაპირი ყველგან ერთნაირი არ არის. დაბლობის გასწვრივ ის ვაკეა, ხოლო სამხრეთ და ჩრდილოეთის მონაკვეთში მთიანია; სანაპირო ხაზზე გამოწეულია კონცხები — მწვანე კონცხი, ციხისძირ-ბობოყვათის, ფოთის, ანაკლიის, კოდორის, სოხუმის, ბიჭვინტის. ამ კონცხებთან შექმნილი ყურეები მოსახერხებელია ნავსაყუდლების შესაქმნელად.

ანტიკური ხანის კოლხეთის გეოგრაფიულმა ადგილმდებარეობამ განაპირობა საზღვაო (სანაპირო ქალაქები — ფასისი, გიენოსი, დიოსკურია და სხვ.) და სამდინარო (რიონ-ყვირილას სატრანზიტო გზა) კომუნიკაციების განვითარება, რაც დიდად მოქმედებდა მაშინდელი ქვეყნის შიგა და გარე წარმატებული ვაჭრობის წარმოებაზე.

კოლხეთის სანაპიროზე ზღვის წყალი არ იყინება; სიღრმეში თითქმის მუდმივად 7°-მდეა. კოლხეთის ფარგლებში სანაპიროზე ძლიერი გრიგალური, დამანგრეველი ქარები არ იცის.

შავ ზღვაში თევზების 180-მდე ნაირსახეობაა შემორჩენილი, ძველად ალბათ უფრო მეტი იყო და სანაპიროზე მცხოვრებთა ძირითად საზრდოს წარმოადგენდა. სარეწ თევზთაგან აღსანიშნავია შავი ზღვის ორაგული, კოლხური ზუთხი, ჯარღალა, ატლანტური ზუთხი, კეფალი, შავი ზღვის სტავრიდა, სვია, შავი ზღვის ქაფშია, სარდინი, შავი ზღვის

ქაშაყი, ლორჯო და ა. შ. ისინი ძირითადად არიან ზღვის შელფში, ხოლო ქვირითის დაყრისას ადიან მდინარეებში — რიონში, ენგურში, კოდორში, სუფსაში, ხობში.

შავი ზღვა უდიდეს როლს თამაშობს კოლხეთის კლიმატის ფორმირებაში, რაც, თავის მხრივ, დიდ გავლენას ახდენს აქაური აგროკლიმატურ სიტუაციაზე და ადგილობრივი მცხოვრებლების სამეურნეო ყოფაზე. ზღვა კოლხეთში თბილი და ნოტიო კლიმატის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

კოლხეთის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უარყოფითი ფაქტორი ზღვის ნაპირის ბიოგეოგარემოს შეცვლა იყო. გეომორფოლოგების ვარაუდით, ახალშავზღვიურმა ტრანსგრესიამ შეცვალა ფანაგორიული რეგრესია (დაახლოებით ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში), ხოლო ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე ისევ იწყება ტრანსგრესია, ზღვის დონის აწევა. ამის გამო, სანაპიროზე განლაგებული დასახლებები წყლის ქვეშ მოექცა. ახალშავზღვური ტრანსგრესიის შემდეგ დღემდე შავი ზღვის სარკემ დაახლოებით 3—4 მ-ით აიწია, რის შედეგად სანაპიროზე განლაგებული ძველი ქალაქ-დასახლებები წყლის ქვეშ მოხვდა და შეწყვიტა არსებობა (იხ. გამყრელიძე, 1988, გვ. 44—50; Gamkrelidze, 1992, გვ. 11—16).

საქართველოს ზღვისპირეთში, წერილობითი წყაროების (სკილაქს კარიანდელი, ფლავიუს არიანე, პომპონიუს მელა, სტრაბონი, კლავდიოს პტოლემაიოსი, პროკოპი კესარიელი, აგათია, ვახუშტი ბაგრატიონი და სხვ.) მიხედვით, მთელი რიგი ქალაქებია მოხსენიებული: ფოთთან — ფასისი, ოჩამჩირესთან — გიენოსი, სოხუმთან — დიოსკურია-სებასტოპოლისი, ბიჭვინტასთან — პიტიუნტი, ქობულეთ-ციხისძირი და ა. შ.

ხსენებული ნაქალაქარების ან მათი მიმდებარე ტერიტორიის წყალში დაძირვამ და ცხოვრების შეწყვეტამ ზღვისპირეთში საწარმოო-ეკონომიკური დონის დაქვეითება გამოიწვია. შესაბამისად, გვიანანტიკური ხანის და ადრეული შუასაუკუნეების კოლხეთის ისტორიულ განვითარებაზე ეს გეომორფოლოგიური პროცესი უარყოფითად იმოქმედებდა.

ძვ. წ. XII საუკუნეში შავ ზღვას ასურელები „ზემო ზღვას“ უწოდებდნენ, რაც დამოწმებულია უძველეს წერილობით წარწერაში (მელიქიშვილი, 1966, გვ. 26—33). ბერძნები შავ ზღვას პირველად „ავქსინუს პონტოს“ — არასტუმართმოყვარე ზღვას უწოდებდნენ, რადგან თავიდან ისინი არ იცნობდნენ ამ ზღვას და მასზე ცურვა ამიტომ უშირდათ; თანაც, ალბათ, ამას ერთვოდა ისიც, რომ ბერძნებს სანაპიროებზე გადასვლისას ხშირად უწევდათ ადგილობრივ მცხოვრებლებთან საბრძოლო შეტაკებები. მას შემდეგ, რაც ბერძნებმა უკეთ აითვისეს შავ ზღვაზე ნაოსნობა და სანაპიროებზე მცხოვრებლებთანაც

უფრო ახლო სავაჭრო კონტაქტებში შევიდნენ, მათ შეიცვალეს აზრი და შავ ზღვას ახლა უკვე „ევქსინუს პონტოს“ — სტუმართმოყვარე ზღვა შეარქვეს.

საყურადღებოა სტრაბონის „გეოგრაფიაში“ ცნობა, სადაც შავი ზღვის ის მონაკვეთი, რომელიც კოლხეთის სანაპიროსთან მდებარეობდა, იწოდებოდა „კოლხეთის ზღვად“ (XI წ. I თ. 6), რაც კოლხეთზე, როგორც საზღვაო ქვეყანაზე, უნდა მიუთითებდეს.

ანტიკურ სამყაროში შემდგომში შავ ზღვას „პონტოს ზღვას“ — „პონტოს თალასოს“-თაც იხსენიებენ. „პონტოს ზღვა“ ბერძნულიდან ქართულ ენობრივ სამყაროშიც გავრცელდა. მაგალითად, იოანე საბანისძის (VIII ს.) „მარტვილობა ჰაბო ტფილელისა“-ში იხსენება „...ზღუაი იგი პონტოისაი...“ (ძველი ქართული..., 1963, გვ. 59). ერთ-ერთ სპარსულენოვან ავტორთან შავი ზღვა მოიხსენიება, როგორც „ქართველების ზღვა“ — „დარიე გურჯზან“ (Крачковский, 1957, გვ. 231).

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, კავკასიონი, ანტიკავკასიონი, ლიხის ქედი და შავი ზღვა ქმნის ბუნებრივად შემოზღუდულ ტერიტორიას, რომლის შუაშიც კოლხეთის ბარ-დაბლობი და მთისწინეთი ექცევა (ძველაია, 1973). ეს ტერიტორია კოლხეთის მთავარი აგრარულ-სამეურნეო რეგიონი იყო (გაგუა, 1988).

კოლხეთის ბარ-დაბლობი და მთისწინეთი ხასიათდება დაბლობის ჭაობიანი და ეწერი, მთისწინეთის წითელ და ყვითელმიწა ნიადაგებით. მთისწინეთში და ზეგნებზე ხშირია ეროზიები.

კოლხეთის დაბლობი სხვადასხვა სიბრტყეზეა განლაგებული. ამიტომ დასავლეთ, ზღვისპირა მონაკვეთში აღინიშნება განსაკუთრებული ჭაობიანობა, ხოლო აღმოსავლეთით უფრო ეწერი ნიადაგებია. ჭაობებში ძირითადად ტორფიანი ნიადაგები ჭარბობს. ზოგან ტორფის სისქე 7—8 მეტრს აღწევს. არის აგრეთვე, ჭაობის ქვიშა-ლამიანი ნიადაგები და თიხნარიანი მონაკვეთებიც.

აგრარულ-სამეურნეო საქმიანობაში ყველაზე მეტად გამოყენებულია კოლხეთის დაბლობის შემაღლებული მონაკვეთი. აქ არის ეწერლებიანი და ალუვიური ნიადაგები. სამეურნეო საქმიანობაში იყო ჩაბმული, აგრეთვე, კოლხეთის მთისწინეთის ბორცვ-გორაკიანი წითელმიწა და ყვითელმიწა ნაწილიც.

სტრაბონის „გეოგრაფიაში“ დაცული ცნობის მიხედვით, კოლხეთი ბუნებრივი რესურსებით საკმაოდ მდიდარ ქვეყნად წარმოგვიდგება: „ქვეყანაში კარგი ნაყოფები იცის; ...მოიპოვება გემთსაშენი ყოველივე მასალა, რადგან იზრდება აქ მრავალი ტყე და მდინარეებით ჩამოაქვთ; ამუშავებენ ბევრ სელს, კანაფს, ცვილსა და ფისს. ხოლო სელის წარმო-

ება განთქმულია და გარეთაც კი გააქვთ“ (სტრაბონი, XI წ. II თ. 17). ექსპორტზეა საუბარი მარკუს მანილიუსის (I ს.) ცნობაშიც, სადაც ის გადმოგვცემს, რომ რომაელებს კვებავს ნუმიდიელთა სანაპირო და ფასისის ჭალებიო (Латышев, 1904, გვ. 377—378).

საყურადღებოა კოლხეთის შესახებ VI ს. ბიზანტიელი მწერლის პროკოპი კესარიელის წერილობითი ცნობა: „მოხირისი ერთი დღის სავალზეა არქეოპოლისიდან და შეიცავს მრავალს მჭიდროდ დასახლებულ სოფელს. კოლხეთის მიწა-წყალზე ის საუკეთესო ბაღარეს წარმოადგენს; ღვინოც კარგი მოდის და სხვა ნაყოფიც იქ კარგად ხარობს...“ (პროკოპი კესარიელი, BG, VIII, 14). კოლხეთში მდებარე მოხირისის მხარე, როგორც ჩანს, ეკონომიკურად ძლიერი რეგიონია. მდ. რიონის შუაწელი დაახლოებით ემთხვევა კოლხეთის ამ რეგიონის შედარებით გვიანდელ სახელწოდებასაც — სამოქალაქო, რომელიც, აგრეთვე, მძლავრ ეკონომიკურ მხარედ არის ცნობილი (ჩხატარაიშვილი, 1971, გვ. 131; ჯანაშია, 1952, გვ. 320—321).

კოლხეთის დაბლობი რომ დაწინაურებული სამეურნეო-ეკონომიკური მხარე იყო, კარგად ჩანს ამ რეგიონში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალიდანაც (იხ. Гамкрелидзе, 1992).

კოლხეთის კლიმატის ფორმირებაში დიდ როლს ასრულებს მზის რადიაცია, ჰაერის ცირკულაცია, ზღვასთან სიახლოვე (დაწვრ. იხ. კორძახია, 1961, გვ. 68—172). აქ ბარის და მთის ჰავაში დიდი სხვაობაა. ბარის ჰავის ცვლილება ძალიანაა დამოკიდებული შავი ზღვის და მისი ჰავის ზეგავლენაზე. შავიზღვისპირა დაბლობზე ყველაზე თბილი ზამთარი იცის. ქ. ბათუმის მიდამოებში იანვრის საშუალო ტემპერატურა +7 გრადუსამდეა. მთაში ზაფხული შედარებით გრილია. კოლხეთში შავი ზღვის მძლავრი გავლენისაგან ნოტიო-სუბტროპიკული ჰავა დომინირებს. ჰაერი მთელი წლის განმავლობაში მაღალი ტენიანობით ხასიათდება. კოლხეთში ქარის მიმართულება-სიჩქარეზე ძირითადად ხეობების, ქედების და ზეგნების განლაგება მოქმედებს. ხალხურ დაკვირვებაში შემორჩენილია ორი ქარის სახელი — „ზენა ქარი“ და „ქვენა ქარი“ (დასავლეთისა და აღმოსავლეთის), რომელთა მიმედინარეობაც მეურნე ცდილობდა ამინდის პროგნოზირებას და თავის სამეურნეო საქმიანობის შესაბამისად დაგეგმვას.

კოლხეთი მრავალფეროვანია თავისი მცენარეული საფარით. აქ დღესაც შეხვდებით რელიქტურ სახეობებს; არის ენდემური ჯიშები (კეცხოველი, 1959). ალპიური სარტყლის ქვემოთ მთა-მთისწინეთი, და ნაწილობრივ ბარიც, ძირითადად ტყითაა შემოსილი. ბარ-დაბლობში ტყეები ძირითადად მდინარეების ჭალებშია. ბარის მცენარეული საფარის ჩამოყალიბებაში შავი ზღვის სიახლოვეს წამყვანი მნიშვნელობა

აქვს. ზღვასთან სინოტივის მოყვარული მცენარეებია, ხოლო ზღვიდან დაშორებულ რეგიონებში — სიმშრალის მოყვარული.

კოლხეთის ბარ-მთისწინეთში გაბატონებულია ფოთლოვანი ხეები — მუხა, რცხილა, წაბლი, წიფელი, ცაცხვი, ნეკერჩხალი. შემორჩენილია, აგრეთვე, მესამეული პერიოდის ხეები — ლაფანი, ძელქვა. არის მარად მწვანე ბუჩქნარები — ბზა, წყავი, შქერი. დაბლობებში ტყე ჩახლართულია ხვიარებით (სურო, ღვედკეცი). ტყის ზედა სარტყელი დაახლოებით 1200 მ ზემოთ წიწვიან მცენარეებს უჭირავს (ნაძვი, სოჭი).

წინათ კოლხეთის დაბლობზე შემაღლებულ ადგილებში იზრდებოდა მუხა, რცხილა, წიფელი, რაც ახლა აქ თითქმის იშვიათობაა. ამ ხეების სამშენებლო მასალად გამოყენება არქეოლოგიური მონაცემებით ხშირად დასტურდება. კოლხეთის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ძვ. წ. III საუკუნის ზემოთ, ხე შეიძლება ძირითად სამშენებლო მასალად ჩაითვალოს. გათლილი ხისაგან და მორისაგან იგებოდა საცხოვრებელი სახლები, შენდებოდა თავდაცვითი ნაგებობები და ზოგჯერ ჭაობიან ადგილებში გზა-ტროტუარების გასამართავადაც გამოიყენებოდა. სტრაბონის ცნობით, „ქვეყანაში (კოლხეთში — გ. გ.) კარგი ნაყოფი მოდის, გარდა თაფლისა, რომელიც მეტწილად მწარეა. მოიპოვება გემთსაშენი ყველანაირი მასალა, რადგან იზრდება აქ მრავალი ტყე და მდინარეებით ჩამოაქვთ; ამუშავებენ ბლომად სელს, კანაფს, ცვილსა და ფისს. ხოლო სელის დამუშავება განთქმულიც კი არის; გააქვთ ქვეყნის გარეთაც“ (სტრაბონი, XI წ. II თ. 17). ტყეების სიუხვესვე ადასტურებს ძვ. წ. I ს. რომაელი მეცნიერი ვიტრუვიუსიც: „კოლხები პონტოს მხარეში ტყის სიუხვის გამო აწყობენ მიწაზე მარჯვნივ და მარცხნივ მთლიან ხეებს...“ (ვიტრუვიუსი, ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ, II წ. I თ. 4).

კოლხეთის ქვემო ნაწილი ტორფიან ჭაობებს უჭირავს. ჭაობის და მისი მიმდებარე ადგილებისათვის მცენარეებიდან ძირითადად დამახასიათებელია ლელიანები, ისლიანები, ჩალიანები, გვიმრიანები; სელი, კანაფი და სხვ.

ძველი კოლხეთის სამეურნეო ყოფისათვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ისეთი მცენარეების გავრცელებას, როგორიც იყო, მაგალითად, ხორბლის და ქერის მარცვალი, ვაზი, ფეტვი, ჭვავი, წაბლი, ღომი, კაკალი, თხილი, ლელვი, ზღმარტლი, ხახვი და სხვ.

კოლხეთის ბარ-დაბლობში უკეთესი მდგომარეობა იყო დასასახლებლად და სამეურნეო საქმიანობისათვის. ბუნებრივია აქ ხდებოდა კულტურულ-სამეურნეო მცენარეების ახალი ჯიშების შემოტანა-გავრცელება. ზოგ შემთხვევაში ახალი პროდუქტიული ჯიშების შემოტანით ძველი ტრადიციული ჯიშები თითქმის ქრებოდა. მაგალითად,

XVII ს-ში სიმინდის (გუგუშვილი, 1954, გვ. 48—49) შემოტანამ კოლ-ხეთში თანდათან თითქმის მოსპო ისეთი ძველი კულტურული მცენარე, როგორიც ღომია — Setaria italica, (ვახუშტი, 1973, გვ. 743—744; შარდენი, 1975, გვ. 221; ლამბერტი, 1960, გვ. 78; რუხაძე, 1960, გვ. 75—91). XVII ს. ცნობილი ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი აღნიშ-ნავს: „ღომი არის ფაფა, რომლითაც მეგრელები იკვებებიან ისევე, როგორც პურით“ (შარდენი, 1975, გვ. 221).

ცხოველთა სამყაროდან კოლხეთში, ენდემურის გარდა, მრავლა-დაა გავრცელებული ევროპული და მცირეაზიური სახეობები. მარტო კოლხეთის დაბლობზე მეცნიერ-მკვლევრების მიერ აღნუსხულია 380-მდე ხერხემლიანი ცხოველი (ჯანაშვილი, 1963, გვ. 65—66).

ცხოველთა სამყაროს სიმრავლეზე და მის მრავალფეროვნებაზე გარკვეულწილად, დამყარებული იყო მოცემულ ტერიტორიაზე მოსახ-ლეობის გამოკვება. ამიტომ აქ შინაური ცხოველების მოშენება ერთ-ერთი სამეურნეო საქმიანობა უნდა ყოფილიყო.

კოლხეთში ნადირობდნენ ისეთ გარეულ ცხოველებზე, როგორი-ცაა — არჩვი, ჯიხვი, გარეული ღორი, კურდღელი, ირემი, შველი, მუ-რა დათვი და სხვ.; მგლის, დათვის, ტურის, მელას, ფოცხვერის ტყავს სამოსის გასაკეთებლად იყენებდნენ. კოლხეთის მდინარეებში ბევრია კალმახი, ლოქო, ორაგული, წვერა. საკვებად გამოსაყენებელ ფრინ-ველთაგან გავრცელებულია ხოხობი, გარეული იხვი, ბატი, გნოლი, მწყერი. ამათგან, არა მარტო საშინაო, არამედ საგარეო ბაზარზე თით-ქმის მთელ მაშინდელ ცივილიზებულ სამყაროში სახელი მოიხვეჭა კოლხურ-ფასისურმა ხოხობმა Phasianus Colchicus, რომელიც ორ კილოგრამამდე იწონის. ფასისურ ხოხობს საკვებად განსაკუთრებით შეძლებული გურმანები ეტანებოდნენ და ამიტომ ეს დელიკატესი ძვირად ფასობდა, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ხოხობებს დე-კორატიული (ფარშევანგისნაირი) დანიშნულებაც ჰქონოდათ. ხოხობი მკვეთრადაა ნაირფერად შეფერილი, ხოლო ბუმბულზე ვერცხლისფე-რი ბზინვარება დაჰკრავს. XII ს. ავტორი ევსტატეუს თესალონიკელი ძველ გადმოცემებზე დაყრდნობით, ნაშრომში „ჰომეროსის ილიადას განმარტებები“, აღნიშნავს: „...ამბობენ მეფე პტოლემაიოსი გამოტყდა, რომ მას არ ეგემნა ფასისური ხოხობი, რადგან წინაპრები მას (ხო-ხობს) აშენებდნენ სილამაზისათვის...“ (XXII, 69).

ანტიკური წერილობითი წყაროებიდან ნათელია, რომ ხოხობის სახელი მაშინდელ ცივილიზებულ სამყაროში ფასისიდან არის გავ-რცელებული (ბერძნიშვილი, 1969, გვ. 36—37). ამიტომ არის, რომ ბერძნულად მას Φασιάνος ხოლო ლათინურად Fasianus-ი ჰქვია. შესა-ბამისად, ხოხობის სახელი ბერძნულ-ლათინურიდან შევიდა სხვა ევრო-

ბულ ენებში. ქართულ სინამდვილეში ხოხობი, ალბათ, იმდენად მნიშვნელოვანი, დელიკატესური საკვები ფრინველი იყო, რომ ქართულ გასტრონომიულ ფოლკლორში დღესაც იხმარება მისგან დამზადებული კერძი — ჩახოხბილი, რომელსაც ახლა უკვე ჩვეულებრივი ქათმისაგან ამზადებენ.

დასავლეთ საქართველოში არქეოლოგიურად მოპოვებულ მასალაში ხშირია ოსტეოლოგიური ნაშთები, რაც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ძველი კოლხეთის მოსახლეობის მეცხოველეობა-მონადირეობის შესახებ. ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში აქ მონადირეობას უკვე აღარ ექნებოდა ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობა, როგორც წინა ეპოქებში ჰქონდა.

რაც შეეხება მეცხოველეობას, არქეოლოგიურ მასალაში მსხვილი და წვრილი რქოსანი საქონლის (ხარ-ძროხა, თხა, ცხვარი) ძვლები მრავლად არის დადასტურებული. გვხვდება აგრეთვე ღორის, ძაღლის, ცხენის ძვლებიც. ეს ოსტეოლოგიური მონაცემები დღევანდელი დასავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელ შინაურ ცხოველთა სახეობებს ჩამოგავს (ციციშვილი, 1972, გვ. 213—251). საგულისხმოა, რომ არისტოტელე (ძვ. წ. IV ს.) ნაშრომში „ცხოველთა ისტორია“ კოლხეთის ტანმორჩილ ძროხებს აღწერს: „მეწველი ცხოველი მეტ თუ ნაკლებ რძეს მოიწველის, დამოკიდებულია ტანის სიდიდეზედაც და საზრდოს ნაირფეროვნებაზეც. მაგალითად, ფასისთან არიან მომცრო ძროხები, რომელთაგან თითოეული ბევრ რძეს იწველის...“ (III, 21). გამწევ-სატრანსპორტო პირუტყვიდან არქეოლოგიურ მასალაში ძირითადად დადასტურებულია ხარისა და ცხენის ძვლები (გამრეკელი, 1979, გვ. 38—40).

ხარის სამეურნეო საქმიანობაში გამოყენების შესახებ კოლხეთში აღნიშნავს აპოლონიოს როდოსელი (ძვ. წ. III ს.) „არგონავტიკაში“: „არესის ველზე საბალახოდ გაშვებული მყავს ორი სპილენძისჩლიქებიანი ხარი, რომლებიც ცეცხლს აფრქვევენ. მე მათ უღელში ვაბამ და ხოდაბუნისაკენ მივერეკები. ამ ადგილს სწრაფად ვხნავ გუთნით...“ „...ხარებს უღელში დილით ადრე ვაბამ, ხოლო საღამო ხანს მკას ვათავებ“ (არგონავტიკა, III, 405—415).

საერთოდ, კოლხეთში და განსაკუთრებით მის დაბლობ ნაწილში წვიმების სიუხვე, თბილი ზამთარი და ხანგრძლივი ზომიერად ცხელი ზაფხული ხელსაყრელ პირობებს ქმნის სამეურნეო-აგრარული საქმიანობისათვის, კერძოდ, მემარცვლეობის, მებოსტნეობის და მევენახეობა-მეხილეობის განვითარებისათვის, რაც კოლხეთს ძველი სამიწათმოქმედო ქვეყნების რიგში აყენებდა (გუგუშვილი, 1954, გვ. 48; Семенов, 1974, გვ. 48—50; Вавилов, 1962, გვ. 30).

ხსენებული სამიწათმოქმედო-სამეურნეო დარგების განვითარება მოცემული რეგიონისათვის დამახასიათებელ კვების რაციონს აყალიბებდა. ასეთი რაციონის გასტროკალორიული პროდუქტები კი, თავის მხრივ, იწვევდა გარკვეული ფიზიონომურ-ფსიქიკური, კოლხეთისათვის დამახასიათებელი ადამიანის ტიპის განვითარება-გამრავლებას. ერთი მხრივ, ზემოთ ხსენებულ გარემოებას და, მეორე მხრივ, საერთოდ საწარმოო ძალთა განვითარებას და ჭარბი პროდუქციის წარმოებას კოლხეთში დემოგრაფიული ზრდა უნდა გამოეწვია (მაგ. იხ. Лордкипанидзе, Микеладзе, 1981, გვ. 302—303).

კოლხეთის დაბლობი გარშემორტყმულია ნაოჭა სისტემებით და გამოირჩევა მეტი მდგრადობითა და სტაბილურობით. მის უკიდურესად დაბალ ნაწილში გავრცელებულია ტორფიან-ჭაობიანი ნიადაგები. მდინარეთა აუზებში გვხვდება ალუკიური მიწები. კოლხეთის აღმოსავლეთ ნაწილში ძირითადად ალუვიურთან ერთად ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგებია. ჰავა აქ გარდამავალია ნოტიოდან მშრალისაკენ და ზაფხული თბილი იცის. კოლხეთის დაბლობთან შედარებით წვიმები აქ ნაკლებია.

დასავლეთ კოლხეთის კლიმატურ-გეოგრაფიული გარემოს შესახებ ჯერ კიდევ ძვ. წ. IV ს. მცხოვრები განთქმული ბერძენი მეცნიერი ჰიპოკრატე გადმოგვცემს: „ეს ქვეყანა ჭაობიანია, თბილი, წყლიანი და ტყიანი. წლის ყოველ დროს აქ ხშირი წვიმები იცის. ადამიანებს საცხოვრებელი ჭაობებში აქვთ. მათ ხისა და ლერწმის სახლები წყალზე აქვთ". „ფასისი მდინარეთა შორის ყველაზე დინჯია და ჭდორედ მოედინება"; „აქ ბევრი სამხრეთის ქარი ქრის, გარდა ერთი ადგილობრივი ქარისა. ხოლო ეს ხანდახან ძლიერად უბერავს და ცხელია. ამ ქარს ეწოდება „ქენხრონის". ჩრდილოეთის ქარი აქამდე თითქმის ვერ აღწევს, ხოლო როცა უბერავს, ის სუსტია და წყნარი". „...ფასისელებს სხვა ხალხთან შედარებით ძალიან განსხვავებული გარეგნობა აქვთ" (ჰიპოკრატე, ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ, § 15).

ასევე ახასიათებს კოლხეთის დაბლობის კლიმატურ პირობებს XVII ს. იტალიელი კათოლიკე მოგზაურ-მისიონერი არქანჯელო ლამბერტი: „კოლხეთს ადგილმდებარეობის გამო ისეთი ნოტიო ჰავა აქვს, რომლის ნაირი არსად არ მოიპოვება. მიზეზი ამისა ის არის, რომ დასავლეთით, შავი ზღვიდან ჰქრის ნამიანი ჰაერი და აღმოსავლეთით კი აკრავს კავკასიონი, საიდანაც მრავალი მდინარე ჩამოედინება. ამას ემატება ხშირი ტყეები, რომლის გამოც ჰაერი ცუდად მოძრაობს. ზღვის ქარი ძალიან ხშირია და მას ხშირადვე მოსდევს წვიმა" (არქანჯელო ლამბერტი, 1938, გვ. 19—20).

კოლხეთის ჰავისა და ტყიანი საფარის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის XVIII ს. ქართველი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“: „და არს ქვეყანა ესე ფრიად ტყიანი, რამეთუ იშვიათ არს ველნი, თუ არ ადგილ-ადგილს მცირენი, თვინიერ სახვნელთაგან. არამედ ტყენი ადგილ-ადგილ ხილიან-ვენახიანი. ჰავითა კეთილ-მშუენი. გარნა ტყის გამო ზაფხულს იმყოფის სიცხე, ვინაითგან ძნიად იძვრის ქარნი, და არა გაუძლისი სიცხე, თვინიერ ადგილთა რომელთამ. ზამთარი თბილი, რამეთუ ვერ ოდეს განჰყინავს მდინარეთა, ვერცა გუბესა, რომელსა ზედა შედგეს უტყვი ანუ მეტყუელი. არამედ თოვლი დიდი, რომლისა სიმაღლე ოდესმე მხარი და უმეტესიცა. თუალთა ქუეშე შუენიერება ეგოდენ არა მზენარობს ტყის გამო, თვინიერ ადგილ-ადგილთა, რამეთუ, უკეთუ დახედო მაღლის მთიდამ, იხილავ სრულიადს იმერეთს ტყედ...“ (ვახუშტი, 1973, გვ. 743).

მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ კოლხეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული და აგროკლიმატური. აქედან გამომდინარე, საწარმოო-სამეურნეო პირობები უკანასკნელი ოცდასამი საუკუნის განმავლობაში დიდად არ შეცვლიდა, საერთოდ, ჰოლოცენში კოლხეთის ბიოგეოგარემო, და უპირველესად კლიმატი, დღემდე არსებითად არ შეცვლილა (ჯანელიძე, 1991, გვ. 68—69). ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ XIX საუკუნიდან მოყოლებული, საწარმოო ტექნიკის განვითარებამ, ადამიანის გაცხოველებულმა სამეურნეო საქმიანობამ, ტყეების დიდი რაოდენობით გაჩეხვამ, ჭაობების ამოშრობამ და ა. შ., ბუნებრივია, კოლხეთის გეოკლიმატურ პირობებზე უარყოფითად იმოქმედა (Уклеба, 1983, გვ. 29—39; Джанелидзе, 1980, გვ. 149).

ძველი კოლხეთის ისტორიულ განვითარებაში ანგარიშგასაწევია ბიოგეოგარემოს ზოგიერთი ფაქტორ-კომპონენტის უარყოფითი მხარე. კერძოდ, კოლხეთში აგროკლიმატური პირობები კარგია, მაგრამ დასამუშავებელი ფართობები ცოტაა, რაც მიწათმოქმედების ინტენსიური განვითარებისათვის არახელსაყრელი იქნებოდა და, შესაბამისად, დემოგრაფიულ სიტუაციაზეც იმოქმედებდა. დასავლეთ კოლხეთის ჭაობიანობა იწვევდა სხვადასხვა დაავადებას, რაც, აგრეთვე, უარყოფითად იმოქმედებდა მოსახლეობის გამრავლებაზე. კოლხეთის მთაგორიანი და ჭაობიანი ლანდშაფტი სახმელეთო კომუნიკაციების გასამართავად მოუხერხებელი იყო, რაც გამოიწვევდა ვაჭრობის შეფერხებას. კოლხეთის სასარგებლო მადნეული საფუძვლად დაედო გადამამუშავებელ სამეურნეო-საწარმოო საქმიანობას, მაგრამ ეს უკანასკნელიც, გარკვეული ტექნოლოგიური მიზეზების გამო, ეტყობა სრულად არ იყო გამოყენებული. უარყოფითი როლი ითამაშა, აგრეთვე, ზღვის ტრანსგრესიამ, რამაც სანაპიროზე მდებარე სავაჭრო-სამეურნეო საქმიანო-

ბის სტაგნაცია გამოიწვია. კოლხეთის ზღვის სანაპიროზე ბუნებრივი ყურეები ცოტაა, რაც ნავთსაყუდლების მოწყობის სიმცირეს იწვევდა და, აგრეთვე, უარყოფითად ზემოქმედებდა ზღვაოსნობის ინტენსიურ განვითარებაზე.

ძველი კოლხეთის ბიოგეოგარემოს წერილობითი და არქეოლოგიური მიმოხილვიდან ნათლად ჩანს, რომ ბიოგეოგარემომ წამყვანი როლი ითამაშა კოლხეთის ისტორიული განვითარების პროცესში.

კოლხეთი მთებითა და ზღვით კარგად შემოსაზღვრული ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი იყო, რაც გეოპოლიტიკურად გარკვეულ ბუნებრივ დამცავ არეს ქმნიდა. ნოყიერი ნიადაგი, მრავალფეროვანი რელიეფი, ზომიერი კლიმატი, ჰიდრორესურსების სიმრავლე, მადნეულის სიუხვე, ფლორის და ფაუნის მრავალსახეობა საზოგადოების პროგრესისათვის კარგ საფუძველს იძლეოდა. უპირატესად კი ამაზე არის დამოკიდებული საზოგადოების სამეურნეო-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ფიზიოლოგიურ-ფსიქიკური, ინტელექტუალურ-ტექნიკური, სავაჭრო-კომუნიკაციური, გეოპოლიტიკურ-სტრატეგიული, სულიერ-კულტურული განვითარების მაღალი დონე.

აქედან გამომდინარე, კოლხეთში, ცენტრით მდინარე რიონზე (დაწვრ. იხ. Гамкрелидзе, 1992) ჩამოყალიბდა ფრიად თავისებური ისტორიულ-კულტურული, ლოკალური ცივილიზაციის არე (ჩვენ გარკვეულად ვიზიარებთ ლ. მეჩნიკოვის კონცეფციას სამდინარო ცივილიზაციების შესახებ — იხ. Мечников, 1924, გვ. 57—61) და ანტიკურ ხანაში აქ განვითარდა სახელმწიფოებრიობა (იხ. Лордкипанидзе Г., 1978; Лордкипанидзе, 1979). ეს არე დროთა განმავლობაში, ადამიანის და ბიოგეოგარემოს ურთიერთზემოქმედების შედეგად, ევოლუციას განიცდიდა. მისი ისტორიული განვითარების დონე, ეკონომიკა და პოლიტიკური მდგომარეობა სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვანაირი იყო. ანტიკური ხანის კოლხეთს გეოპოლიტიკურად საკვანძო ტერიტორია ეკავა. აქ ხდებოდა აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების გარკვეული თანხვედრა.

ასეთი იყო ძველი კოლხეთის ისტორიული ევოლუციის პროცესში ბიოგეოგარემოს როლი. ისტორიული განვითარების განხილვისას ჩვენ იერარქიულად პირველ ადგილზე ბიოგეოგარემოს ვაყენებთ. მხოლოდ ამ გარემოსთან ურთიერთზემოქმედებაში ქმნის ადამიანი სოციოგარე-

მოს, რაზედაც დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიული წინსვლის შემდგომი ბედი.

ანტიკური ხანის კოლხეთის საერთო მიმოხილვიდან გამოჩნდა, რომ ბიოგეოგარემომ ძირითადი როლი შეასრულა მისი ისტორიული განვითარების პროცესში და სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებაში.

სამწუხაროდ, იმის გამო, რომ ძველი კოლხეთის შესახებ კონკრეტული სტატისტიკური პონაცემები არ გაგვაჩნია, ჩვენი სქემა კოლხეთთან მიმართებაში ზოგადი გამოდის. ხელთ არა გვაქვს ისტორიული განვითარების მამოძრავებელი ფაქტორების (ორი ძირითადი — ბიოგეოგარემოს, სოციოგარემოს და მათგან გამომდინარე სხვა ფაქტორების) შესახებ ზუსტი ცნობები. შესამუშავებელია ფაქტორების სიდიდის განსაზღვრის მეთოდიკა. მაგალითად, სავაჭრო-კომუნიკაციური, ინტელექტუალური, დემოგრაფიული, საგარეო ფაქტორის ინტენსიობა-სიდიდე.

ბიოგეოგარემო არის სოციოგარემოს, საზოგადოების განვითარების ძირითადი დეტერმინატორი, რაც კარგად ჩანს ძველი კოლხეთის მაგალითზეც. ძველი საქართველოს და, კერძოდ, კოლხეთის ტერიტორია, მისი ბიოგეოგარემოს პირობების თვალთახედვით, კარგ რეგიონს წარმოადგენდა პირველყოფილი ადამიანის არსებობისათვის; — შემდგომში მაღალგანვითარებული საზოგადოების და ქვეყნის განვითარებისათვის. ანტიკურ ხანაში აქ, არსებული ბიოგეოგარემოს შესაბამისად, ცენტრით მდინარე რიონზე (ფასისზე) თავისებური ლოკალური ცივილიზაციის არე ჩამოყალიბდა.

## დამოწმებული ლიტერატურა


ბიბლია, დაბადება, თბ., 1989.

ბერძნიშვილი, მ., ქ. ფაზისის ისტორიისათვის, თბ., 1969.

ბერძენიშვილი, ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1975.

გერაძე თ., ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, თბ., 1981.

ბოჭორიშვილი ლ., ოქრომჭედლობა სვანეთში, საქ. მეცნ. აკად. „მოამბე", თბ., 1946, № 5, გვ. 284—285.

გაგუა გ., კოლხეთის აგროკლიმატური რესურსების რაციონალური გამოყენების პრობლემა, თბ., 1988.

გამრეკელი მ., შინაური ცხენები ვანის ნაქალაქარიდან, ვანი IV, თბ., 1979, გვ. 38—40.

გამყრელიძე გ., აზო-ფარნავაზის დროინდელი კოლხეთის ისტორიისათვის, „მაცნე", ისტორიის... სერია, თბ., 1985, № 3, გვ. 86—99.

გამყრელიძე გ., ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, თბ., 1982.

გამყრელიძე გ., წყალქვეშა არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევა-ძიება ქ. ფოთის მიდამოებში, „მაცნე", ისტორიის... სერია, თბ., 1987, № 1, გვ. 98—117.

გამყრელიძე გ., წყალქვეშ მოქცეული არქეოლოგიური ძეგლები, ჟურნ. „ძეგლის მეგობარი", თბ., 1988, № 4, გვ. 44—50.

გ ე ო რ გ ი კ ა, III (ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა), თბ., 1936.

გ ე ო რ გ ი კ ა II (ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა), თბ., 1965.

გ ვ ა ლ ი ა ტ., გეოგრაფიული ფაქტორისა და ქართული კულტურის ურთიერთმიმართების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1991.

გ ო რ დ ე ზ ი ა ნ ი რ., ფასისის ეტიმოლოგიისათვის, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, B 2(140), თბ., 1971, გვ. 181—186.

გ უ გ უ შ ვ ი ლ ი პ., მარცვლეული მეურნეობა საქართველოში და ამიერკავკასიაში, თბ., 1954.

ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.

ზ ა რ დ ა ლ ი შ ვ ი ლ ი გ., ადამიანი და გეოგრაფიული გარემო, თბ.,1952.

კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი ნ., საქართველოს მცენარეული საფარი, თბ., 1959.

კ ვ ი რ კ ვ ე ლ ი ა გ., უცხოელი მეცნიერები უძველესი ქართველი ტომების მელითონეობის შესახებ, თბ., 1976.

კ ო რ ძ ა ხ ი ა მ., საქართველოს ჰავა, თბ., 1961.

კ ო ჭ ლ ა ვ ა შ ვ ი ლ ი ა., საქართველოს სამთამადნო მეტალურგიული მრეწველობის განვითარება XIX ს., თბ., 1962.

ლ ა მ ბ ე რ ტ ი ა რ ქ ა ნ ჯ ე ლ ო, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938.

ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ო თ., ძველი კოლხეთის კულტურა, თბ., 1972.

ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ო თ., ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966.

ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ო თ., ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მომავალი გზის შესახებ, საქ. მეცნ. აკად. „მოამბე", XIX, თბ., 1957, № 3, გვ. 377—384.

შ ა რ გ ი ა ნ ი გ., გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოების განვითარებაში, თბ., 1985.

მ ა რ უ ა შ ვ ი ლ ი ლ., საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, II, თბ., 1970.

მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი გ., შავი ზღვა ძვ. წ. XIII—XII სს. ასურულ ლურსმულ წარწერაში, კრებ. კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1956, გვ. 26—33.

მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977.

რ უ ხ ა ძ ე ჯ., ღომის კულტურა დასავლეთ საქართველოში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XI, თბ., 1960, გვ. 75—91.

უ რ უ შ ა ძ ე აკ., ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964.

ფ ლ ა ვ ი უ ს ა რ ი ა ნ ე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო (ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა ნ. კეჭაღმაძემ), თბ., 1961.

ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი თ., ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1967.

ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი თ., სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957.

ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი თ., ჰიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1965.

ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი თ., აპიანე, თბ., 1959.

ყ ო რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი გ., გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოების განვითარებაში, თბ., 1975.

ყ ო რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი გ., საზოგადოების განვითარებაში გეოგრაფიული გარემოს როლის საკითხისათვის, „მაცნე", ისტორიის... სერია, თბ., 1971, № 2, გვ. 85—97.

შარდენი ჟან, მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (თარგმნა მ. მგალობლიშვილმა), თბ., 1975.
ჩხატარაიშვილი ქ., ქართული ფეოდალური სამხედრო ორგანიზაციის ისტორიიდან, „მაცნე", ისტ. სერია, თბ., 1971, № 4, გვ. 131—139.
ციციშვილი ა., ვანის არქეოლოგიური გათხრებისას მოპოვებული ცხოველთა ძვალეულის ნაშთები, ვანი I, თბ., 1972, გვ. 243—251.
ძველაია მ., კოლხეთის დაბლობი, თბ., 1973.
ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I წ., თბ., 1963.
ჭყონია ა., ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან, ვანი VI, თბ., 1981, გვ. 92—99.
ჯანაშვილი ა., საქართველოს ცხოველთა სამყარო, III ტ., თბ., 1963.
ჯანაშია ს., ფასიდი, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 271—281.
ჯანელიძე ვ., საქართველოს ბუნებრივი გარემო ქვის ხანაში, საქართველოს არქეოლოგია, I ტ., თბ., 1991, გვ. 50—69.

Анучин В., Географический фактор в развитии общества, М., 1982. Атлас Грузии, Тб., 1964.
Берадзе Т., Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, Тб., 1989.
Блаватский В., Природа и Античное общество, М., 1976.
Бокль Г., История цивилизации в Англии, С.-Петербург, 1906.
Вавилов Н., Пять континентов, М., 1962.
Вернадский В., Биосфера, Л., 1926.
Вернадский В., Несколько слов о ноосфере, сб. Успехи современной биологии, XVIII т., вып. 2, 1944, с. 23—31.
Вернадский В. Биосфера и ноосфера, М., 1989.
Витрувий, Десять книг об архитектуре, М., 1936.
Вылканов А., Данов Х., Маринов Х., Владев П., Черноморские лиманы и лагуны, сб. Черное море, Л., 1983.
Гамкрелидзе Г., Вопросы развития гидроархеологии в Грузии, Сообщения АН Грузии, Тб., 1986, № 3 (122), с. 502—508.
Гамкрелидзе Г., Гидроархеологические работы в зоне предполагаемого расположения древнего Фасиса, Материалы V Международного симпозиума по истории Причерноморья (Вани), Тб., 1990, с. 215—219.
Гамкрелидзе Г., К археологии долины Фасиса, Тб., 1992.
Гвоздецкий Н., Физическая география Кавказа, М., 1958.
Гозалишвили Г., О древнем торговом пути в Закавказье, Труды института истории, Тб., 1956, с. 153—160.
Гумилев Л., Этногенез и этносфера, жур. Природа, М., 1970, № 1, с. 50—63.
Джанелидзе Ч., Палеогеография Грузии в голоцене, Тб., 1980.
Ермолаева В., Калькова В., Учение В. Вернадского о ноосфере, М., 1989.
Крачковский И., Арабская географическая литература, Избранные соч., IV т., М., 1957.
Латышев В., Scythica at Caucasica, I—II т., С.-Петербург, 1904.
Лапо А., Следы былых Биосфер, М., 1979.
Лордкипанидзе Г., Колхида в VI—II вв. до н. э., Тб., 1978.

Лордкипанидзе О., Древняя Колхида (миф и археология), Тб., 1979.
Лордкипанидзе О., Микеладзе Т., О демографической ситуации в Колхиде в период Великой греческой колонизации, Материалы II симпозиума по истории Причерноморья, Тб., 1981, с. 292—314.
Мечников Л., Цивилизация и великие исторические реки, М., 1924.
Монтескье Ш., Избранные произведения, М., 1955.
Поннамперума С., Происхождение жизни, М., 1977.
Ратцель Ф., Человечество как жизненное явление на земле, М., 1901.
Ратцель Ф., Земля и жизнь, I, II т., С.-Петербург, 1905—1906.
Ратцель Ф., Политическая география, С.-Петербург, 1897.
Риттер К., Землеведение Азии, 1—5 т., С.-Петербург 1856—79.
Роль географического фактора в истории докапиталистических обществ. Лен., 1984.
Семенов С., Происхождение земледелия, Лен., 1974.
Уклеба Д., Антропогенные ландшафты Грузии, Тб., 1983.
Хахутайшвили Д., Производство железа в Древней Колхиде, Тб., 1987.
Ямпольский З., К изучению древнего пути из Каспийского моря по р. Куре через Грузию к Черному морю. Труды института истории, Тб., 1956, с. 153—160.

Gamkrelidze Gela, Travaux hydroarcheologiques de localisation de l'ancienne Phasis, Le Ponteuxin vu par les Grecs, Annales litteraires de l'Universite de Besancon, Paris, 1990, p. 223—226.
Gamkrelidze Gela, Hydroarcheology in the Georgian Republic (The Colchian littoral), The International Journal of Nautical Archaeology, London, 1992, № 2, vol. 21, p. 101—109.
Bickerman E., Chronology of the Anciens World, London, 1969.
Huntington E., Civilisation and climate, Oxford University Press, 1925.
Markhem S., Climate and Energy of Nations, Oxforb University Press, 1942.
Petulla J., American environmentalism (values, tactics, priorities), London, 1980.

# საგარეო ფაქტორი კოლხეთის ისტორიული განვითარების პროცესში

ისეთ გეოპოლიტიკურ გარემოში მყოფი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც კოლხეთი იყო, საგარეო ფაქტორს დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ამის გათვალისწინება სრულიად აუცილებელია კოლხეთის ისტორიის რიგი საკითხების ასახსნელად.

საგარეო ფაქტორი ამა თუ იმ ქვეყნის გეოპოლიტიკური სინამდვილის ნაწილია. მეზობელი ქვეყნები ერთმანეთზე ზოგჯერ სასიკეთო, ხოლო ზოგჯერ უკეთურ გავლენას ახდენენ. საგარეო ფაქტორი ქვეყნის ისტორიაში ხან კონსტრუქციულ, ხან კი დესტრუქციულ როლს თამაშობდა. კონსტრუქციულია, მაგ., საგარეო-სავაჭრო, სამეურნეო, კულტურული ინოვაციები; დესტრუქციულია — საომარი თავდასხმის შედეგად ქვეყნის დაპყრობა, საზოგადოებრივი წყობის ტრადიციული სტრუქტურების შეცვლა, საბრძოლო მოქმედებების შედეგად სოფლების და ქალაქების დანგრევა, მატერიალურ ფასეულობათა ძარცვა-განადგურება, ქვეყნის ეკონომიკური საფუძვლის მოშლა და ა. შ.

აზიისა და ევროპის საზღვარზე მდებარე კოლხეთი ორი დიდი პოლიტიკურ-ეკონომიკური ძალის, ერთი მხრივ, ირანული და, მეორე მხრივ, ანტიკური ორიენტაციის ქვეყნების საომარი მოქმედებების ასპარეზი იყო. ასეთ გარემოცვაში მყოფი კოლხეთი ძლიერი მეზობელი ქვეყნებისაგან ხშირ აგრესიას განიცდიდა.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში პროტოსახელმწიფოს ჩასახვის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად ომისათვის მზადებას (თავდაცვას ან თავდასხმას) მიიჩნევენ (Claessen, Skalnik, 1978, გვ. 619—636). ომისათვის მზადება, საომარ მდგომარეობაში ყოფნა, გამორჩეულ წინამძღოლ-პიროვნებათა აღზევებას, საზოგადოების შეკვრა-მობილიზებას და მეტ ორგანიზებულობას იწვევდა, რაც თავის მხრივ, საზოგადოების განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე აყვანაში და სახელმწიფოებრიობის წარმოქმნაში გამოიხატებოდა (Claessen, Skalnik, 1978, გვ. 625—636). ჩამოყალიბებული სახელმწიფოს განვითარებაშიც „საომარ ფაქტორს", საგარეო ფაქტორის შემადგენელ ნაწილს, აგრეთვე დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ჩამოყალიბებულ, განვითარებულ სახელმწიფოში ეს ფაქტორი დადე-

ბით (ქვეყნის კონსოლიდაცია-დარაზმულობა, საზოგადოებრივი წესრიგის ამაღლება, საფორტიფიკაციო-კომუნიკაციური მშენებლობა და სხვ.) ან უარყოფით (სახელმწიფოებრიობის დაკარგვა, ტრადიციული ცხოვრების წესის მოშლა, ეკონომიკური ზარალი და სხვ.) შედეგს იწვევდა.

ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში ურარტუელების და სკვითების აგრესიულმა მეზობლობამ კოლხეთის გეოგრაფიულად კარგად შემოსაზღვრულ რეგიონში მომხდურთან დასაპირისპირებლად საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების თავდაცვითი ორგანიზება და შეკვრა-კონსოლიდაცია გამოიწვია. მოცემულ საგარეო ფაქტორს შემდგომში, ძვ. წ. IV საუკუნისათვის, კოლხეთის სამეფოს ჩამოყალიბება-განვითარების პროცესში საგრძნობი როლი უნდა შეესრულებინა.

კოლხური სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაში გამორჩეული, კონსტრუქციული (საგარეო ფაქტორი) ადგილი ეჭირა სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებს. საგარეო ფაქტორის ხსენებული ნაწილები ანტიკურ სამყაროსთან მიმართებაში მონოგრაფიულად დაწვრილებით განხილული აქვს პროფ. ოთ. ლორთქიფანიძეს ნაშრომში — „ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი". ამიტომ ჩვენ დაწვრილებით მასზე აღარ შევჩერდებით (ლორთქიფანიძე, 1966).

საგარეო ფაქტორად უნდა ჩაითვალოს ე. წ. „ბერძნული კოლონიზაციის" მიმდინარეობა კოლხეთის ზღვისპირეთში, კერძოდ, საინტერესოა ის, თუ რა გავლენა მოახდინა მან კოლხური საზოგადოების პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე (დაწვრილებით იხ. Лордкипанидзе, 1977; ლომოური, 1962; ინაძე, 1982; Микеладзе 1980, გვ. 164—170; Лордкипанидзе Г., 1979, გვ. 322—326).

უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, საბერძნეთიდან გასული მოსახლეობის ახალშენებს შორის გარკვევით გაიმიჯნა სავაჭრო და აგრარული კოლონია — აპოიკიები. ამ ორ ფორმას, როგორც სავაჭროს, ასევე აგრარულს, აქვთ თავიანთი მოქმედება-გავრცელების მექანიზმი; პირველს — კომერციულ-სავაჭრო, მეორეს — ტერიტორიული (Vallet, 1973, გვ. 53—72). პირველი, ჩვენი აზრით, კონსტრუქციული საგარეო ფაქტორი უნდა ყოფილიყო, რადგან დამყარებულია სავაჭრო-ეკონომიკურ ბრუნვაზე და ორივე ქვეყნისთვის მომგებიანი იყო. ასეთი კოლონიები დაარსებულია, როგორც ემპორიონები. მეორე — დესტრუქციული საგარეო ფაქტორია ადგილობრივი მოსახლეობისათვის, რადგან მას თან ახლავს ისეთი მოვლენები, როგორიცაა ტერიტორიის დაკარგვა და ადგილობრივი მოსახლეობის დამონება ან განდევნა. ასეთი კოლონიები თავიდანვე დაარსებულია, როგორც პოლისები, თვითმმართველობით და სასოფლო-სამეურნეო ხასიათით. არსე-

ბობს, აგრეთვე, სტრუქტურულად და ეთნიკურად შერეული სახის ახალშენები.

შავი და ხმელთაშუა ზღვების სანაპიროების ბერძნული კოლონიების მეცნიერულმა შესწავლამ (ბიბლიოგრაფია იხ. Качарава, Квирквелия, 1991) ცხადი გახადა, რომ ახალშენები არსდებოდნენ, ვითარდებოდნენ და სხვადასხვა ქრონოლოგიურ ეტაპზე ტრანსფორმაციას განიცდიდნენ (ინაძე, 1982, გვ. 78). მეტროპოლიიდან შორს დაარსებული ახალშენები დროთა განმავლობაში ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტების შედეგად სიმბიოზს და ცვალებადობას განიცდიდა. ეს ცვლილებები დიდად იყო დამოკიდებული ადგილობრივ ბიოგეოგარემოზე და სოციოგარემოზე. პირველ რიგში სწორედ მათზეა (ბიოგეოგარემოზე და სოციოგარემოზე) დამოკიდებული დროთა განმავლობაში კოლონიებში მეტროპოლიისაგან განსხვავებული საზოგადოებრივი და ეკონომიკური წყობის განვითარება. ამიტომ პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ რომელ გეოგრაფიულ რეგიონში არსდებოდა ესა თუ ის ახალშენი.

ანტიკურ წერილობით წყაროებში მოხსენიებული კოლხეთის სანაპიროზე მდებარე ქალაქები ფასისი, გიენოსი, დიოსკურია ბერძნებმა დააარსეს, როგორც ემპორიონები. მათი დაარსების ძირითადი მიზანი იყო, პირველ რიგში, ადგილობრივი ნედლეულის (მადნეულის, ხე-ტყის, სელის, სელის ზეთის, ცვილის და ა. შ.) გატანა და სანაცვლოდ კოლხეთში სხვადასხვა ფუფუნების საგნების (ნატიფი კერამიკის, სამკაულების, ლითონის ჭურჭლის, ნელსაცხებლების და ა. შ.) შემოტანა, რაც წერილობითი და არქეოლოგიური წყაროებით დასტურდება. ადგილობრივ სამოსახლოებთან დაარსებული ამ ემპორიონების საშუალებით ხორციელდებოდა ძირითადად კოლხეთის ეკონომიკურ-კულტურული ჩაბმა უცხოეთის მოწინავე ქვეყნების ურთიერთობების ორბიტაში (დაწვრილებით იხ. Лордкипанидзе, 1977 და იქ დასახ. ლიტ.). ამდენად, ზღვის სანაპიროზე ემპორიონების წარმოქმნა თვით კოლხეთის სამეფოს ინტერესებში შედიოდა.

ასეთი მდგომარეობა, ჩვენი აზრით, გაგრძელდა ძვ. წ. IV ს. ბოლომდე. კოლხეთის სამეფოს დაშლის მერე კი სანაპიროზე მდებარე ემპორიონები თანდათან ანტიკურ ქვეყნებსა და შიდა კოლხეთს შორის ბუფერული, ეთნიკურად შერეული პოლისური ტიპის ქალაქ-სახელმწიფოებად ტრანსფორმირდნენ (იხ. გამყრელიძე, 1985, გვ. 95).

ამრიგად, ბერძნულ სავაჭრო „კოლონიზაციას“, როგორც საგარეო ფაქტორს, კოლხეთისათვის უნდა მოჰყოლოდა ძირითადად კონსტრუქციული, დადებითი ძვრები, კერძოდ, საზღვაო ვაჭრობის შედეგად საერთაშორისო ურთიერთობებში ჩაბმა; ადგილობრივი მოსახლეობა გა-

ეცნო იმ ხანად მოწინავე ბერძნულ სამეურნეო, საზოგადოებრივ და კულტურულ მიღწევებს, რამაც მნიშვნელოვანი სტიმული მისცა კოლხურ საზოგადოებაში საქალაქო ცხოვრების დაწინაურებას.

კოლხეთმა, ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით ეგრისმა, რთული ისტორიული გზა განვლო. მისი ეკონომიკა და პოლიტიკური მდგომარეობა სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვანაირი იყო. კოლხეთის ისტორიული განვითარების პროცესში წამყვანი როლი შეასრულა ბიოგეოგარემომ. უმეტესად ამაზე იყო დამოკიდებული მოსახლეობის სამეურნეო-ეკონომიკური, დემოგრაფიული და სულიერ-კულტურული მდგომარეობა.

ეგრისის სახელით ქართულ წერილობით წყაროებში ზოგჯერ მთელი დასავლეთ საქართველო აღინიშნება — „ხოლო ეგროსს მისცა ქუეყანა ზღვის ყურისა, და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა აწ ჰქვიან ლიხი დასავლით ზღუა; ჩრდილოთ მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუთების წუერი კავკასისა. ხოლო ამან ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი ეგრისი. აწ ამას ადგილსა ჰქვიან ბედია“ (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 5).

მაშასადამე, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ეგრისს გარკვეულ პერიოდში აღმოსავლეთით საზღვრავს სურამის ანუ ლიხის ქედი; დასავლეთით — ზღვა, ჩრდილოეთით — კავკასიონის მთები, რომელიც აღწევს ზღვამდე მდ. ფსოუსთან; ხოლო სამხრეთით აჭარა-ლაზეთის მთიანეთი — „მეშვიდე გაგზავნა კლარჯეთის ერისთავად, და მისცა არსიანითგან ზღუამდე. და მერვე, ქუჯი, იყო ერისთავი ეგრისისა“ (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 24). ქართული და უცხოური წერილობითი წყაროების შედარებისას ეგრისის საზღვრები ძნელად გასარკვევი ჩანს.

ეგრისი ქართულ წერილობით წყაროებში არსად არ აღინიშნება; როგორც სამეფო — „ეგრისის სამეფო“ (შეად. ჯანაშია, 1952, გვ. 307—321; ლომოური, 1968). ეგრისი უმეტესად იხსენიება, როგორც საერისთავო — „და მერვე, ქუჯი, იყო ერისთავი ეგრისისა“ (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 24). „და მისცა ქუჯის ქუეყანა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღვითგან მთამდე, რომელსა შინა არის ეგრისი და სუანეთი და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ“ (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 23—24). „და გარდამოვლეს გზა თაკუერისა, და მოვიდეს ერისთავთა თანა ეგრისათა“ (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 57). ზოგჯერ ეგრისი ჰერეთისნაირი სტატუსის მქონე ოლქად არის ნახსენები — „და ამისა შემდგომად განდგეს კლარჯნი ვარაზ-ბაქარისაგან და მიერთნეს ბერძენთა. და დაიპყრეს ბერძენთა თუხარისი და ყოველი კლარჯეთი ზღვითგან არსიანთამდე. და დარჩა ვარაზ-ბაქარს ქართლი თვინიერ კლარჯეთისა და ჰ ე რ ე თ ი და ე გ რ ი ს ი“ (ქართლის ცხოვ-

რება, 1955, გვ. 136). ანდა „და მეფობდა ესრეთ მირიან მცხეთით გალმართ ქ ა რ თ ლ ს, ს ო მ ხ ი თ ს, რ ა ნ ს, ჰ ე რ ე თ ს, მ ო ვ ა კ ა ნ ს და ე გ რ ს“ (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 65).

გარკვეული დროიდან ტოპონიმი ეგრისი დასავლეთ საქართველოს კრებითი სახელია (ისეთივე, როგორც ბერძნულ-ლათინური წყაროების „კოლხიდა“). ის ხან დიდი ტერიტორიის მომცველია (მთელი დასავლეთ საქართველო), ხან კი მცირე ტომობრივ სახელად გვევლინება; მაგ., ფ. ბუზანდის ეგერ-სვანები (Бузанд, 1953, გვ. 15) ან „ქართლის ცხოვრების“ „შიდა ეგრისი“ (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 185), ანდა კიდევ, კლავდიოს პტოლემაიოსის Ἐκριτικὴν (ლომოური, 1955, გვ. 45), რომელსაც ეგერ//ეგრისის დამახინჯებულ ფორმად მიიჩნევენ (ჯავახიშვილი, 1960, გვ. 404; ჯანაშია, 1959, გვ. 6). „სომხურ გეოგრაფიაში“, რომელიც ადრინდელი, IV ს., ბერძნული გეოგრაფიების გავლენითაა დაწერილი, ეგრისის ტერიტორიაზე აღინიშნება ოთხი მხარე — „კოლხიდა, რომელიც არის ეგერი, მდებარეობს პონტოს ზღვის აღმოსავლეთით, სარმატიის ახლოს და საზღვრავს იბერიას და დიდ სომხეთს. ეგერი იყოფა ოთხ მხარედ: მანრილი, ეგრისი-ეგრევიკა, ლაზეთი, ჭანივი რომელიც არის ქალდეა. აქ არის ბევრი მთა, მდინარე, ქალაქი, ციხე, აგრეთვე ოლქები, სოფლები და სავაჭრო ადგილები“ (Армянская геопрафия, 1877, გვ. 38—39).

ჩამოთვლილი მხარეები — მანრილი, ეკრეკტიკა//ეგრე-ვიკა, ლაზეთი და ჭანივი ეგერ//ეგრისში შედიან. მანრილი იგივეა, რაც კლავდიოს პტოლემაიოსის მიერ ხსენებული მანრალები (ლომოური, 1955, გვ. 45). ეკრეკტიკა//ეგრე-ვიკა ნახსენებია კლავდიოს პტოლემაიოსის გეოგრაფიაში და „ქართლის ცხოვრებაში“ ალბათ „შიდა ეგრის“ სახით (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 24). ჭანივი კი ფლავიუს არიანეს მოგზაურობაშია დადასტურებული (ჭანეთი//Σάνοι). იგი ტრაპეზუნტის ახლოს, მთებისკენ მდებარეობს (არიანე, § 11). თუ დავუშვებთ იმას, რომ სომეხი ანონიმი ეგრისის მხარეების ჩამოთვლაში გარკვეულ თანამიმდევრობას იცავს, მაშინ გამოვა — ჭანეთს ტრაპიზონის ახლოს (მთებისკენ) ესაზღვრება ლაზეთი, რომელსაც რიონამდე ზღვის სანაპირო ეპირა. მას შემდეგ მოსდევს ეკრეკტიკა//ეგრეთი, რომელსაც თუ „შიდა ეგრად“ მივიჩნევთ, მაშინ უნდა მოვათავსოთ მდინარე რიონს ზემოთ (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 24), დაახლოებით სამეგრელოს და ცენტრალურ კოლხეთში. მანრილეთი კი გამოდის, რომ განლაგებულია ეგრისის დარჩენილ ნაწილში (არგვეთი და თაკვერი). ლაზეთის, როგორც ეგრისის ერთ-ერთი მხარის ხსენება აქ, ეტყობა, გამოწვეულია იმით, რომ „სომხურ გეოგრაფიაში“ აისახა ის დრო, როცა ლაზეთს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ჰეგემონობა მოპოვებული მთელ ეგრისზე.

ქართულ წერილობით წყაროებში დაცული ცნობები, რომლის მიხედვითაც აზოს და შემდგომში ფარნავაზის დროს (ძვ. წ. IV ს. ბოლო — III ს. დასაწყისი) კოლხეთის ნაწილი იბერიის სამეფოს ფარგლებშია მოქცეული, სანდოდ გამოიყურება (Меликишвили, 1959, გვ. 290—292; Лордкипанидзе, 1979, გვ. 196). ამ დროისათვის ძვ. წ. VI—IV სს. კოლხეთის სამეფო დასუსტებულია და ვეღარ უძლებს. ერთი მხრივ, მთიდან, ხოლო მეორე მხრივ, აღმოსავლეთიდან შემოსევებს. იგი თანდათან სუსტდება და კარგავს ტერიტორიებს. ჯერ აღმოსავლეთ, ხოლო შემდეგ შიდა კოლხეთზეც ვრცელდება იბერიის გავლენა. საფიქრებელია, რომ სწორედ ეს ტერიტორია იწოდებოდა მაშინ ძველი ქართული წერილობითი წყაროების ეგრისად. დროთა განმავლობაში სახელი ეგრისი დასავლეთ საქართველოს დასავლეთ ნაწილზე, იმდროინდელ მეგრულ-ზანურ მოსახლეობაზე გავრცელდა (მელიქიშვილი, 1965, გვ. 90).

ზემოხსენებულს მხარს უბამს დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური მონაცემები. ძვ. წ. IV ს. ბოლოს კოლხეთის მატერიალურ კულტურაში, რომელიც ადრე ერთგვაროვანი იყო, შეინიშნება ცვლილებები, ძვ. წ. III საუკუნეში კი ეს ცვლილებები კიდევ უფრო გაღრმავდა.

მკვეთრი განსხვავება შეიმჩნევა შიდა და ზღვისპირა კოლხეთის მატერიალურ კულტურაში (ლორთქიფანიძე, 1972, გვ. 40). ამ პერიოდში შიდა კოლხეთის მატერიალური კულტურა იბერიულ გავლენას განიცდის. პირველად ეს აისახა დაკრძალვის ახალი წესის გაჩენაში (ქვევრსამარხები), რაც შესაძლოა კოლხეთში აღმოსავლურ-ქართული მოსახლეობის შემოსვლით აიხსნას (ლორთქიფანიძე, 1972, გვ. 40). ამგვარი სამარხები ძირითადად შიდა კოლხეთშია აღმოჩენილი, ხოლო ზღვისპირეთში ისინი არ გვხვდება — ნიგორზღვა, დაფნარი, დაბლაგომი, მთისძირი, ფარცხანაყანევი, წყალტუბო, მაღლაკი, ბანოჯი, ქვიტირი, გოდოგანი, ოდილაური, აჯამეთი, ჩხარი, ბანძა, ძევრი, ციხესულორი, დიდვანი, ბზვანი, მუხიანი, ჭოგნარი, მესხეთი, უკანეთი, ბუკისციხე, ზენობანი, გოგორეთი, ზემოფარცხმა, თეკლათი, ისულა, ზანათი, ნოქალაქევი, ბატნაოხურო, ლანჩხუთი, ჩიბათი, ძირულა, საჯავახო, ბორი და სხვ. (Кигурадзе, 1976, ტაბ. 1; თოლორდავა, 1980, ტაბ. 1).

კოლხეთში ქვევრსამარხებში დაკრძალვის რამდენიმე ვარიანტია დადასტურებული: პირველი — ქვევრი ვერტიკალურადაა, მიწაში თავდაყირა ჩადგმული. მეორე — ქვევრი, აგრეთვე, ვერტიკალურადაა, მხოლოდ ძირით ქვევით. მესამე — ქვევრი ჰორიზონტალურადაა ჩადგმული.

სამარხებად გამოყენებულია ჩვეულებრივი სამეურნეო დანიშნულების ქვევრები (რუხად გამომწვარი, მოშავო ზედაპირიანი; ქვევრის პირი საკმაოდ ფართო და პროფილირებული; მუცელი თითქმის სფერულია; ქვევრები ხშირად ორნამენტირებულია რელიეფური სარტყლებით და ვერტიკალური ქედებით). ქვევრებზე ხანდახან ამოკაწრულია ნიშნები. ქვევრის პირის გვირგვინი შედარებით სადაა. მასზე არ შეიმჩნევა წინა ეპოქის კოლხური ქვევრის პირებისთვის დამახასიათებელი ე. წ. ბადისებური ან წიწვოვანი ორნამენტი.

ქვევრსამარხები აღმოჩენილია კავკასიის მთელ რიგ რეგიონებში. დღემდე ცნობილი არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ქვევრსამარხების გავრცელებას საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. I ათასწლეულის მეოთხე ნახევარში ვარაუდობენ.

კოლხეთში ქვევრში დაკრძალვის წესის გაჩენა, უახლესი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, დაახლოებით ძვ. წ. IV ს. მიწურულიდან არის სავარაუდო. ქვევრსამარხების რაოდენობის მიხედვით მდ. რიონის შუაწელი ძირითადი რეგიონია კოლხეთში. ამგვარი სამარხებიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალა რამდენადმე განსხვავდება მის წინ არსებულისაგან და მიგვითითებს ცვლილებებზე შიდა კოლხეთის ტერიტორიაზე (ლორთქიფანიძე, 1972, გვ. 40).

სამარხებიდან მომდინარე მასალა ძირითადად კერამიკას და სამკაულებს (მძივები, ლითონის სამაჯურები, საკისრე და საყურე რგოლები) შეიცავს. ქვევრსამარხებში აღმოჩენილი ჭურჭელი სხვადასხვანაირია. მათში შეიმჩნევა ადგილობრივი და შემოტანილი ფორმა-გაფორმების შერწყმა. აქ არის ადგილობრივთან გენეტიკურად დაკავშირებული ჭურჭელი და აღმოსავლურ ქართულ კულტურასთან დაკავშირებული კერამიკაც — მსხლისებური მოყვანილობის წითლად მოხაზული დოქები, რომლებიც კოლხეთის ზღვისპირა ზოლში ჯერჯერობით არაა მიკვლეული.

ქვევრსამარხებში ნაპოვნი ნივთები უმეტეს შემთხვევაში ცოტაა და ღარიბული. საბრძოლო იარაღი მათში არ გვხვდება. ეს ფაქტიც დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ქვევრსამარხებს აახლოებს (თოლორდავა, 1980, გვ. 59).

უიარაღო ქვევრსამარხებთან დაკავშირებით საყურადღებოა „ქართლის ცხოვრების“ ერთი ცნობა, რომლის მიხედვითაც აზოს ბრძანებით უნდა დასჯილიყო ყველა ქართველი, ვისაც იარაღი ჰქონდა: „აზო იყო კაცი ძნელი და მესისხლე, და ესე დააწესა და ამცნო სპათა მისთა, ვითარმედ: ყოველმან ქართველთაგანმან რომელმან პოვოს საჭურველი, მოკალთ იგი. და ჰყოფდეს ჰრომნი იგი ესრეთ ქართველთა ზედა, და ვინცავინ გამოჩნდის ქართველთაგანი ქმნულ-კეთილი და ასაკოვანი, მოკლიან იგი“ (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 20).

შიდა კოლხეთის მატერიალურ კულტურაში ცვლილება პირველად საირხის ლომინაურში (ნადირაძე, 1975, გვ. 99), ითხვისში (აბრამიშვილი, 1963, გვ. 7) და ვანში (ლორთქიფანიძე, 1977, გვ. 20) წითლად მოხატული იბერიულის ნაირი კერამიკის გაჩენით აღინიშნა. განსაკუთრებით საყურადღებოა მსხლისებურტანიანი, ბრტყელძირა, ცალყურა, პირგადაშლილი და წითელი საღებავით გაფორმებული დოქების აღმოჩენა. წითლად მოხატული ამგვარი ჭურჭელი სრულიად უცხოა ძვ. წ. VI ს. — IV ს. პირველი ნახევრის კოლხეთისათვის, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ისინი ბევრია დადასტურებული — ციხიაგორას დაჭრილების სამაროვანი (ნაკაიძე, 1980, გვ. 28—41), თეთრიწყარო (ბოხოჩაძე, 1963, გვ. 27), თბილისი (ქორიძე, 1958, გვ. 47), ასურეთი (Куфтин, 1948, გვ. 8). მოყვითალოდ ანგობირებული და წითლად მოხატული ჭურჭელი ინახება ქ. ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, სადაც სოფ. ტკოციდან არის მოტანილი, ინვ. № 036, და ა. შ. ამგვარი ჭურჭლის პირველი, მოყვითალოდ ანგობირებული ნიმუშები (ვანის № 9 სამარხი და ითხვისის № 2 სამარხი) იბერიიდან არის შემოტანილი. შემდგომში ამგვარი ფორმის და გაფორმების კერამიკა (უანგობო), ადგილობრივ დამზადებული, უკვე მრავლად გვხვდება დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილ ქვევრსამარხებში.

ცვლილება შეიმჩნევა კოლხური ხელოსნობის ისეთ მკვეთრად გამოხატულ დარგში, როგორიც ოქროს და ვერცხლის მხატვრული დამუშავებაა. ძვ. წ. VI—IV სს. ოქროს და ვერცხლის ნივთების დამზადებაში შეიმჩნევა გეომეტრიული ფორმების (სამკუთხედი, რომბი, კონუსი, წრე) და გაფორმების ტექნიკის (ცვარა, დაკეჭვნა, გრეხვა) მდგრადობა. გავრცელებულია რომბიანი დიადემები, სხივანა საყურეები, ჭვირულბურთულებიანი საყურეები, ყელსაბამები, სასაფეთქლეები — ვანი, ითხვისი, მთისძირი, ქობულეთ-ფიჭვნარი, ბრილი, საირხე, სოხუმი, ზუგდიდი და ა. შ. (დაწვრილებით იხ. ლორთქიფანიძე, 1971, გვ. 51—63; ჭყონია, 1981, გვ. 6—53).

კოლხური ოქრომჭედლობა ძვ. წ. IV ს. ნეორე ნახევრიდან გარკვეულ კრიზისს განიცდის. ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს სამხედრო მოქმედებების შედეგად (საგარეო ფაქტორი) ქვეყნის ეკონომიკის დაცემით. ძვ. წ. III საუკუნიდან იცვლება ფორმები და გაფორმების ხერხები, შემოდის ახალი სიუჟეტები, ჭარბობს უცხოური საუფელირო ნაწარმი.

დასავლეთ საქართველოს ხუროთმოძღვრებაში, კერძოდ, შიდა კოლხეთის არქიტექტურულ მასალაზე, იბერიის გავლენა აისახა, მაგალითად — საირხეში (ნადირაძე, 1975), საზანოში (ჯაფარიძე, 1984, გვ. 8), ვანში (ლორთქიფანიძე, 1972), საყანჩიაში (ლიჩელი, 1977, გვ. 52—57), მთისძირში (გამყრელიძე, 1982). მსგავსება შეიმჩნევა იბე-

რიის — არმაზციხე, წიწამური, ღართის კარი (Апакидзе, Николайшвили, 1985, გვ. 44—46), ციხიაგორა (Цкитишвили, 1976, გვ. 60), სამადლო (Гагошидзе, 1979, გვ. 62), უფლისციხე (ხახუტაიშვილი, 1970, გვ. 22) და კოლხეთის — ვანი, საყანჩია, საირხე, მთისძირი სამშენებლო წესებში (ალიზის აგურის და ქვათლილების გამოყენება; ქვათლილების მშრალი წყობა და ერთმანეთთან დაკავშირების წესი). ფორმის მხრივ გარკვეული სიახლოვე აღინიშნება სამადლოს და ვანის კრამიტს შორის (Гагошидзе, 1979, გვ. 62); ვანის, მთისძირის, ციხიაგორას, სამადლოს და მცხეთის კრამიტების ნიშნებშიც თითქოს მსგავსება აღინიშნება.

საინტერესო ფაქტია, რომ რიყის ქვით საძირკვლის გაკეთება აღმოსავლეთ საქართველოში დადასტურებულია დედოფლის მინდორზე, ურბნისში, საყარაულო სერზე, ხოლო კოლხეთში ის მხოლოდ ძვ. წ. III ს. საყანჩიას ნამოსახლარზე გვხვდება (ლიჩელი, 1981, გვ. 42). ანგარიშგასაწევია მსგავსება სამადლოს, სარკინეს და ვანის ნაქალაქარების ტერასებზე დაგეგმარებაში. სამადლოს ზოგიერთი სამშენებლო ქვის პეტროგრაფიული შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ასეთი ჯიშის ქვა (იკლარის კირქვა) მოიპოვება მხოლოდ დასავლეთ საქართველოში ქ. ქუთაისის მახლობლად. აქ ახლაც ამუშავებენ ეკლარის ქვის საბადოებს. ამ კარიერზე უფრო ახლო სამადლოსთან ამგვარი ჯიშის ქვა არ მოიპოვება (ანალიზები ჩაატარეს გეოლოგებმა მ. ხუჭუამ და თ. ქუთათელაძემ) (Гагошидзе, 1979, გვ. 53).

კოლხეთის მატერიალურ კულტურაში გარდატეხის მიმანიშნებელია ისიც, რომ ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოდან აღარ იჭრება კოლხური თეთრი, რომელიც აქამდე, თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში, მთავარ მონეტად ჩანს კოლხეთის სამონეტო მიმოქცევაში (Дундуа, 1987, გვ. 9; Капанадзе, Голенко, 1957, გვ. 88—95).

იბერიასა და შიდა კოლხეთში ძვ. წ. III საუკუნიდან ძირითადად შემოდის ალექსანდრე მაკედონელის და ლისიმახეს სახელზე მოჭრილი მონეტები. საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი 381 მონეტიდან მხოლოდ სამიოდეა მიკვლეული ზღვის სანაპიროზე (ფიქვნარი და გულრიფშის რაიონი) (Дундуа, 1982, გვ. 15). შემდგომში ალექსანდრეს და ლისიმახეს სტატერების მინაბაძები საკმაო რაოდენობით გვხვდება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში.

შიდა კოლხეთში არამეულის ერთ-ერთი სახეობის, მცხეთის ტერიტორიაზე დადასტურებული „არმაზული“ (წერეთელი, 1943, გვ. 2—87) დამწერლობისნაირი ნიმუშები აღმოჩენილია სოფ. ბორში (ხარაგაულის რაიონი) ნანახ ვერცხლის თეფშზე (Придик, 1914, გვ. 15)

და ვანის ნაქალაქარზე გათხრილ ძვ. წ. II—I სს. ნაგებობის ნანგრევებში, სადაც წარწერა ამოკაწრულია ოქროს ფირფიტაზე, ქალის რელიეფური გამოსახულების გარშემო (ჭყონია, 1981, გვ. 84, 125). არამეული ენის სპეციალისტი პროფ. კ. წერეთელი თავის ნაშრომში „არამეული ენა საქართველოში“ აღნიშნავს: „არამეული დამწერლობის ხმარებას ჩვენში კარგა ხნის ტრადიცია უნდა ჰქონოდა. ვფიქრობთ, მართალი უნდა იყოს გერმანელი მეცნიერი ელსნერი, რომელიც არმაზული დამწერლობის ჩამოყალიბებას ძვ. წ. II—I სს. ვარაუდობს. ამასთანავე, მისი თქმით, არმაზული დამწერლობა არამეულის ჩრდილომესოპოტამიური ტიპის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს. ოუ ეს ასეა, მაშინ არამეული ენის ხმარებას აღმოსავლეთ საქართველოში (იბერიაში, გ. გ.) ხანგრძლივი ისტორია აქვს და სავსებით ბუნებრივი ჩანს, რომ ამ ისტორიის დასაწყისი აქემენიანთა ხანაში უნდა ვეძებოთ. სწორედ მაშინ უნდა დაწყებულიყო საქართველოში (აღმოსავლეთ საქართველოში, გ. გ.) არამეული ენის ხმარება, როგორც ადმინისტრაციის ენისა“ (წერეთელი, 1976, გვ. 151; წერეთელი, 1982, გვ. 19). ამრიგად, სრულიად შესაძლებელია, რომ არამეული დამწერლობა კოლხეთში აღმოსავლეთ საქართველოდან, აქ კი არიან-ქართლიდან (ირანის ქართლიდან) გავრცელებულიყო.

ძვ. წ. IV საუკუნის მიწურულის საომარი მოქმედებების შედეგადაა ეტყობა, მაგალითად, ვარციხის „გიორგობიანების გორის“, ვანის და მთისძირის „ადეიშვილების გორის“ ნაგებობები დანგრეული. საშუხაროდ, შიდა კოლხეთში ამ პერიოდის სხვა ნაგებობები ჯერჯეობით ცოტაა მიკვლეული და გათხრილი. ვფიქრობთ, რომ შეუსწავლელ ნამოსახლარებზეც იგივე სიტუაცია აღინიშნება. სოფ. ვარციხის „გიორგობიანების გორაზე“ აღმოჩენილი ნაგებობა დანგრეულ-გადამწვარია ძვ. წ. IV ს. მეორე ნახევარში (ჯაფარიძე, 1977, გვ. 43—50). ძვ. წ. IV ს. მეორე ნახევარშია გადამწვარი ვანის ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის თეთრი ქვით ნაგები შენობა და ზედა ტერასაზე (ნაკ. 211 და 193) გათხრილი ძელურ-ბათქაშიანი ნაგებობა. ძვ. წ. IV საუკუნის მიწურულისთვისაა დანგრეული სოფ. მთისძირის „ადეიშვილების გორის“ ძელურ-ბათქაშიანი თავდაცვითი ნაგებობა (შენობის დანგრევის დრო რადიოაქტიური ნახშირბადის დაშლის მეთოდითაა განსაზღვრული) (გამყრელიძე, 1982, გვ. 56—63, 93).

კოლხეთის ძვ. წ. IV ს. მიწურულის და ძვ. წ. III ს. პირველი ნახევრის მატერიალურ კულტურაში ზემოთ აღნიშნული ცვლილებები შეიძლება, ერთი მხრივ, აზოს (აზონ) და, მეორე მხრივ, ფარნავაზ-ქუჯის მიერ ძალაუფლებისათვის ბრძოლით გამოწვეული საომარი მოქმედებების შედეგებით აიხსნას. როგორც ცნობილია, ქართლის (იბერიის) სამეფოს ჩამოყალიბების რთული პროცესი სწორედ ძვ. წ. IV—

III საუკუნეების მიჯნაზე მიმდინარეობს (Меликишвили, 1959, გვ. 266—283; Ломоури, 1975, გვ. 481—494; Гагошидзе, 1979, გვ. 97—100; მამულია, 1979, გვ. 93—113). ამ დროისათვის შიდა კოლხეთიც ქართლის სამეფოს ფარგლებში ერთიანდება.

სამეცნიერო ახალი ლიტერატურის მიხედვით, ქართული საისტორიო გადმოცემა („მოქცევაი ქართლისაი“ და „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“) ქართლის სამეფოს წარმოშობის და აზო-ფარნავაზის ურთიერთობის შესახებ ძირითადად სანდოა (წერეთელი, 1943, გვ. 2—83; Меликишвили, 1959, გვ. 23—62; მამულია, 1979; Мусхелишвили, 1986, გვ. 57—70; ალექსიძე, 1984, გვ. 152—157; ინაძე, 1989, გვ. 154—164).

არიან-ქართლიდან, ანუ ირანის ქართლიდან (მდინარე მტკვრისა და ჭოროხის სათავეების ახლომახლო ტერიტორია. ჰეროდოტე, III, 94) მოსულმა, ალექსანდრე მაკედონელის მიერ აღზევებულმა აზომ, ჯერ ქართლის გეოგრაფიულ-სტრატეგიული (მდ. მტკვრისა და მდ. არაგვის შესაყარი) ცენტრი „მცხეთის ქვეყანა“ დაიმორჩილა, ხოლო შემდგომში ქართველური მოდგმის ტომებით დასახლებული სხვა მხარეებიც დაიქვემდებარა (მათ შორის ეგრისიც). ერთგვარად აზო ქართველურ ენაზე მოლაპარაკე ტომთა გამაერთიანებლად გვევლინება: „და მას მიუბოძა მცხეთა საჯდომად და საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და ეგრის წყალი და სომხითი და მთაი ცროლისაი“ (ძველი ქართული აგიოგრაფიული..., 1963, გვ. 81).

ჩვენთვის საინტერესო აზოს დროინდელი ქართლის (იბერიის) დასავლეთი საზღვრის დასადგენად გასარკვევია, თუ დასავლეთ საქართველოს რომელ მდინარეს ეწოდებოდა „ეგრის წყალი“. ქართულ ისტორიოგრაფიაში ეგრისწყლის მდებარეობის შესახებ გამოთქმულია რამდენიმე მოსაზრება: პირველი — მდ. ღალიძგა, მეორე — მდ. ოხოჯი, მესამე — მდ. ერისწყალი, მეოთხე — მდ. ენგური (საკითხის ისტორიოგრაფია დაწვრილებით იხ. ბერაძე, 167, გვ. 131—183). საგულისხმოა, რომ ყველა ავტორი მას დაახლოებით ერთი და იმავე რეგიონში ეძებს (მდ. ენგურიდან მდ. ღალიძგამდე). მართლაც, შესაძლოა, რომ ეგრისწყალში იგულისხმებოდეს დღევანდელი ერისწყალი (ლომოური, 1981, გვ. 31) ან ენგური (ბერაძე, 1967, გვ. 135—141), ანდა მათ შუა რომელიმე სხვა მდინარე.

„მოქცევაი ქართლისაის“ ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტში ეგრისის დასავლეთ საზღვრად ეგრისწყალია დასახელებული. აქ ნახსენები არ არის ზღვა, რომელიც აქვე ახლოა და ისეთი ბუნებრივი საზღვარია, რომ მისი აღუნიშნაობა გარკვეულ ახსნას მოითხოვს. „მოქცევაი ქართლისაის“ ავტორმა ალბათ რაიმე რეალური მიზეზი იცოდა, რის მი-

ხედვითაც კოლხეთის ზღვისპირეთი არ შეეიდა აზო-ფარნავაზის დროინდელი ქართლის სამეფოს შემადგენლობაში.

ამის ასახსნელად ფრიად საინტერესოა არქეოლოგიური მონაცემები, რომლის მიხედვითაც დასავლეთ საქართველოს ძვ. წ. IV ს. მიწურულის და განსაკუთრებით ძვ. წ. III ს. ზღვის სანაპიროს და შიდა კოლხეთის მატერიალურ კულტურაში აღინიშნება მკვეთრი განსხვავება (ლორთქიფანიძე, 1972, გვ. 40).

„მოქცევაი ქართლისაი"-ზე უფრო გვიანდელი წერილობითი წყარო „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთაში" აზოს სამფლობელოს დასავლეთ საზღვრად სპერის ზღვაა დასახელებული (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 19).

მას შემდეგ, რაც ფარნავაზმა კლარჯეთში გაქცეული აზო საბოლოოდ დაამარცხა, იგი უკან, ქართლში მობრუნდა და დაიწყო ადმინისტრაციული რეფორმების ჩატარება (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 23—24). ფარნავაზმა ქუჯის საერისთავოდ დაუმტკიცა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღვიდან მთამდე მდებარე ტერიტორია. აქვე აღნიშნულია, რომ ეგრისწყლის იქით, ზღვამდე, ეგრისის საერისთავოს აღარ ეკუთვნის — „ხოლო ეგრის წყალს ქუემოთ დარჩა ბერძენთა, რამეთუ მკვიდრთა მის ადგილისათა არა ინებეს განდგომა ბერძენთა. მაშინ ფარნავაზ მისცა დაი თვისი ოვსთა მეფესა ცოლად, და მეორე დაი თვისი მისცა ქუჯის ცოლად. და მისცა ქუჯის ქვეყანა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღვითგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი, და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ. და მან ქუჯი აღაშენა ციხე-გოჯი" (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 24).

ზღვის სანაპირო მდ. რიონის ქვემოთ და ეგრის წყლის ზემოთ ეგრისს არ ეკუთვნოდა. ზღვისპირეთის მიწები ძვ. წ. IV ს. მიწურულში დაშლილი (საგარეო ფაქტორის გამო) ყოფილი კოლხეთის სამეფოსი იყო. საფიქრებელია, რომ ისინი ცალკეულ „ქვეყნებად" (ქალაქ სახელმწიფოებად) დაიშალნენ — „დიოსკურია-ეშერის ქვეყანა", „გიენოსის ქვეყანა", „ფასისის ქვეყანა" და „ქობულეთ-ფიჭვნარის ქვეყანა". ისინი შიდა კოლხეთისაგან ბერძნული ეთნიკური ელემენტის (იხ. კახიძე, 1975) სიჭარბით გამოირჩეოდნენ. ფასისის და ქობულეთ-ფიჭვნარის ქალაქ-ქვეყნებში ძირითადი მოსახლეობა, ჭანური, ლაზურ-მეგრული იყო (გაიუს პლინიუსი, „ისტორია", VI, 12; ფლავიუს არიანე, „პერიპლუსი", 11).

ზღვისპირეთში (მდ. რიონსა და ეგრისწყალს შუა მდებარე მონაკვეთის გარდა) აზო-ფარნავაზის ეპოქაში კოლხეთის სამეფოს დაშლის შემდეგ, საფიქრებელია, ანტიკურ ქვეყნებსა და იბერიას შორის ბუფერული ქალაქ-სახელმწიფოები წარმოიშვა. მათ გაჩენაში გარკვეული

როლი ითამაშა კოლხურ დასახლებებთან „ბერძნული კოლონიზაციის“ შედეგად წარმოქმნილმა სავაჭრო ემპორიონებმა, რომლებიც კოლხეთის სამეფოს დაშლის შემდეგ ტრანსფორმირდნენ პოლისური ტიპის დასახლებებად (კოლონიზაციის შესახებ დაწვრილებით იხ. Лордкипанидзе, 1977; ინაძე, 1982).

ამის თაობაზე საინტერესოა ქალაქ ფასისის შესახებ ჰერაკლიდეს ცნობა ფასისის სახელმწიფო წყობის (პოლიტიის) შესახებ. ჰერაკლიდეს შესახებ მეცნიერებაში განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული. ზოგი მას ძვ. წ. IV ს., ხოლო ზოგი ძვ. წ. II ს. ავტორად მიიჩნევს. სპეციალისტ წყاროთმცოდნეებს მიაჩნიათ, რომ „პოლიტიების“ დამუშავების თარიღი ძვ. წ. IV საუკუნის შემდგომ პერიოდს უნდა ასახავდეს (დაწვრ. იხ. ყაუხჩიშვილი, 1969, გვ. 189—190). შესაბამისად იმ დროს, როცა კოლხეთის სამეფოს დაშლის მერე ზღვის სანაპიროზე ემპორიონები გარდაიქმნა პოლისურისნაირ ქალაქებად. აქ საგულვებელია ქალაქ-სახელმწიფოს მაგვარი ერთეულების გაჩენა. შესაძლოა, რომ სწორედ ამგვარი ქალაქ-სახელმწიფოების „ბასილევსები“ იყვნენ აკი და მელაბე. აკის სახელიანი მონეტა სულ ორია ჯერჯერობით ნაპოვნი; აქედან ერთი ქ. ტრაპიზონთან ზღვის სანაპიროზე (დღევანდელ თურქეთში), ხოლო მეორე სოფ. კინჩხაში (მარტვილის რაიონი). მათი თარიღია ძვ. წ. II ს. 1977 წელს ვანში გათხრილ რამენიმე ადგილობრივ ძვ. წ. III ს. კრამიტზე აღმოჩნდა ბასილევს მელაბეს სახელიანი დამღები (Ахвледиани, 1986, გვ. 7).

ზღვიდან მთამდე და რიონიდან ეგრისწყლამდე ტერიტორია ეგრისის საერისთავოს ეკუთვნოდა. ფარნავაზ მეფის სიძემ, ეგრის-სვანეთის ერისთავმა აქ სტრატეგიულად მოხერხებული მდ. ტეხურის შუა წელზე ააგო ციხე-გოჯი (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 24).

წერილობითი და უახლესი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ციხე-გოჯი დამაჯერებლადაა გაიგივებული მდ. ტეხურას მარცხენა ნაპირზე მდებარე ნოქალაქევთან. სოფ. ნოქალაქევის ნაქალაქარის შიდა ციხეში მიკვლეულია ფარნავაზის დროინდელი კულტურული ფენა (კრამიტები, პირამიდისებური საწაფები, ადგილობრივი ამფორის ვარდულიანი ძირები და სხვ.) (გრიგოლია, ფხაკაძე, ბარამიძე, ლორთქიფანიძე, 1973, გვ. 17—38) და გალავნის გადაღმა გათხრილი ქვევრსამარხები და ორმოსამარხები (Гвинчидзе, 1978). ციხე-გოჯი, ერთი მხრივ, სამდინარო გზით უკავშირდებოდა მდ. რიონს (ძირითად სატრანსპორტო მაგისტრალს), ხოლო მეორე მხრივ, ეგრისის ქედის იქით სვანეთსაც აკონტროლებდა (მდ. ენგურის და მდ. ცხენისწყლის აყოლებით).

ციხე-გოჯის გარდა, დასავლეთ საქართველოში ლეონტი მროველს ნახსენები აქვს შორაპნის და დიშნის ციხეები: „ერთი გაგზავნა მარგვის

ერისთავად, და მისცა მცირით მთითგან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღუ(რ)ადმდე (ეგრისისა), რიონს ზემოთ. და ამანვე ფარნავაზ აღაშენნა ორნი ციხენი, შორაპანი და დიმნა“ (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 24).

შორაპანი თანამედროვე დაბაა შორაპნის ციხესთან, ხოლო დიმნი სოფ. ზედა დიმის ნაციხართან არის გაიგივებული (ცქიტიშვილი, 1964, გვ. 71—106; ჯაფარიძე, 1990; ბრაგვაძე, 1990, გვ. 137—150). „ქართლის ცხოვრების“ ზემოთ ხსენებულ ნაწყვეტში სიტყვები „ზღუ(რ)ადმდე და (ეგრისისა)“ ახალი ჩამატებულია (შეადარე — ჯავახიშვილი, 1948, გვ. 47). ხოლო თუ ტექსტს პირვანდელ მდგომარეობას დავუბრუნებთ, მაშინ წაიკითხება „ვიდრე ზღუადმდე, რიონს ზემოთ“. „ქართლის ცხოვრების“ იმავე გვერდზე (გვ. 24) აღნიშნულია „არსიანიდან ზ ღ უ ა მ დ ე“, ხოლო 35-ე გვერდზე „რამეთუ მოგუეცა ს ა ზ ღ ვ ა რ ა დ მეფისა“. ასე რომ, განსხვავება (უ) და (ვ)-შია. აქედან ჩანს, რომ ტექსტში სულ მთლად საზღვარზე არ უნდა იყოს საუბარი; ანდა შესაძლოა ლეონტი მროველი შედარებით გვიანდელ (არა ფარნავაზის დროინდელ) სიტუაციას გადმოგვცემს. ეს კი უცხოური წერილობითი წყაროებით (სტრაბონი, XI, III, 4; პროკოპი კესარიელი BP, II, 29) და არქეოლოგიური მონაცემებით დასტურდება.

ამრიგად, აზო-ფარნავაზის პერიოდის კოლხეთი, ზოგიერთი ზღვისპირა მონაკვეთის გარდა, ქართლის სამეფოში ეგრის-სვანეთის საერისთავოს სახით იყო გაერთიანებული (გამყრელიძე, 1985, გვ. 86—97). როგორც ჩანს, კოლხეთში იმხანად იმძლავრა ცალკეული სკეპტუხიების გათიშულობა-დაპირისპირებამ, ხოლო ქართლში, პირიქით, მეტი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონსოლიდაცია მოხდა და ძლიერი ცენტრალიზებულ ხელისუფლებიანი სამეფო განვითარდა. ქართლის სამეფომ ჩამოყალიბება-გაძლიერების პროცესში კოლხეთის ნაწილის ასიმილაცია-ინკორპორაცია განახორციელა (გამყრელიძე, 1985, გვ. 87—89). ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა დაახლოებით ძვ. წ. II—I სს. მიჯნამდე, ვიდრე კოლხეთის გარკვეული ნაწილი (ახალი საგარეო ფაქტორი) მითრიდატე VI ევპატორის სამეფოს გავლენის ქვეშ არ მოექცა.

ანტიკურ ქვეყნებსა და იბერიის სამეფოს შორის კოლხეთის ზღვისპირეთში ძვ. წ. IV საუკუნის მიწურულიდან განვითარდა ბუფერული ქალაქ-სახელმწიფოები — დიოსკურიის ქვეყანა (არქეოლოგიური მასალა სოხუმიდან იხ. Трапш, 1969; Шамба, 1980; Воронов, 1980), გიენოსის ქვეყანა (არქეოლოგიური მასალა ოჩამჩირიდან იხ. Качарава, 1972), ფასისის ქვეყანა (არქეოლოგიური მასალა ფოთის მიდამოებიდან იხ. მიქელაძე, 1978; ბერძნიშვილი, 1969; Gamkrelidze, 1990, გვ. 223—226), ქობულეთ-ფიჭვნარის ქვეყანა (არქეოლოგიური

მასალა იხ. კახიძე, 1971), ხოლო შიდა კოლხეთი (resp. ეგრისი) იბერიის სამეფოს პოლიტიკურ გავლენას დაექვემდებარა (დაწვრილებით იხ. გამყრელიძე, 1985, გვ. 86—97). იბერიის სამეფოს გავლენის ქვეშ მყოფი შიდა კოლხეთის სტრაბონისეული სკეპტუხიები (სტრაბონი, XI წ., II თ., 18) — საირხის ქვეყანა (იხ. ნადირაძე, 1990), ქუთაისის ქვეყანა (იხ. ლანჩავა, 1975; ჯიქია, 1977, გვ. 26—30), ვარდციხის ქვეყანა (იხ. ჯაფარიძე, 1977, გვ. 43—50), ნოქალაქევის ქვეყანა (იხ. ზაქარაია, 1981; ლომოური, 1981, გვ. 18—46), ვანის ქვეყანა (არქეოლოგიური მასალა იხ. კრებ. „ვანი", 1972, 1976, 1977, 1979, 1981, 1981, 1983) და სხვები გარკვეული დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ.

ამგვარი ტერიტორიული დანაწილება განვითარდა, პირველ რიგში, ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიკურ-კომუნიკაციური მდგომარეობის საფუძველზე. როგორც ჩანს, ზოგიერთი თემი უფრო დაწინაურდა და ჩამოყალიბდა გარკვეულ „ქვეყნად" საქალაქო ცენტრით. შემდგომ სწორედ ეს „ქვეყნები" დაედო საფუძვლად სკეპტუხიებად დანაწილებას. ეტყობა, იმიტომაც, აგებდა იბერია შორაპნის და დიმნის ციხე-ფორპოსტებს (Лордкипанидзе, 1979, გვ. 213), რომ ეს სეპარატისტული გამოვლინებები დაეთრგუნა. ზემოთ ჩამოთვლილი „ქვეყნების" გარდა, კოლხეთში მეომარი, დაბალგანვითარებული ტომებიც მოსახლეობდნენ.

კოლხეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების შესახებ ფრიად ცოტა საისტორიო წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემი მოგვეპოვება. ამ კუთხით საყურადღებოა კოლხეთის შესახებ სტრაბონის „გეოგრაფიაში" შემონახული ცნობა: „თუ როგორ იყო სახელგანთქმული ძველად ეს ქვეყანა, ცხადყოფენ ამას მითები, რომლებიც მოგვითხრობენ იასონის ლაშქრობაზე, რომელიც მოვიდა მიდიამდე, და ამაზე ადრე კი ფრიქსეს ლაშქრობაზე. ამის შემდეგ მემკვიდრე (მომდევნო ხანის) მეფეებმა სკეპტუხიებად დაჰყვეს ქვეყანა და ჰქონდათ ზომიერი ძალაუფლება" (სტრაბონი, XI წ., II თ., 18).

როგორც სტრაბონის „გეოგრაფიის" ამ ნაწყვეტიდან ჩანს და არქეოლოგიური მონაცემებიც ამას მოწმობენ, დაახლოებით ძვ. წ. V საუკუნისათვის კოლხეთში უკვე გაფორმებულია ფიზიკურ-გეოგრაფიულ და ეკონომიკურ-კომუნიკაციურ საფუძველზე წარმოქმნილი ტერიტორიული ერთეულები, რომელთა სათავეში ადვილობრივი დაწინაურებული გვარის წარმომადგენლები იდგნენ. ამ ტერიტორიებიდან ზოგიერთი უფრო დაწინაურდა და ჩამოყალიბდა გარკვეულ „ქვეყნად" საქალაქო ცენტრით. ასეთებია, მაგალითად, „ვანი", „ქუთაისი", „საირხე" და სხვ. შემდგომ სწორედ ეს „ქვეყნები" დაედო საფუძვლად „სკეპტუხიებად" დაყოფას.

სტრაბონის „გეოგრაფიის“ ნაწყვეტიდან ნათლად ჩანს, რომ კოლხეთი სკეპტუხიებად დაანაწილეს, რაშიც უნდა იგულისხმებოდეს ქვეყნის დაყოფა გარკვეულ ტერიტორიულ-სამმართველო ერთეულებად. ეს დანაწილება, ალბათ, ხელისუფლებამ ჩაატარა, რათა, ერთი მხრივ, გაადვილებოდა ადმინისტრაციულად ქვეყნის მართვა, ხოლო მეორე მხრივ, კიდევ მეტი პოლიტიკური ცენტრალიზაციისათვის მიეღწია (იხ. ინაძე, 1961, გვ. 783—790; ლორთქიფანიძე, 1977, გვ. 15).

საფიქრებელია, რომ „ქვეყანის“ წარმოქმნის პირველ ეტაპზე ისინი უფრო ტომობრივ-ტერიტორიული ერთეულებია, ხოლო თანდათან ერთ-ერთი ამ ერთეულის არისტოკრატიული გვარი წინაურდება და ახერხებს დანარჩენების დაქვემდებარებას. სწორედ ეს არისტოკრატიული გვარი შემდეგ სამეფოს უკეთ სამართავად და ხელისუფლების განსამტკიცებლად ადმინისტრაციულ რეფორმებს ატარებს. აქ ალბათ ისეთივე რეფორმები ტარდება, როგორიც ქართლში გაატარა მეფე ფარნავაზმა. კერძოდ, „მაშინ ფარნავაზ უშიშ იქნა ყოველთა მტერთა თვისთაგან და მეფე იქნა ყოველსა ქართლსა და ეგრსა ზედა. და განამრავლა ყოველნი მხედარნი ქართლოსიანნი, განაწესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტი“ (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 24).

დროთა განმავლობაში კოლხეთის საგამგებლო ერთეულებს შორის მოხდა გარკვეული დიფერენციაცია, რადგან აქაური რეგიონული ფიზიკურ-გეოგრაფიული და აგროკლიმატური პირობები არათანაბარია (მაგ., რიონის დაბლობის სკეპტუხიები უფრო მდიდარი უნდა ყოფილიყო, ვიდრე მთიანი გურიის). ამან შემდეგომში, დაახლოებით ძვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევარში, საგამგებლოებს შორის ურთიერთდაპირისპირება გამოიწვია, რაც საბოლოო ჯამში კოლხეთის სამეფოს დასუსტებით და იბერიასთან მისი ინკორპორაციით დასრულდა.

ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით, იბერიის მეფე ფარნავაზმა ეგრისის საერისთავო დაუმტკიცა ქუჯის, რომელიც, როგორც ჩანს, ადრეც ფლობდა კოლხეთის ნაწილ ტერიტორიას. ახლა ფარნავაზმა მას ტერიტორიები გაუფართოვა, სამეფო ხელისუფლების ადმინისტრაციული უფლებებიც უბოძა (და გააყოლა ცოლად) და ამით სამეფო დიდმოხელედ აქცია. საყურადღებოა, რომ რვა ერისთავიდან საისტორიო წყაროში მხოლოდ ქუჯია მოხსენებული (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 24). ქუჯი წარმომავლობით ძველი არისტოკრატიული გვარიდან უნდა ყოფილიყო და ქართლის მეფის კოლხეთში ხელისუფლებისათვის ბრძოლაში წვლილი მიუძღოდა.

საფიქრებელია, რომ ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა ძვ. წ. V ს. კოლხეთში, სადაც ადმინისტრაციული რეგიონების სათავეში მეფის ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი ადგილობრივი არისტოკრატიული გვარის წარმომადგენლები რჩებიან. რომელთაც ეფეგ

სახელმწიფო მოხელის ფუნქციაც მიანიჭა. ამდაგვარი უნდა ყოფილიყო კოლხეთში ის იერარქიული კიბე, რომლის თავშიც ძლიერი გამაერთიანებელი ხელისუფალი — მეფე იდგა, ხოლო მას დიდმოხელე არისტოკრატები მოსდევდნენ. ეს, ეტყობა, მაშინ ხდება, როდესაც მაღალი არისტოკრატია არცთუ ისე ძლიერია და მათი სოციალური სტატუსიც ჯერჯერობით მკვეთრად არ არის გამოხატული. სტრაბონის თქმით, ქვეყანაში მათ „ჰქონდათ ზომიერი ძალაუფლება" (სტრაბონი, XI წ., II თ., 18). შემდგომში, როცა ისინი მომძლავრდნენ, ცალკეული სკეპტუხიების დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა დაიწყო, რაც ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოს კოლხეთის სამეფოს დასუსტება-დაშლით დამთავრდა და „ქვეყანა-სკეპტუხიები" ცენტრალურ ხელისუფლებაზე ფორმალურად დამოკიდებულ ერთეულებად გარდაიქმნენ.

ეტყობა, სწორედ ამის მერე კოლხეთში ჯერ აზომ, ხოლო შემდეგ ქუჯის (ადგილობრივი ერთ-ერთი ძველი სკეპტუხიის არისტოკრატიული გვარის წარმომადგენლის) საშუალებით ქართლის მეფე ფარნავაზმა იმძლავრა.

ძვ. წ. II—I სს. მიჯნიდან კოლხეთის პოლიტიკურ ჰორიზონტზე (ახალი საგარეო ფაქტორი) პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორი გამოჩნდა. მითრიდატეს დროის პონტო-კოლხეთის ურთიერთობის საკითხებს მრავალი მკვლევარი შეეხო, მაგრამ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მათ შესახებ დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა (ისტორიოგრაფია იხ. Reinach, 1890; Манандян, 1940, გვ. 89—100; Максимова, 1956; Инадзе, 1968; Лордкипанидзе Г., 1970; Молев, 1976; Ломоури, 1979; Шелов, 1980, გვ. 28—43; Немировский, 1980, გვ. 154—160; Дундуа, Лордкипанидзе, 1985, გვ. 601—608; Тодуа, 1990; სანიკიძე, 1956; გოზალიშვილი, 1965; დუნდუა, 1974, გვ. 146—159; და მათში მითითებული ლიტერატურა).

კოლხეთში, პირველ რიგში ზღვისპირა კოლხეთში, პონტოს სამეფოს თავისი პოლიტიკური და სტრატეგიული ინტერესები ჰქონდა. სწორედ აქ იყო განლაგებული დიოსკურიის, გიენოსის, ფასისის, ქობულეთ-ფიქვნარის „ქალაქ-ქვეყნები", რომლებიც შიდა კოლხეთისაგან ბერძნული ეთნიკური ელემენტის სიჭარბით გამოირჩეოდნენ. ამ ქალაქების შემოერთებაში აისახა მითრიდატე ევპატორის ძირითადი მიზნის — მთელი შავიზღვისპირეთის გაერთიანების გრანდიოზული იდეის (Шелов, 1980, გვ. 28—43) თანამიმდევრული განხორციელება.

ზღვისპირა კოლხეთის ქალაქები მითრიდატემ პონტოს სამეფოს ძვ. წ. II—I სს. მიჯნაზე შეუერთა (Лордкипанидзе Г., 1970, გვ. 20). ხსენებული ქალაქები, ერთი მხრივ, საზღვაო ვაჭრობის — მათი ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი საყრდენის არასტაბილურობით, ხო-

ლო მეორე მხრივ, — კოლხეთის მთიანეთში მცხოვრები მეომარი ტომების თავდასხმებით იყვნენ შეწუხებული (სტრაბონი, XVII წ., III თ., 24; პლინიუსი VI, 15). ისეთი ძლიერი ხელისუფალის მმართველობაში შესვლა, როგორიც მითრიდატე იყო, ვაჭრობა-ეკონომიკასა და თავდაცვაში სტაბილურობის განმტკიცებას მოასწავებდა. აქ, შესაძლოა, დაახლოებით ისეთივე მდგომარეობა წარმოიშვა, როგორიც იყო დიოფანტეს ლაშქრობის შედეგად პონტოს სამეფოსთან ბოსფორის სამეფოსა და ხერსონესის შემოერთების დროს. საყურადღებოა ცნობა იმის შესახებ, რომ მითრიდატეს კოლხეთი მემკვიდრეობით ერგოო (იუნიანუს იუსტინუსი XXXVIII, 7, 10). გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ იმ სანაპირო ნაქალაქარებზე, რომლებიც დღესდღეობით მეტ-ნაკლებადაა არქეოლოგიურად შესწავლილი — ეშერა, სოხუმი-დიოსკურია, ოჩამჩირე-გიენოსი — არ არის დადასტურებული ძვ. წ. II—I სს. მიჯნის გადამწვარი ფენები ან რაიმე საბრძოლო მოქმედების კვალი. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ ქალაქებში, ისევე როგორც ბოსფორსა და ხერსონესში, მითრიდატე გარკვეულ წინააღმდეგობას არ წააწყდა. მაგალითად, ეიმნონი (30) აღნიშნავს, რომ მითრიდატემ ომით დაიმორჩილა ფასისის მიდამოები (მდ. ფასისის ქვემო წელი — გ. გ.). ამ მიდამოების მიმდებარე ტერიტორიაზე, ქობულეთ-ფიჭვნარში ნაქალაქარი დარბეულია ძვ. წ. II ს. ბოლოსათვის (იხ. Хахутайшвили, Кахидзе, 1985, გვ. 517).

შიდა კოლხეთი მითრიდატეს არ შეუერთებია პონტოს სამეფოსთვის. ამასთანავე არ არის გამორიცხული, რომ იგი იქ შეიჭრა მაშინ, როცა პომპეუსს გამოექცა და ზამთარი დიოსკურიაში გაატარა (ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი). ნიშანდობლივია ისიც, რომ არც ერთ წერილობით წყაროში არ აისახა მითრიდატეს მიერ შიდა კოლხეთის დაპყრობა-შემოერთება.

მითრიდატულ ისტორიოგრაფიაში (იხ. ჯანაშია, 1949, გვ. 178—179; სანიკიძე, 1956, გვ. 26; გოზალიშვილი, 1965, გვ. 299; Лордкипанидзе Г., 1970, გვ. 21; Ломоури, 1979, გვ. 185) არსებობს მოსაზრება, რომ იბერია მუდამ პონტოს მოკავშირე იყო. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ პოლიტიკა ცვალებადი რამ არის, ეით უმეტეს, მითრიდატე ევპატორის ეპოქაში (მაგ., მითრიდატე და ტიგრანი ჯერ მოკავშირეები იყვნენ, ხოლო შემდეგ მოსისხლე მტრები; ანდა, მითრიდატეს მამა ჯერ რომის „მოკავშირე და მეგობარი" იყო, ხოლო შემდეგ მტერი, ან კიდევ — მახარემ უღალატა მამას და რომაელების მხარეზე გადავიდა და სხვ.), იბერიის სამეფოს პოლიტიკაც პონტოს მიმართ ცვალებადი უნდა ყოფილიყო. თუ გადავხედავთ ქართულ წერილობით წყაროებს და ახალ არქეოლოგიურ მონაცემებს, იბერიის სა-

მეფის უსათუოდ უნდა ჰქონოდა გარკვეული პოლიტიკური ინტერესი კოლხეთში (იხ. გამყრელიძე, 1985, გვ. 97).

მემნონი (30), აპიანე (15) (აპიანეს ისტ. წყაროდ გამოყენების სანდოობის შესახებ იხ. Шелов, 1986, გვ. 113—117), იუსტინუსი (XXXVIII, 7, 10), სტრაბონი (XI წ., II თ., 18; XII წ., III თ., 28) გვამცნობენ, რომ მითრიდატემ შეიერთა კოლხეთი, მაგრამ სახელდობრ კოლხეთის რა ნაწილი, არ არის აღნიშნული. თუ სტრაბონისავე ცნობას დავუჯერებთ, კოლხეთი მეტწილად ზღვასთან მდებარეობს (XI წ., II თ., 17); შემდეგ იგი გადმოგვცემს: „მთელი ეს სანაპირო ეპყრა ევპატორს, კოლხეთიდან ჰერაკლეამდე, ...“(XII წ., III თ., 2). შესაბამისად, სტრაბონის მიხედვით მითრიდატეს ძირითადად სანაპირო ზოლი უნდა დაეკავებინა.

სტრაბონის ცნობებიდანვე ჩანს, რომ მითრიდატე ძრითადად დაინტერესებულ იყო კოლხეთის სანაპიროთი, საიდანაც მას მისდიოდა მეტი წილი ძალებისა სანაოსნო სამსახურისათვის, ხე-ტყე, სელი, კანაფი, ცვილი, ფისი — გემების ასაგებად (XI წ., II თ., 17, 18).

კოლხეთის სანაპირო ის სტრატეგიულ-კომუნიკაციური მხარე იყო, რომელიც აუცილებლად სჭირდებოდა პონტოს სამეფოს თავისი ჩრდილოშავიზღვისპირა ტერიტორიების ზედამხედველობისათვის. აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია, რომ მითრიდატემ, დაიკავა რა კოლხეთი (დასავლეთი კოლხეთი), მის ადმინისტრაციულ ცენტრად აქცია ქალაქი დიოსკურია, რომელსაც მისცა მონეტის მოჭრის უფლება (მონეტების შესახებ იხ. Лордкипанидзе, 1970, გვ. 18). სწორედ აქ დასვა მითრიდატემ მის მიერ გამოგზავნილი მმართველი (სტრაბონი, XI წ., II თ., 18). სწორედ აქ, თავის კოლხურ რეზიდენციაში დაიზამთრა პომპეუსისგან დევნილმა მითრიდატემ (აპიანე, 101).

დასავლეთ კოლხეთის დაკავების დროს პონტოს სამეფო სამხედრო-ეკონომიკურად ძლიერი იყო. სწორედ ეს იყო, ალბათ, ძირითადი მიზეზი იმისა, რომ იბერიის სამეფო მოლაპარაკების შემდეგ (მემნონი, 30) გაჩუმდა და მითრიდატემ კოლხეთის სანაპიროზე ბუფერული ქალაქები შეიერთა. იბერიის სამეფოს გავლენის ქვეშ კი შიდა კოლხეთი დარჩა (იხ. გამყრელიძე, 1985, გვ. 86—97). ანგარიშგასაწევია, აგრეთვე, პლუტარქეს ცნობა: „იბერთა ტომი პონტომდე აღწევსო“ და იბერები ალბანებთან ერთად „ყველაზე უფრო უდიდესნი“ არიანო (პომპეუსი, 34). მემნონი (30) აღნიშნავს, რომ მითრიდატემ მოკავშირეებად შეიამხანაგა პართები, მიდიელები, ტიგრანე არმენიელი, ფრიგიელი მეფეები და იბერი მეფე, საიდანაც ჩანს, რომ მითრიდატეს და იბერთა მეფეს შორის ადგილი ჰქონდა რაღაც მოლაპარაკება-შეთანხმებას. მითრიდატეს და ტიგრანის ჯარში მყოფი იბერი მეომრები, ეტყობა, დაქირავებული იყვნენ და იბერიის მეფის სამხედ-

რო ძალას არ წარმოადგენდნენ. ისინი ომობდნენ „საჩუქართა მიღების სურვილით“ (პლუტარქე, „ლუკულუსი“, 26, 31) (იხ. Ломоури, 1979, გვ. 183).

მკვეთრად შეიცვალა სიტუაცია კოლხეთში პონტო-რომის პირველი ომის დასასრულისათვის, როცა მითრიდატემ მარცხი განიცადა საბერძნეთში. კოლხეთში იფეთქა აჯანყებამ. აჯანყებულებმა მოითხოვეს, რომ მითრიდატეს აქ მეფედ შვილი დაენიშნა. მითრიდატე იძულებული გახდა შეესრულებინა აჯანყებულების მოთხოვნა და კოლხეთის მეფედ გაამწესა შვილი — მითრიდატე ფილოპატორი ფილადელფი.

დასავლეთ კოლხეთის ამ აჯანყება-არეულობაში, სავარაუდოა, რომ იბერიის ხელისუფალთა ხელიც ერია; ისარგებლეს რა მითრიდატეს წარუმატებლობებით, ისინი შეეცადნენ დასავლეთ კოლხეთში მისი გავლენა დაესუსტებინათ და ამით თავისთვის მომგებიანი მდგომარეობა შეექმნათ. დარდანოსის (ძვ. წ. 85 წ.) ზავის შემდეგ მითრიდატემ მოიცალა კოლხეთისათვის: ურჩი შვილი, რომელიც მამის საწინააღმდეგო ინტრიგებში (კოლხეთში მითრიდატეს მოწინააღმდეგეები; იბერიის სამეფო) ჩაება, სიკვდილით დასაჯა და დასავლეთ კოლხეთში უწინდელი მდგომარეობა აღადგინა (აპიანე, „მითრიდატ.“ 64).

ბუნებრივია, რომთან ომების დროს მითრიდატე ეცდებოდა საიმედო ზურგი ჰქონოდა (მემნონი, 30). ამიტომ ის მოერიდებოდა იბერიის სამეფოსთან ურთიერთობის გამწვავებას. იბერთა ხელისუფალიც, ალბათ, კარგად იყენებდა მითრიდატეს ამგვარ განწყობას. ხან სამოკავშირეო ხელშეკრულებას უდებდა (მემნონი, 30), ხან დასავლეთ კოლხეთში ხალხს უჯანყებდა (აპიანე, „მითრიდატ.“ 64), ხანაც პომპეუსისაგან დევნილ მითრიდატეს ებრძოდა (აპიანე, „მითრიდატ.“ 101). გაუმართლებლად გვეჩვენება აზრი, რომ იბერებს ეშინოდათ — მითრიდატეს დამარცხების შემდეგ რომი ჩვენ მოგვდგებაო, და მხოლოდ ამიტომ მიემხრნენ მითრიდატეს. პონტო-რომის პირველი ომის დროს იბერია რომის პოლიტიკური ინტერესების არეალში არ იმყოფებოდა.

იბერიის და მითრიდატეს ურთიერთობა პლუტარქეს („პომპეუსი“, 34) ფრიად მიამიტურად აქვს გადმოცემული — იბერებს „ძალიან უნდოდათ მითრიდატესთვის ეამებინათ და პომპეუსი უკუექციათ“. მით უმეტეს, რომ პლუტარქე იქვე დასძენს: „იბერნი არც მიდიელების მორჩილებაში ყოფილან, არც სპარსელებს ექვემდებარებოდნენ და, თავის დროზე, მაკედონელთა მბრძანებლობაც აიცდინეს თავიდან...“ (პლუტარქე, 1957, გვ. 117). მაშ, რად უნდოდათ ასეთ დაუმორჩილებლებს დამარცხებული „მითრიდატესთვის ეამებინათ“? „პომპეუსის“ ცხოვრების ეს ადგილი არადამაჯერებლად გამოიყურება, მით უმეტეს, რომ სხვა წერილობითი წყაროები ამავე ამბის თხრობისას იბერების მიერ მითრიდატეს მაამებლობის ცდას არ აღნიშნავენ (აპიანე, „მითრი-

დატ.“ 103; დიონ კასიოსი, „რომის ისტ.“, XXXVII, 1, 2; სტრაბონი, XI წ., I თ., 6).

იბერების დამარცხების შემდეგ პომპეუსი შეუფერხებლად გადავიდა კოლხეთში (პლუტარქე, „პომპეუსი“, 34). როგორც ჩანს, იბერიისაგან განსხვავებით, კოლხეთში ორგანიზებული წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. შესაძლოა იმიტომაც, რომ სკეპტუხიებად დანაწილებული შიდა კოლხეთი პოლიტიკურად იბერიის გავლენის ქვეშ იყო და მათ მეფე არტაგის მსგავსი (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 30) ჯარი არ ჰყავდათ (არტოკეს ჯარის შესახებ იხ. — აპიანე, „მითრიდატ.“ 103; დიონ კასიოსი, „რომის ისტ.“, XXXVII, 1, 2; პლუტარქე, „პომპეუსი“, 34). „ამის შემდეგ, როდესაც პომპეუსმა გაიგო, რომ ფასისი არ არის შორს, გადაწყვიტა მის გაყოლებით კოლხეთში ჩასულიყო“ (დიონ კასიოსი, „რომის ისტ.“, XXXVII, 3). ამ ნაწყვეტიდან ისე ჩანს, რომ კოლხეთი მდ. ფასისის ქვემო წელზე, ზღვასთან იგულისხმებოდა. პომპეუსი „დაიძრა განზრახული მიმართულებით და გაიარა კოლხებისა და მათი მეზობლების მიწაზე, თან მოქმედებდა ხან დარწმუნებით, ხან დაშინებით“ (დიონ კასიოსი, „რომის ისტ.“, XXXVII, 3) და ბრძოლით.

პონტო-რომის მესამე ომის დასასრულს პომპეუსისაგან დევნილი მითრიდატე სამი ათასი მეომრით მიდის ქალაქ სინორიაში (სინორეგა). რათა სული მოითქვას და მხედრობას აღჭურვილობა შეუვსოს (აპიანე, „მითრიდატ.“ 101). აქედან მითრიდატე ჯარითურთ თავისი სიძის — ტიგრანისკენ გაემართა, „მაგრამ ტიგრანმა იგი არ მიიღო და თანაც ასი ტალანტი ჯილდოდ შეჰპირდა მას, ვინც მის თავს მიუტანდა. ამიტომ მითრიდატემ ევფრატის სათავეს გზა აუქცია და კოლხეთში გადავიდა“ (პლუტარქე, „პომპეუსი“, 32). ამასვე ადასტურებს დიონ კასიოს კოკეიანოსი — „თავის იმედებში მოტყუებული მითრიდატე გაემართა კოლხეთისაკენ...“ („რომის ისტ.“, XXXVI, 50).

მითრიდატე გადავიდა მდინარე აფსაროსზე (ჭოროხ-ოლთუ) და აქედან მდ. მტკვრის ხეობაში. იგი ზღვის სანაპირო გზით არ წასულა, რადგან იცოდა, რომ აქ პომპეუსის ბრძანებით ჩასაფრებული იყო სერვილიუსი სამხედრო-საზღვაო ფლოტით (პლუტარქე, „პომპეუსი“, 34). სერვილიუსს, ეტყობა, მთასა და ზღვას შორის ვიწრო სანაპირო (აფსაროსის ვიწრო გასასვლელის შესახებ იხ. Латышев, 1904, გვ. 447) ჰქონდა ბლოკირებული და მითრიდატეს რაზმებს ელოდებოდა.

მითრიდატე შეიჭრა ხოტენეში, ბრძოლით გაიკაფა გზა (აპიანე, „მითრიდატ.“ 101) და შემდეგ დაუყვა მდ. მტკვრის ხეობას, აქედან ფოცხოვი-ქვაბლიანი-ჭუბრაულის ხეობებში გადაინაცვლა, რადგან მტკვართან იბერებთან შეტაკება მოუხდა (აპიანე, „მითრიდატ.“, 101). ეტყობა, მათთანაც, როგორც ტიგრანთან, საქმე გართულებული ჰქონ-

და, და გაემართა „მეფისწყაროს“ გადასასვლელისაკენ (შესაძლოა, რომ მითრიდატე გადავიდა ზეკარის გადასასვლელზე და შემდეგ ხანისწყალ-რიონის გზით მიადგა „ვანს“). ეს გზა შემდეგ მდ. სულორის წყალგამყოფ ქედამდე აღწევს და ხეობაში ეშვება. იგი არცთუ ძნელად სავალია და სირთულით დაახლოებით ლიხის ქედის გადასასვლელების მსგავსია. ადგილობრივი მცხოვრებლები მას ახლაც იყენებენ სასიარულოდ (ამ გზაზე სოფ. სულორის ზემოთ „საკაკილე“ ძვ. წ. IV—II სს., მდ. ყუმურის ხეობაში სოფ. გაილოურთან „მსხალთა“ ძვ. წ. III—I სს. არქეოლოგიური მასალებია დადასტურებული) (იხ. გამყრელიძე, 1982, გვ. 32). ამ ადგილებზე მიუთითებს ალბათ სტრაბონი, როცა გადმოგვცემს, რომ მითრიდატე „მთების გადალმა კოლხეთში გაიქცაო“ (სტრაბონი, XII წ., III თ., 28).

ძალების მოკრება და აღჭურვილობის შევსება ესაჭიროებოდა დევნილ მითრიდატეს. მას ხომ ისევ რომთან ბრძოლის დიდი გეგმები უტრიალებდა თავში (აპიანე, „მითრიდატ.“, 102), რაც უზარმაზარ თანხებს მოითხოვდა. მითრიდატეს ჯაზაზე კი მდ. სულორის ხეობაში მდიდარი ქალაქი სური (ვანი) მდებარეობს (ვანი-სურის შესახებ იხ. Хоштарна, 1960, გვ. 47—50; ყაუხჩიშვილი, 1987, გვ. 131—143).

სეკუნდუსი აღნიშნავს: „...ფასისს, რომელსაც ერთვის დიდი მდინარეები ჰიპოსი (ცხენისწყალი, გ. გ.) და კიანეოსი, ახლა არსებობს მხოლოდ სურიუმი, რომელსაც სახელი ჰქვია მდინარის, რომელთანაც მდებარეობს (მდ. სულორი, გ. გ.). ეს მდინარე ფასისს ერთვის იქ, სადამდეც შეიძლება დიდი გემებით ნაოსნობა“ (იხ. Латышев, 1904, გვ. 178—179).

სურიონის მსგავს ტოპონიმს, კოლხეთის გარდა, კლავდიუს პტოლემაიოსი (ლომოური, 1955, გვ. 40) იბერიაშიც ახსენებს. იბერიის „გეოგრაფიაშიც“ **Σουρ-α** ისეთივე დაწერილობით არის გადმოცემული, როგორც „ვანის“ ნაქალაქარის ახლად აღმოჩენილ ძვ. წ. III ს. საკანონმდებლო წარწერაში (**Σούρ-ει**) (ყაუხჩიშვილი, 1987, გვ. 138).

ვანის ნაქალაქარის შესახებ გამოთქმულია სხვადასხვაგვარი მოსაზრებები (იხ. Хоштарна, 1960; გვ. 47—50; კაკაბაძე, 1959, გვ. 35; ბოხოჩაძე, 1967, გვ. 547—552; ლორთქიფანიძე, 1968, გვ. 133—143). ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ სური (ვანი — „ვანის ქვეყანა“) ყოფილიყო თეოკრატიული მმართველობის ქალაქი — „სკეპტუხიის“ ცენტრი, სადაც დიდი როლი ენიჭებოდა კულტმსახურებას, რადგან რელიგია-იდეოლოგია კიდევ ერთი დამატებითი ძალა იყო, რომელიც ხელისუფალი არისტოკრატიისათვის მძლავრ ბერკეტს ქმნიდა დაბალი ფენების სამართავად (შეადარე, Лордкипанидзе, 1972, გვ. 106—125; ინაძე, 1986, გვ. 32—53; გამყრელიძე, 1989, გვ. 59—69).


მითრიდატე
ჰომპეუსი
ფარნაკე
სერვილიუსი
ქალაქი
ემეკა
ბოსპორი
ბალიმა
სვანეთი
ბინოქალაქები
საირხე
ოქუთაისი
ფასისი
ვანი
ფარიკანიხე
ზეკარლი
ფიქვნარი
ათსარიოსის
გასასვლელი
ქვაბლიანი
ცრიაპეზუნტი
ფარნაკია
ბნიკოპოლისი
ოლოგ
ქუთაისი
ზელა
ეფკარეტ
ატაქსი

ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილ რელიგიური ხასიათის საკანონმდებლო წარწერა-დადგენილებაში მითითებულია რა უნდა აკეთონ ქურუმებმა (რა მსხვერპლშეწირვა აწარმოონ, მისტერიები როგორ შეასრულონ) და რა არის აკრძალული (უსამართლობის ჩადენა, კულტმსახურების დარღვევა და ა. შ.) „არამედ მისდიონ დაწერილს და დასდონ ფიცი ქურუმმა ქალებმა და ქურუმმა (კაცებმა), რომ მოიქცევიან დადგენილებისამებრ. ფიცის ერთგული ვიყო ისე, როგორც ღვთისმოსავთ ეკუთვნით, ხოლო ფიცის გამტეხს ამის საწინააღმდეგო დამემართოს“ (ყაუხჩიშვილი, 1987, გვ. 137).

საყურადღებოა, რომ წარწერაში აღმოჩნდა საერთო ქართული მასალისათვის (წერილობითი, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და სხვ.) დამახასიათებელი ტრიადა — დედამიწა, მზე, მთვარე. წარწერის ამომკითხველი იმოწმებს ლეონტი მროველს: „და უბრძანა ალექსანდრე აზონს, რათა პატივსცემდენ მზესა და მთოვარესა და ვარსკულავთა ხუთთა და ჰმსახურებდენ ღმერთსა უხილავს, დამბადებელსა ყოვლისასა“ (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 18).

ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილია საზოგადოებრივი, სატაძრო-საკულტო და ძლიერი საფორტიფიკაციო ნაგებობების ნაშთები. ქალაქს ჰქონდა მძლავრი სამშენებლო პოტენციალი: კრამიტის, ალიზის ავეურის დამამზადებელი და რუსტირებული ქვის სათლელები; სამშენებლო-საინჟინრო ცოდნა; მშენებლობის ადგილას მასალის მიმტანი საშუალებები და ა. შ. რაც მთავარია, ყველაფერი ამის ამოქმედება მოითხოვდა გარკვეულ ორგანიზაციულ გამოცდილებას. ვანის ნაქალაქარის კულტურულ ფენებში დიდძალი ადგილობრივი წარმოების (ქვევრები, ამფორები, ქოთნები, დოქები, ჯამები და სხვ.) და შემოტანილი უცხოური (სინოპეს, როდოსის, ქიოსის, კნიდის, კოსის კერამიკული ტარა; მცირეაზიური, შავი და წითელლაკიანი კერამიკა და სხვ.) კერამიკაა ნანახი, რაც კარგად დაყენებულ სავაჭრო საქმიანობაზე მიუთითებს. ნაპოვნია, აგრეთვე, ტერაკოტების გასაკეთებელი ყალიბები. გვხვდება დიდი რაოდენობის ვერტიკალური საქსოვი დაზგების საწაფები; ადგილობრივად დამზადებული და უცხოეთიდან შემოტანილი ოქრომჭედლობის ნიმუშები (არქეოლოგიური ცასალა იხ. კრებ. „ვანი“, 1972, 1976, 1977, 1979, 1981, 1983).

ქალაქი „ვანი“ ეკონომიკურად ძლიერი იყო; ხელოსნობა და ვაჭრობა კარგად იყო განვითარებული. მას, „საყანჩიასთან“ ერთად, ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო მიწები — დაბლაგომი, მთისძირი, შუამთა, გაილოური, კეჭინარა, გორა, ბაგინეთი, ინაშაური, სულორი „საკაკილე“, ძულუხი, ბულნარი, ბზვანი და მათ ურბანისტულ ცენტრს წარმოადგენდა (იხ. გამყრელიძე, 1982, გვ. 36, 55). ქალაქს მძლავრი თავ-

დაცვითი სისტემა ჰქონდა და, ბუნებრივია, დამცველი რაზმებიც ეყოლებოდა. ეს რაზმებივე ახორციელებდნენ ალბათ სასოფლო-სამეურნეო მიწების ზედამხედველობას (გამყრელიძე, 1982, გვ. 36, 55—60).

„ვანის ქვეყანა — სკეპტუხია", საფიქრებელია, რომ გეოგრაფიულ საფუძველზე განვითარებული თეოკრატიული უბრანისტული ერთეული იყო, რომელიც გარკვეული თვითმმართველობით სარგებლობდა. დაახლოებით ძვ. წ. III ს. დასაწყისიდან იგი ალბათ, იბერიის სამეფოს გავლენის ქვეშ მოექცა. ამდაგვარი მსხვილი ე. წ. პოლისური საკულტო კერები იყო მცირე აზიაში — პონტოს კომანა, ანისა, ტიანა, ოლბა, ზელა (იხ. Периханян, 1959, გვ. 156, 170—175; ინაძე, 1976, გვ. 136—144). სამწუხაროდ, ეს ქალაქები არქეოლოგიურად თითქმის არ არის შესწავლილი. თეოკრატიული პოლისები გარკვეულწილად ექვემდებარებოდნენ მსხვილ „ელინისტურ" სახელმწიფოებს (იხ. Периханян, 1959, გვ. 154).

გადალახა რა მთები („მეფისწყაროს" ან „ზეკარის" გადასასვლელი) სამი ათას ერთგულ მეომართან ერთად, მითრიდატემ (აპიანე, „მითრიდატ.", 101; სტრაბონი, XII წ., III თ., 28) დაარბია და გაძარცვა „ვანის" მდიდარი ქალაქი. არქეოლოგიური მონაცემები ადასტურებს, რომ ქალაქი ძვ. წ. I ს. შუა ხანებში (60-იანი წლები) ხანმოკლე დროის განმავლობაში დანგრეულია ორჯერ. საფიქრებელია, რომ პირველად ის დაანგრია და გაძარცვა მითრიდატემ, ხოლო მეორედ პომპეუსმა, რომელმაც დაამარცხა იბერიის მეფე არტოკი და შეიჭრა კოლხეთში. პომპეუსმა „ვანის" მიმართ „იმოქმედა დაშინებით" (დიონ კასიოსი, „რომის ისტ.", XXXVII, 3) და ბრძოლით. ის „კოლხეთში შეიჭრა" (პლუტარქე, „პომპეუსი", 34). პომპეუსმა „კოლხებთან, ალბანელებთან, იბერებთან, არმენიელებთან... და სხვა აღმოსავლელ ხალხებთან წარმატებული ბ რ ძ ო ლ ე ბ ი თ განავრცო რომაელთა ძალაუფლება..." (აპიანე, „მითრიდატეს ომები", 114).

მეორე ნგრევის კვალი ყველაზე კარგად ჩანს ვანის ნაქალაქარის შუა ტერასის აღმოსავლეთ ფერდობზე, სადაც თავდაცვითი კედლები სასწრაფოდ, სახელდახელოდ, საძირკვლის ყოველგვარი მომზადების გარეშეა აგებული თიხნარ ფენაზე. ეს ფენა კი პირველი ნგრევისაგან არის წარმოშობილი (ლორთქიფანიძე, 1968, გვ. 141). პირველი ნგრევის ფენაში ძირითადად გვხვდება არქიტექტურული დეტალების ნატეხები, კერამიკული მასალა, მონეტები. პონტოს მონეტები, ეტყობა, მითრიდატეს მეომრებისაა, ანდა აქ შავიზღვისპირა ურბანისტული ცენტრებიდანაა მოხვედრილი. საყურადღებოა, რომ ზუსტად ასეთი მონეტაა აღმოჩენილი ეშერის ნაქალაქარზე (იხ. Шамба, 1980, გვ. 142—143). ნაქალაქარზე, სხვა მონეტებთან ერთად, აღმოჩნდა პართული

ფულიც, რომელიც აქ იბერიის გზით შემოდიოდა (დუნდუა, ლორთქიფანიძე, გ., 1977, გვ. 119).

ქალაქის გაძარცვის შემდეგ მითრიდატე თავისი მეომრებით გადავიდა მდ. ფასისზე (რიონი) და გაემართა ქალაქ დიოსკურიისაკენ (იხ. Лордкипанидзе Г., 1970, გვ. 19). მან აქ რომის წინააღმდეგ ახალი გეგმების შემუშავებაში გაატარა ზამთარი (აპიანე, „მითრიდატ." 101), ხოლო შემდეგ „ხმელეთის გზით" წავიდა ბოსფორში (დიონ კასიოსი, „რომის ისტ." XXXVI, 50), რადგან საზღვაო გზა რომაელებს ჰქონდათ ბლოკირებული. „დაამარცხა თუ არა იბერები, პომპეუსი კოლხეთში შეიჭრა. მდინარე ფასისის სანაპიროზე მას შეეგება სერვილიუსი თავისი ფლოტით, რომლითაც იგი პონტოს იცავდა" (პლუტარქე, 1957, გვ. 117). პომპეუსმა კოლხეთში დაამარცხა და ტყვედ იგდო სკეპტუხი ოლთაკე — βλθάχης (აპიანე, „მითრიდატ." 117). საინტერესოა, რომ ამდაგვარივე სახელის (Otaces) იბერთა რაზმის წინამძღოლს იხსენიებს რომაელი ავტორი ვალერიუს ფლაკუსიც (იხ. Латышев, 1904, გვ. 210). შესაძლოა აქ ერთი და იმავე პიროვნებაზე იყოს საუბარი.

მითრიდატეს მიერ ქალაქის გაძარცვის და დიოსკურიისაკენ წასვლის შემდეგ, ქალაქის მესვეურებმა ალბათ დაიწყეს მისი თავდაცვითი სისტემის სახელდახელო აღდგენა-გამაგრება. ისინი ჩქარობდნენ, რადგან იცოდნენ, რომ როცა პომპეუსი იბერებს და ალბანებს დაამარცხებდა, კოლხეთში გადმოვიდოდა საომრად.

პომპეუსს, ეტყობა, არ გასჭირვებია მითრიდატეს მიერ გაძარცული ქალაქის ხელმეორედ აღება. მეორე ნგრევის ფენა არცთუ დიდია და მხოლოდ ზოგიერთ უბანზე დასტურდება (იხ. ლორთქიფანიძე, 1968, გვ. 141). ნაქალაქარზე ნაპოვნია ბრინჯაოსგან ჩამოსხმული არწივის 8 სმ-იანი გამოსახულება, რომელსაც ქვემო ნაწილში ჯოხზე დასამაგრებელი ღრუ აქვს. სრულიად შესაძლებელია, რომ ეს იყო რომაული რაზმის signum-ი, რომლითაც შემკული იყო vexillum-ის შტანდარტის თავი (იხ. Museum Caucasicum, 1902, გვ. 108; Лордкипанидзе Г., 1970, გვ. 33; 1970, გვ. 33; Bandinelli, 1961, ტაბ. 18). ნაქალაქარზე ნაპოვნია რომაული მონეტები (იხ. დუნდუა, ლორთქიფანიძე გ., 1977, გვ. 124) და რომაული საბრძოლო Pilum-ი.

„ვანის" ქალაქი არსებობას პომპეუსის დალაშქვრის შემდეგაც აგრძელებს, მაგრამ მისი ეკონომიკური საყრდენი უკვე საფუძვლიანადაა მოშლილი. შესაძლოა, რომ ის ამის შემდეგ გარკვეულ ხანს არსებობს მხოლოდ, როგორც ტაძარი (სატაძრო მეურნეობით) და სამონო. ამას ადასტურებს ქვედა ტერასაზე აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის ე. წ. იტალიკური ამფორების ფრაგმენტები (იხ. Лордкипанидзе..., 1984, გვ. 50).

ძვ. წ. 65 წელს კავკასიაში პირველად გამოჩნდნენ რომის რესპუბლიკის ლეგიონერები გნეუს პომპეუს მაგნუსის ხელმძღვანელობით. რომს კავკასიაში ძირითადად იზიდავდა ეკონომიკურ-სტრატეგიული გაპორჩენა; ახალი ქვეყნების თავისი გავლენის სფეროში მოქცევა; ახალი სავაჭრო გზების და საქონლის გასასაღებელი ბაზრების ხელში ჩაგდება. ფრიად საყურადღებო იყო ინდოეთიდან და შუა აზიიდან შოშავალი გზა, კასპიის ზღვიდან მდ. მტკვარზე ლიხის ქედის გადასავლით, მდ. ფასისზე გავლით შავ ზღვამდე (პლინიუსი, VI, 50). ეს გზა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმის შემდეგ, რაც გაძლიერებულმა პართიის სახელმწიფომ თავის კონტროლს დაუქვემდებარა ჩინეთიდან და ინდოეთიდან მომავალი სამხრეთის სატრანზიტო მაგისტრალები (იხ. Саннкидзе, 1953, გვ. 5).

კავკასიონის ქედი კარგი წინააღმდეგობა იყო ჩრდილოკავკასიური მომთაბარე-მეომარი ტომების ამიერკავკასიასა და მიერე აზიაში შემოჭრის რეგულირებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა შამისონის, დარიალისა და დერბენტის გადასასვლელები. ვის ხელშიაც ეს გზები იყო, მას შეეძლო კონტროლი გაეწია ჩრდილოკავკასიური მეომარი ტომების მოძრაობისათვის (ჯანაშია, 1952, გვ. 181—182).

აშასთანავე, პომპეუსს პირადი პატივმოყვარული ინტერესებიც ამოძრავებდა. გაიუს მანილიუსის კანონის — Lex Manilia (იხ. Ciceronis, 1911, გვ. 1—21; Цицерон, 1962, გვ. 172—175) მიხედვით, პომპეუსმა აღმოსავლეთში შეუზღუდავი, ერთპიროვნული ძალაუფლება მიიღო. მას აღმოსავლეთის პროვინციებში მყოფი ყველა ლეგიონი და სამხედრო-საზღვაო ფლოტი ექვემდებარებოდა. პომპეუსს თავისი შეხედულების მიხედვით შეეძლო დაენიშნა ან გადაეყენებინა მმართველები, ეწარმოებინა ომები, დაედო ზავი. აქამდე რომის რესპუბლიკაში ასეთი დიდი ძალაუფლება არავის მიუღია (აპიანე, 97).

აღმოსავლეთის ქვეყნებში პომპეუსის ჩასვლის დროს ლუკულუსს მითრიდატე ევპატორთან ომი თითქმის ბოლომდე ჰქონდა მიყვანილი. პომპეუსს კი დიდება-სახელისათვის და მომავალი ტრიუმფებისათვის ახალ-ახალი ომები სჭირდებოდა. პომპეუსის კავკასიაში ლაშქრობა, რასაკვირველია, მხოლოდ მითრიდატე ევპატორის დევნითა და მასზე საბოლოო გამარჯვების მოპოვების წყურვილით არ აიხსნება, თუმცა ერთ-ერთი მიზეზი ესეც უნდა ყოფილიყო.

პომპეუსი შეიჭრა მეფე არტოკეს სამფლობელოში. იგი მალევე მიადგა სატახტო ქალაქ მცხეთას. არტოკემ, ეტყობა, ვერ მოახერხა თავისი ძალების სწრაფად მობილიზება მტრის წინააღმდეგ და გაცლა არჩია. მცხეთის აკროპოლისი მიატოვა, გადავიდა მტკვარზე და ხიდი დაწვა (დიონ კასიოსი, XXXVII, 1, 2). არტოკე, რომელმაც ადრე პომ-

პეუსს „მეგობრობა“ შესთავაზა და თვითონ კი პირველმა დაიწყო საომარი მზადება, ალბათ, საქმის კურსში იყო რომაელების საომარი გადაადგილებების თაობაზე. მიუხედავად ამისა, არტოკემ, ბუნებრივია, იმდროინდელი უძლიერესი სახელმწიფოს კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილი, ბრძოლებში გამობრძმედილი ჯარისთვის ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევა ვერ მოახერხა. ამიტომ იგი ამ შემთხვევაში ერთადერთ სწორ გზას — დროის გაყვანის ტაქტიკას დაადგა, რადგან მიხვდა, რომაელებთან პირდაპირ შეჯახებაში მათი გამკლავება გაუჭირდებოდა. ბრძოლებში ცხრა ათასი იბერიელი დაიღუპა, ხოლო ათი ათასი ტყვედ ჩავარდა (პლუტარქე, პომპეუსი, 34). ბოლოს არტოკემ პომპეუსს ზავი შესთავაზა. პომპეუსმა შეატყო, რომ იბერიებთან პარტიზანული ხასიათის გაუთავებელი ბრძოლები მოელოდა, რაც საომარ კამპანიას გააჭიანურებდა და უარყოფითად იმოქმედებდა ლეგიონერების საბრძოლო განწყობაზე და ამიტომ ზავზე დათანხმდა. იბერია „რომის მეგობრად და მოკავშირედ“ გამოცხადდა. ამგვარად, იბერია რომის მიმართ ნახევრად ვასალურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. სამაგიეროდ, ქვეყანა გადარჩა სრულ დარბევას და არტოკემ სამეფო ტახტი შეინარჩუნა.

მოაგვარა თუ არა იბერიის საკითხი, პომპეუსი გადავიდა ლიხის ქედზე და „კოლხეთში შეიჭრა“ (პლუტარქე, პომპეუსი, 34). როგორც ჩანს, ძლიერ ციხესიმაგრე შორაპანს (არქეოლოგიური მასალა იხ. ჯაფარიძე, 1990, გვ. 6—8) არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია პომპეუსისთვის, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ დროისათვის შორაპანი, ეტყობა, არტოკეს ექვემდებარებოდა, მას კი რომთან სამოკავშირეო ხელშეკრულება ჰქონდა დადებული. სტრაბონი სარაპანისის (შორაპანის) შესახებ გადმოგვცემს: „სიმაგრეს შეუძლია დაიტიოს მთელი ქალაქის მოსახლეობა“ (XI წ., II თ., 17); „კოლხიდიდან იბერიაში შეშესავალი დახშულია კლდეებით, სიმაგრეებითა და ხეობებიანი მდინარეებით“-ო (XI წ., III თ., 4).

რომაელების გამოჩენის დროს შიდა კოლხეთი დანაწილებული იყო სკეპტუხიებად. საფიქრებელია, რომ მათი ნაწილი იბერიის პოლიტიკურ გავლენას ემორჩილებოდა (მაგ., შორაპანი, რომელიც უბრძოლველად ეაიარა პომპეუსმა), ხოლო ნაწილი კი, ეტყობა, სეპარატისტულ, შედარებით დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდა (მაგ., „ვანის“ სკეპტუხია, რომელსაც თეოკრატია მართავდა და რომელიც, ალბათ, ერთერთ ძლიერ „ქვეყანას“ წარმოადგენდა). სტრაბონის დედის ბიძას მამის მხრიდან, მითრიდატე ევპატორის მოხელეს — მოაფერნეს კი დასავლეთი კოლხეთი (resp. პონტოს კოლხეთი) ექვემდებარებოდა (სტრაბონი, XI წ., II თ., 18). ამ დროისათვის კოლხეთში სახლობდნენ მთის მეომარი ტომებიც, რომლებიც არავის არ ექვემდებარებოდნენ.

პომპეუსი რომ მარტო მშვიდობიანი გზით არ მოქმედებდა კოლხეთში, ამაზე მიუთითებს აპიანეს ცნობა, რომ პომპეუსმა „კოლხებთან, ალბანელებთან, იბერებთან, არმენიელებთან... და სხვა აღმოსავლელ ხალხებთან წარმატებული ბრძოლებით განავრცო რომაელთა ძალაუფლება...“-ო (აპიანე, „მითრიდატეს ომები“, 114). ამასვე აღნიშნავს ფლორუსი („მითრიდატეს ომები“, 40) პომპეუსმა „დაამარცხა კოლხები“-ო (Латышев, 1904, გვ. 258). რომაელთა აგრესიულობის დასტურია ისიც, რომ რომში პომპეუსის ტრიუმფის დროს ტყვეთა შორის წარმოდგენილია „კოლხების სკეპტუხი ოლთაკე“ (აპიანე, 117). შესაძლებელია, რომ ოლთაკე „ვანის ქვეყნის“ სკეპტუხთა გვარიდან იყო, რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია პომპეუსს (იხ. ინაძე, 1987, გვ. 59) (გავიხსენოთ ვანის მეორე ნგრევის კვალი). აპიანე (მითრიდატეს ომები, 117) ტრიუმფის მონაწილეებს იერარქიული თანამიმდევრობით ჩამოთვლის; აქ აშკარად ჩანს, რომ ოლთაკე ჩვეულებრივი სარდალი კი არ არის, არამედ ძველი კოლხეთის ხელისუფალთა გვარისაა. იგი სიაში მეფეებსა და მათ შვილთა შორის არის დასახელებული (ყაუხჩიშვილი, 1959, გვ. 36). ასეთი წარმომავლობა, საფიქრებელია, მას აძლევდა უფლებას, რომ ცალკე, არტოკეს პომპეუსთან დაზავების შემდეგ, კიდევ გაეგრძელებინა საკუთარი სამფლობელოების დაცვა. რომაელებს არ დაემორჩილა და კავკასიონის მთებს შეაფარა თავი კოლხთა მმართველმა ოროზმა, როგორც ამას გადმოგვცემს რომაელი ავტორი ფლორუსი („მითრიდატეს ომები“, X, 28) (იხ. Латышев, 1904, გვ. 258; The loeb classical library, 1957, გვ. 186—188). ოროზი, ჩანს, კოლხეთის რომელიღაც მხარის წინამძღოლ-მმართველი იყო (დაახლოებით ოლთაკესნაირი), რომელიც არ დაემორჩილა რომაელებს. ზოგი მკვლევარი მას მთელი კოლხეთის მეფედ (regem Colchorum — Florvs, XL, 28) მიიჩნევს (ბერძნიშვილი, 1969, გვ. 131), მაგრამ ცნობილია, აგრეთვე, რომ ამ დროისათვის კოლხეთი არ იყო ერთიანი სამეფო. გავიხსენოთ სტრაბონის ცნობები (XI, 2, 18) სკეპტუხიებად დაყოფისა და ქვეყნის დასუსტების შესახებ (XI, 2, 17). საყურადღებოა, აგრეთვე, დიონ კასიოსის ცნობა პომპეუსის ლაშქრობის აღწერისას რომ ახსენებს კოლხეთში მრავალ მეომარ ტომს (XXXVII, 3).

მოაფერნეს, რომელიც მითრიდატე ევპატორს დასავლეთ კოლხეთში ჰყავდა მმართველად დაყენებული, წინააღმდეგობა არ გაუწევია პომპეუსისთვის. ყოველ შემთხვევაში, მოაფერნეს საბრძოლო მოქმედება წერილობითი წყაროებიდან არ ჩანს. საყურადღებოა, რომ იგი არ არის პომპეუსის ტრიუმფის სიაში. შესაძლებელია, მოაფერნემ ჯერ მითრიდატესთან ერთად დაიზამთრა დიოსკურიაში, ხოლო შემდეგ მასთან ერთად ბოსფორისაკენ გაიქცა.

პომპეუსი მდ. ფასისის გაყოლებით ჩადის ზღვამდე (ეტყობა ქ. ფასისში), სადაც მას სერვილიუსი ფლოტით შეეგება (პლუტარქე, პომპეუსი, 34). რომაელები დიოსკურიის, მითრიდატე ევპატორის კოლხური რეზიდენციის მიმართულებით აღარ წავიდნენ, რადგან შეესაძლებელია, რომ მითრიდატეს გაქცევის შემდეგ ქალაქი თავისი ნებით გადავიდა პომპეუსის მხარეზე და წარმომადგენლები აახლა. სოხუმის (დიოსკურიის) არქეოლოგიურ ძეგლზე ძვ. წ. I საუკუნის კულტურული ფენები სუსტად არის წარმოდგენილი. აქ რაიმე ნგრევის კვალი ჯერჯერობით არ ჩანს.

ზღვამდე მისულმა პომპეუსმა მითრიდატეს დევნა მიზანშეწონილად აღარ ჩათვალა. პლუტარქეს თქმით, „ბოსფორისა და მეოტიდის ბახლობლად მცხოვრებ ტომებში თავშეფარებული მითრიდატეს დევნა ფრიად დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ამავე დროს, პომპეუსს აუწყეს: ალბანელები ხელახლა აჯანყდნენო. რისხვითა და შურისძიების სურვილით ანთებული პომპეუსი ალბანთა წინააღმდეგ დაიძრა“ (პლუტარქე, პომპეუსი, 34). პომპეუსს „სრულებითაც არ უნდოდა მტრის დევნა ამაოდ. იგი სხვა საქმეებს აკეთებდა, რომლებიც, ასე თუ ისე, მითრიდატეს ომთან იყვნენ დაკავშირებულნი და დროს აჭიანურებდა“ (პლუტარქე, პომპეუსი, 41).

კლდე-ღრეებში მითრიდატეს დევნას პომპეუსმა მოქნილი პოლიტიკა ამჯობინა. როგორც ჩანს, მან მითრიდატეს შვილთან ფარნაკესთან კავშირი გაიბა და მისი ხელით მოუსწრაფა მას სიცოცხლე. პლუტარქე აღნიშნავს, რომ მითრიდატეს სიკვდილის შემდეგ ყველაფერი ფარნაკემ მიისაკუთრა და პომპეუსს შეატყობინა — „ყველაფერი ეს ჩემთვისა და რომაელებისათვის მივიღეო“ (პლუტარქე, პომპეუსი, 41). მამის „მკვლელი“ ფარნაკე პომპეუსმა „რომაელთა მეგობრად და მოკავშირედ გახადა და უბოძა ბოსფორის მეფობა...“ (აპიანე, მითრიდატეს ომები, 113).

წავიდა რა პომპეუსი აფსაროსის გასასვლელის და სომხეთის გავლით გაურჩებული ალბანელების დასაშოშმინებლად (დიონ კასიოსი, XXXVII, 3; პლუტარქე, პომპეუსი, 35), კოლხეთის გამგებლად, დინასტად არისტარქე დატოვა (აპიანე, 114). ორი რომაული საისტორიო წყარო არისტარქეს მეფედ მოიხსენიებს (ევტროპიუსი, VI, 14; ფესტუსი, VI). მაგრამ არისტარქეს სახელით ძვ. წ. 52 წელს მოჭრილ მონეტებზე ის თვითონ თავის თავს მეფეს არ უწოდებს. მონეტაზე წერია — „Ἀριστάρχου τοῦ ἐπὶ Κολχιδος, ΒΙ“ — „არისტარქესია, რომელიც კოლხიდას განაგებს, XII წელი“. არისტარქე რომ მეფე არ არის, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ამავე დროის ბოსფორის მეფის ფარნაკეს მონეტას აწერია „დიდი მეფის ფარნაკესია“. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ რომთან დაკავშირებული ორი პიროვნებიდან

ერთი — ფარნაკე მეფედ, ხოლო მეორე არისტარქე — მხოლოდ მმართველად, დინასტად იხსენიება — „καὶ Κολχων Ἀρίστωρχον δυνάστην“ (აპიანე, 114) (ყაუხჩიშვილი, 1959, გვ. 27—31). ფრიად საყურადღებოა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც არისტარქეს მონეტაზე მარჯვენა პროფილში გამოხატული, თავზე გვირგვინიანი უწვერულვაში მამაკაცი ჩამოჰგავს პომპეუსის სხვა პორტრეტებს (Jenkins, 1959, გვ. 32). ასე რომ, ამაშიც კარგად აისახა არისტარქეს დაქვემდებარებული მდგომარეობა რომისადმი. არისტარქე ხომ პომპეუსის დასმული იყო კოლხეთში.

ერთი მხრივ, არისტარქეს უფლება რომ ჰქონოდა თავის მოჭრილ მონეტაზე მეფედ მოეხსენიებინა თავი, ამას უსათუოდ გააკეთებდა. მეორე მხრივ, პომპეუსის მიერ აღზევებული არისტარქე შესაძლოა არ იყო ისეთი მაღალი (მეფური გვარის) წარმომავლობის, რომ კოლხ სკეპტუხებს ეღიარებინათ მისი სუზერენობა და ამიტომ ამჯობინა არ გაეღიზიანებინა ისინი.

საფიქრებელია, არისტარქე შიდა კოლხეთში კი არ ჯდება, არამედ დიოსკურიას ირჩევს მთავარ რეზიდენციად, რომელიც ადრე მითრიდატეს კოლხური რეზიდენცია იყო. ამას თითქოს მხარს უჭერს ისიც, რომ სოხუმთან (დიოსკურიასთან) არის აღმოჩენილი ერთადერთი პასპორტიანი არისტარქესეული მონეტა. მონეტის რევერსზე გამოსახულია ქალღმერთი ტიქე სასმისით, საჭით, რომელიც ანტიკური სიმბოლიკით ქალაქის მართვის ბედნიერ ბედზე მიუთითებს. ასეთი სიმბოლიკიანი მონეტები დამახასიათებელია მცირე აზიის ქალაქებისათვის რომაულ ხანაში (იხ. Голенко, 1964, გვ. 108; Дундуа, 1987, გვ. 132). ქალაქი სანაპიროზე კომუნიკაციური თვალსაზრისით არისტარქესთვის რეზიდენციად უფრო მოსახერხებელი უნდა ყოფილიყო. აქედან უფრო კარგად შეიძლებოდა, ერთი მხრივ, კოლხეთის გარკვეული კონტროლის ქვეშ ყოლა, ხოლო მეორე მხრივ, რომაელებთან კავშირი.

სანაპიროზე რომ უნდა ყოფილიყო არისტარქეს რეზიდენცია (დიოსკურია?), ამის სასარგებლოდ თითქოს ისიც მეტყველებს, რომ თვითონ სახელი არისტარქე წმინდა ბერძნულია. ბერძნული ეთნიკური ელემენტის სიჭარბე კი ძირითადად ზღვის სანაპიროსთვის იყო დამახასიათებელი. შესაძლებელია, რომ არისტარქე წარმოშობით რომელიმე სანაპირო ქალაქის (გამყრელიძე, 1985, გვ. 95) არისტოკრატიული გვარიდან იყო და ამიტომ, ბუნებრივია, აქ უფრო მყარი პოლიტიკური დასაყრდენი ექნებოდა. საინტერესოა, რომ ამავე ეპოქის კოლხი სკეპტუხი ოლთაკეს სახელი ბერძნული არაა.

სამწუხაროდ ის, თუ როგორი იყო არისტარქეს რეალური ძალაუფლება, ან კონკრეტულად კოლხეთის რა ნაწილი ექვემდებარებოდა მას, საისტორიო წერილობითი წყაროებიდან არ ჩანს. ჩვენთვის აგრე-

თვე, უცნობია, რამდენი ხანი გრძელდებოდა ზუსტად არისტარქეს მმართველობა. არისტარქეს ცნობილი მონეტები გამოშვებულია მისი მმართველობის XII წელს, რაც იმის დასტურია (პომპეუსი კი კოლხეთიდან წავიდა ძვ. წ. 65 წ.), რომ ძვ. წ. 53 წელს ის ისევ მმართველია. საგულვებელია, რომ იგი მმართველობს ძვ. წ. 48 წლამდე, ბოსფორის მეფის ფარნაკეს კოლხეთში შემოჭრამდე. ფარნაკეს და შემდეგ მითრიდატე პერგამონელის შემოჭრით ქვეყანა კიდევ უფრო დასუსტდა და დაეუცმაცდა. სტრაბონი ევრიპიდეს სიტყვებით მხატვრულად გადმოგვცემს — „როდესაც ქვეყანა დაუძლურდება, „ღმერთთა კუთვნილიც სუსტდება და აღარ უნდათ (მისი) პატივისცემა“ — ამბობს ევრიპიდე“ („ტროელი ქალები“, 26) (XI წ., II, 17).

ცნობილია, რომ რომაელები ესპანეთის დასაწყისში მათდამი დაქვემდებარებულ ქვეყნებში კი არ ცვლიდნენ არსებულ სამმართველო-კანონმდებლური აპარატის სტრუქტურას, არამედ მას თავიანთ სამსახურში აყენებდნენ (Ранович, 1949, გვ. 70—71). ისინი, ალბათ, ასევე მოიქცნენ კოლხეთში (Ломоури, 1981, გვ. 116). მათ მმართველად დანიშნეს არისტარქე და მას საგამგებლო აპარატის სტრუქტურა ძველი დაუტოვეს, მითრიდატესნაირი. ალბათ კოლხეთის მმართველის რეზიდენციად იგივე დარჩა (მითრიდატესეული) — დიოსკურია.

საფიქრებელია, რომ შიდა კოლხეთის „სკეპტუხიებზე“ (მაგ., ოლთაკეს სკეპტუხიაზე) არისტარქეს ძალაუფლება ეფემერული იყო. ჯერ კიდევ ლუკულუსი მითრიდატესთან ომის დროს აღნიშნავდა ამ მხარის სრულად დამორჩილების სიძნელეებს. ივი ამბობდა — „...კავკასიონი მრავალი მაღალი მთით, რომელთაც სულ ადვილად შეუძლიათ შეიფარონ და დაიცვან ბრძოლის ამრიდებელი ათი ათასობით მეფე“ (პლუტარქე, ლუკულუსი, 14).

ძვ. წ. I საუკუნის ბოლოსათვის რომის რესპუბლიკაში შიდაპოლიტიკურმა ბრძოლამ განსაკუთრებულ სიმწვავეს მიაღწია (იხ. Утченко, 1965, გვ. 51). პომპეუსის დამარცხების შემდეგ ძალაუფლება გაიუს იულიუს კეისარმა იგდო ხელთ. ძვ. წ. 44 წელს იულიუს კეისარი მოკლეს. ამის შემდეგ შეიქმნა ტრიუმვირატი — ოქტავიანე, ანტონიუსი, ლეპიდუსი. მალე ტრიუმვირებიც ერთიმეორეს დაერივნენ და ძვ. წ. 30 წელს ოქტავიანემ სძლია დანარჩენებს. ძვ. წ. 27 წელს ოქტავიანემ მიიღო ავგუსტუსის ტიტული. იგი ახ. წ. 14 წლამდე მართავდა რომს.

გახანგრძლივებულმა შიდაპოლიტიკურმა ბრძოლებმა, ბუნებრივია, დაასუსტა რომის ძალაუფლება პერიფერიაში. თავი წამოყვეს სეპარატისტულად განწყობილმა ხელისუფლებმა. შექმნილი მდგომარეობის გამოყენება სცადა მითრიდატე ევპატორის შვილმა, ბოსფორის მეფემ ფარნაკემაც. მან გადაწყვიტა პონტოს სამეფოს მამისეულ ფარგლებში აღდგენა. დიონ კასიოსი გადმოგვცემს: „როგორც ნათქვამი იყო, მან

(ფარნაკემ) მოინდომა მთელი მამისეული სამეფოს დაბრუნება და აჯანყდა სწორედ კეისრისა და პომპეუსის ურთიერთშორის ბრძოლის დროს, რადგან რომაელები მაშინ საკუთარი საქმეებით იყვნენ გართული“ (XLII, 45).

დაიძრა რა მამამისის ყოფილი აზიური სამფლობელოებისაკენ, ფარნაკეს, ბუნებრივია, (თუ ზღვით არ წავიდოდა) უმოკლესი გზით, კოლხეთზე უნდა გაევლო. ამ დაპყრობებს როცა აღწერს დიონ კასიოსი, ასახელებს კოლხეთს და მცირე სომხეთს. შემდეგ დაპყრობილი სომხეთის შემთხვევაში ასახელებს რომაელების მომხრე მმართველს დეიოტარეს, ხოლო კოლხეთში არისტარქეს დამარცხების შესახებ არაფერს წერს.

უცნობია ფარნაკემ არისტარქე დაამარცხა თუ შეიკავშირა. როგორც პლუტარქე აღნიშნავს, ფარნაკემ „ყველა იქაური მეფე და ტეტრარქოსი საამბოხოდ წააქეზაო“ (კეისარი 50). აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ფარნაკეს მოქმედების შესახებ მხოლოდ ერთადერთი ცნობაა შემონახული, სადაც აღნიშნულია, რომ მან გაძარცვა ლევკოთეას სამლოცველო. სხვა არც ერთი წერილობითი წყარო, რომელიც ფარნაკეს ბრძოლებს ეხება, ლევკოთეას გაძარცვის შესახებ არაფერს ამბობს (დიონ კასიოსი, პლუტარქე, აპიანე). ასახსნელია ისიც, რომ თუ ფარნაკემ ერთხელ საფუძვლიანად გაძარცვა მოკლე დროის მანძილზე ერთხელ დარბეული სამისნო, მეორედ როგორღა ძარცვავს მითრიდატე პერგამონელი? სტრაბონთან აღნიშნულია, რომ სამლოცველო მოსხების ქვეყანაში მდებარეობს — „მოხსენებულ მდინარეებს ზემოთ მოსხების ქვეყანაში მდებარეობს ლევკოთეას სამლოცველო, ფრიქსეს მიერ აგებული, და მისი სამისნო, სადაც ვერძს არ სწირავენ მსხვერპლად. ოდესღაც ის მდიდარი იყო, ხოლო ჩვენს დროს იგი ფარნაკეს მიერ და, ცოტა მოგვიანებით, მითრიდატე პერგამონელის მიერ იქნა გაძარცვული“ (XI წ., II თ., 17).

მოსხების ქვეყნის და მასში ლევკოთეას სამისნოს ადგილმდებარეობის შესახებ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მრავალი მოსაზრება. ლევკოთეას სამლოცველო ივარაუდება: პირველი — იბერიაში (საქართველოს ისტ. ნარკვევები, 1970, გვ. 495), მეორე — აწყურში (ბერძენიშვილი, 1964, გვ. 261), მესამე — ნოქალაქევში (ლომოური, 1981, გვ. 26), მეოთხე — ვანში (ლორთქიფანიძე, 1968, გვ. 133—143), მეხუთე — ხულო-ადიგენის რაიონი (Лордкипанидзе Г., 1978, გვ. 22), მეექვსე — სოფ. ხუცუბანში (იოსელიანი, 1973, გვ. 151), მეშვიდე — საირხეში, მდ. ყვირილას ხეობაში (ნადირაძე, 1975).

სტრაბონის ცნობის მიხედვით, „მოსხების ქვეყანა, რომელშიც არის სამლოცველო, სამ ნაწილს შეიცავს: ერთი მისი ნაწილი აქვთ კოლხებს, მეორე იბერიელებს და მესამე არმენიელებს“ (XI წ., II თ.,

18). რადგან მოსხეთი მოსაზღვრე ქვეყნებს შორის სამად არის განაწილებული, ბუნებრივია, ის უნდა მდებარეობდეს კოლხეთ-იბერია-არმენიის საზღვრების შეხების ადგილას (დაწვრილებით იხ. ხაზარაძე, 1984, გვ. 36—70; მუსხელიშვილი, 1977, გვ. 56—59). ეს ადგილი კი დაახლოებით მცირე კავკასიონიდან დაწყებული მდ. მტკვრის ზემო წელზე და მდ. ჭოროხის სანახებში უნდა იყოს. აკი თვითონ სტრაბონივე წერს: „...კოლხეთის ზემოთ მდებარე ადგილებში, რომლებიც, აპოლოდორეს მტკიცების თანახმად, არმენიას ესაზღვრებიან არაქსით, უფრო კი მტკვრით და მოსხური მთებით“ (I წ., III თ., 21).

სტრაბონის „გეოგრაფიიდან“ ნათლად ჩანს, რომ ლევკოთეას სამისნო მოსხების ქვეყანაში ფარნაკეს და შემდეგ მითრიდატე პერგამონელის საომარი მოქმედებების ასპარეზზეა საძებნელი. ეს ასპარეზი კი ფარნაკესთვის ძირითადად უნდა ყოფილიყო მცირე სომხეთი, ბითვინია, კაპადოკია და ზღვისპირა ქალაქები (პლუტარქე, კეისარი, 50; აპიანე, 120). ამ დაპყრობებს წერილობითი წყაროებიდან მხოლოდ დიონ კასიოსი ამატებს კოლხეთს (XLII, 45). მაგრამ ამავე დიონ კასიოსის თქმით, კოლხეთი სადღაც უფრო მდ. ფასისის ქვემო წელზე, ზღვისკენ მდებარეობს. იხ. — „პომპეუსმა გაიგო, რომ ფაზისი არ არის შორს და გადაწყვიტა მისი გაყოლებით კოლხეთში ჩასულიყო“ (XXXVII, 3).

ზემოთ ნათქვამიდან ისე ჩანს, რომ როცა დიონ კასიოსი კოლხეთის დაპყრობაზე ლაპარაკობს, იგულისხმება უფრო დასავლეთი, ზღვისპირა კოლხეთი. ლოგიკის მიხედვით, სწორედ ეს ნაწილი უნდა დაერბია ფარნაკეს და შემდეგ მცირე არმენიაში შეეჭრილიყო. საფიქრებელია, რომ ამ გზაზე, აჭარა-გურიის მთებთან გაძარცვა მან ლევკოთეას მდიდარი სამისნო და წავიდა მცირე აზიისაკენ თავისი ძირითადი მიზნის განსახორციელებლად — მიმისეული სამფლობელოების დაბრუნებისათვის საბრძოლველად.

ვიდრე ფარნაკე მცირე აზიაში ბრძოლებს აწარმოებდა, ბოსფორში მის მიერვე დანიშნული მმართველი ასანდრი აჯანყდა. მას უნდოდა ფარნაკეს წინააღმდეგ გამოსვლით რომაელების გული მოეგო და მათი ხელშეწყობა-თანხმობით ბოსფორში ხელისუფლება ეგდო ხელთ (დიონ კასიოსი, XLII, 46).

ძვ. წ. 47 წელს ქალაქ ზელასთან იულიუს კეისარმა სასტიკად დაამარცხა ფარნაკე და რომში ლაკონიურად შეატყობინა — „Veni, vidi, vici“ — „მოვედი, ვნახე, ვძლიე“ (პლუტარქე, კეისარი, 50; დიონ კასიოსი, XLII, 47; აპიანე, 120). დამარცხებული ფარნაკე ზღვისკენ გაიქცა ბოსფორში გადასასვლელად. ბოსფორში მას აჯანყებული ასანდრი შეებრძოლა, დაამარცხა და მოკლა (აპიანე, 120; დიონ კასიოსი, XLII, 47) ამის მიუხედავად, ასანდრი რომაელებმა ბოსფორის მმართველად მაინც არ დანიშნეს. ბოსფორის სამეფო იულიუს კეისარმა,

სხვა ტერიტორიებთან ერთად, თავის მოკავშირე პერგამონის მეფე მითრიდატეს უბოძა. მაგრამ ბოსფორი მითრიდატე პერგამონელს ასანდრისაგან ხმლით უნდა მოეპოვებინა (დიონ კასიოსი, XLII, 48). დაიძრა რა მითრიდატე პერგამონელი საბრძოლველად ბოსფორისაკენ, გზად კოლხეთზე გაიარა, სადაც აჭარა-გურიის მთიანეთში ლევკოთეას სამისნო გაძარცვა (სტრაბონი, XI წ., II თ., 17). ასანდრმა მითრიდატე პერგამონელი დაამარცხა ბოსფორში ლაშქრობისას (სტრაბონი, XIII წ., IV თ., 3).

რა ხდებოდა კოლხეთში ზემოხსენებული ომების დროს, წერილობითი წყაროებიდან უცნობია. ერთადერთი ცნობა ამის შესახებ არის ლევკოთეას სამლოცველოს დარბევა (სტრაბონი, XI წ., II თ., 17). ცნობების უქონლობა ამ ბრძოლების შესახებ იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ კოლხეთი, დასავლეთ კოლხეთი, ამ ომებში მხოლოდ სტრატეგიული მხარეა, სადაც უმოკლესი გზა გადიოდა ბოსფორიდან მცირე აზიისაკენ. საყურადღებოა, რომ ბოსფორისა და მცირე აზიის ბრძოლების აღწერას კი საისტორიო წყაროებში უფრო მეტი ადგილი ეთმობა. საფიქრებელია, რომ შიდა კოლხეთში შეჭრა და ადგილობრივი სკეპტუხების ამხედრება ამ შემთხვევაში არ შედიოდა მეომარი მხარეების ინტერესებში. ბუნებრივია, არც ერთ მეომარ მხარეს არ ენდომებოდა ზურგში აჯანყებული „ქვეყნები" დაეტოვებინა, მით უმეტეს, რომ ცნობილია, მარტო ერთმა — ასანდრის აჯანყებამ ბოსფორში როგორი ტრაგიკული შედეგები გამოიწვია ფარნაკესათვის. ამიტომ შესაძლებელია, რომ შიდა კოლხეთის „სამთავროები" — „სკეპტუხიები" მთელი ამ ომების დროს გარკვეულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ.

ოქტავიანე ავგუსტოსის დროს რომის აღმოსავლური პოლიტიკა კიდევ უფრო აქტიური და მოქნილი გახდა. რომაელების მომხრე მეფე პოლემონს მიეცა განკარგულება, რომ ბოსფორში ასანდრის გარდაცვალების შემდეგ რომის ფაქტიური ძალაუფლება აღედგინა (დიონ კასიოსი, IV, 24/4/).

დასავლეთ კოლხეთი ამჯერად უკვე პოლემონის საბრძოლო ოპერაციების არეალში უნდა მოხვედრილიყო, რადგან ბოსფორისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა. პოლემონმა დასავლეთ კოლხეთი ოქტავიანე ავგუსტოსის დასტურით შეუერთა პონტოს. სტრაბონი გადმოგვცემს: „პოლემონს ჰქონდა კოლხეთი, ხოლო როდესაც ის მოკვდა (ძვ. წ. 8 წ.) მისი მეუღლე პითოდორისი ფლობდა, მეფობდა კოლხებზე, ტრაპეზუნტზე, ფარნაკეაზე და ზემოთ მცხოვრებ ბარბაროსებზე" (XI წ., II თ., 18).

სამწუხაროდ, პოლემონის მოქმედების შესახებ კოლხეთში არავითარი წერილობითი ცნობა არ არსებობს. რახან ძვ. წ. 14 წელს პო-

ლემონმა შეიერთა ბოსფორი, აქედან გამომდინარე სავარაუდოა, რომ რამდენიმე წლით უფრო ადრე უნდა შეეერთებინა დასავლეთ კოლხეთი.

შავიზღვისპირეთს რომის აღმოსავლურ პოლიტიკაში, ეკონომიკაში ერთ-ერთი ძირითადი სტრატეგიული ადგილი ეკავა. შავიზღვისპირეთის კომუნიკაციები აუცილებელი იყო პართიის მსგავს ძლიერ სახელმწიფოსთან ქიშპობისას. რომს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან გაჰქონდა ლითონი, ხე-ტყე, მარცვლეული, ტყავეული, სელი, ღვინო და სხვ. (სტრაბონი, XI წ., II თ., 17). I საუკუნის რომაელი ავტორი მარკუს მანილიუსი აღნიშნავს, რომ რომაელებს კვებავს ნუმიდიელთა სანაპირო და ფასისის ჭალები. თან ამ უკანასკნელზე დასძენს, რომ ეს ის ადგილია, საიდანაც ოქროს საწმისი მოიტაცესო (V, 376—377).

დასავლეთ კოლხეთი პოლემონის პონტოს შემადგენლობაში იმპერატორ ავგუსტუსის დროს შედის. ამ დროისათვის დასავლეთ კოლხეთი, მართალია, უშუალოდ არ ექვემდებარებოდა რომს, მაგრამ პონტოს სამეფოს საშუალებით რომის პოლიტიკურ გავლენაში მაინც ექცევა. ამ ხანებში რომის ლეგიონერები კოლხეთის მიწაზე არ იდგნენ.

იმპერატორ ავგუსტუსის აღმოსავლური პოლიტიკის ერთ-ერთი ქვაკუთხედია რომის აღმოსავლეთის საზღვრებთან შეექმნა ფაქტობრივად რომისაგან დამოკიდებული, ხოლო ფორმალურად დამოუკიდებელი ქვეყნები, რომელთა ხელითაც რომი სასაზღვრო რაიონებთან თავისთვის სასურველ პოლიტიკურ ორიენტაციას გაატარებდა (Ломоури, 1980, გვ. 136). ერთ-ერთი ასეთი სამეფო პოლემონის პონტო იყო, რომელშიც კოლხეთი, დასავლეთ კოლხეთი შედიოდა. პოლემონის პონტოს მნიშვნელოვანი ცენტრი — ქალაქი ტრაპეზუნტი ტერიტორიულად ახლო მდებარეობდა კოლხეთთან.

მიუხედავად ძლევამოსილებისა, რომმა მაინც ვერ მოახერხა შიდა კოლხეთის სრული დამორჩილება. ეს ვერ მოხერხდა ვერც არისტარქეს, ვერც მითრიდატე პერგამონელის და ვერც პოლემონის ხელით. რამდენადმე გამართლდა ლუკულუსის წინასწარმეტყველება, რომელიც აღნიშნავდა — ამ მხარის დამორჩილება ძალიან ძნელიაო, რადგან აქ არის მრავალი მაღალი მთა, „რომელთაც სულ ადვილად შეუძლიათ შეიფარონ და დაიცვან ბრძოლის ამრიდებელი ათი ათასობით მეფე" (პლუტარქე, ლუკულუსი, 14). მართლაც, შიდა კოლხეთი თავისი ბიოგეოგრაფიოთი — ხეობებით, მთებით, სწრაფი, ძნელად გადასალახი მდინარეებით, უღრანი ტყეებით — ადვილად დასამორჩილებელი არ უნდა ყოფილიყო. ამას ემატებოდა, აგრეთვე, აგრესიულად განწყობილი, ძლიერი სამთავროები — სკეპტუხიები და მთიელი მეომარი ტომები.

ზღვისპირა კოლხეთისათვის კი რომაელები გარკვეული კონტრო-

ლის გაწევას ახერხებდნენ. ამაში მათი ძირითადი საყრდენი უნდა ყოფილიყო სანაპირო ქალაქები, რომლებშიც, შიდა კოლხეთისაგან განსხვავებით, შედარებით ძლიერი იყო ანტიკური სამეურნეო-კულტურული გავლენა (შეადარე — Ломоури, 1981, გვ. 296). დასავლეთ კოლხეთი ის სტრატეგიულ-კომუნიკაციური მხარე იყო, რომელიც აუცილებლად სჭირდებოდა რომს თავისი გავლენის დასამყარებლად მცირე აზიასა და ბოსფორში.

*

* *

ამრიგად, თვალშისაცემია, რომ საგარეო ფაქტორი მნიშვნელოვან, ზოგჯერ გადამწყვეტ როლს თამაშობდა კოლხეთის ისტორიული განვითარების პროცესში.

ბერძნულ სავაჭრო „კოლონიზაციას“ კოლხეთისათვის ძირითადად კონსტრუქციული ძვრები უნდა მოჰყოლოდა. მაგალითად: სამეურნეო-კულტურული ინოვაციები; საზღვაო ვაჭრობის შედეგად საერთაშორისო ურთიერთობაში ჩაბმა და სხვ.

იბერიის სამეფოსთან კოლხეთის ნაწილის ინკორპორაციამ კოლხეთის სამეფოს საბოლოოდ დაშლა და პოლიტიკური სტატუსის შეცვლა გამოიწვია. კოლხეთისათვის უარყოფითი საგარეო ფაქტორი გამოდგა პონტოს სამეფოს ექსპანსიაც, რომელსაც ზღვისპირეთის ანექსია მოჰყვა. შიდა კოლხეთში დაინგრა და გაიძარცვა „ვანის“ მდიდარი ქალაქი. კოლხეთი გადაიქცა პონტოს სამეფოსა და რომს შორის საომარი მოქმედებების ასპარეზად, რითაც ადგილობრივი მოსახლეობა დიდად უნდა დაზარალებულიყო.

რომმა გარკვეული ზემოქმედება მოახდინა კოლხეთის განვითარების პროცესზე (საგარეო ფაქტორი). ერთი მხრივ, ეს ზემოქმედება უარყოფითი გამოდგა — ქვეყნის დასავლეთი მხარე რომის პოლიტიკურ გავლენაში მოექცა, ხოლო ზოგიერთ რეგიონში კი, რომაელთა მოქნილი პოლიტიკის შედეგად, არასტაბილური მდგომარეობა შეიქმნა, რაც შემდგომში რომისადმი ნახევრად დაქვემდებარებული „სამთავროების“ განვითარებით დასრულდა (მაგ., სანიგები, მაკრონები, ჰენიოხები, ლაზები, აფსილები, აბასკები. — ფლავიუს არიანე, „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“, 11). მეორე მხრივ, რომმა — იმ დროისათვის მაღალგანვითარებულმა მოწინავე სახელმწიფომ, რამდენადმე დადებითი როლი ითამაშა კოლხეთის განვითარებაში; კერძოდ, აღგილობრივი მოსახლეობა უფრო ახლო გაეცნო იმ დროისათვის მოწინავე რომაულ კულტურას; სანაპირო ქალაქებში რომაული სავაჭრო კაპიტალი გამოჩნდა; გაეცნენ ახალ საომარ ტაქტიკას და ტექნიკას.

საყურადღებოა, რომ კოლხეთში ხშირი საბრძოლო მოქმედებები და ოპტიმალური, სტრესული სიტუაციები, რომლის დროსაც საჭირო

იყო ორგანიზაციული საკითხების სწრაფი გადაწყვეტა, ხელს უწყობდა ადგილობრივ მოსახლეობაში საზოგადოებრივ კონსოლიდაციას და სოციალურად კიდევ უფრო მაღალი ფორმების განვითარებას. რაც შემდგომში (II ს.) ლაზიკის სამეფოს წარმოქმნაში აისახა.

## დამოწმებული ლიტერატურა


ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი რ., ითხვისში არქეოლოგიური მუშაობის შედეგები, საველე-არქეოლოგიური კვლევის შედეგების მოკლე ანგარიში, თბ., 1963, გვ. 7—11.

ა ლ ე ქ ს ი ძ ე ზ., ცხოვრება ფარნავაზისი, ჟურნ. „მნათობი", 1984, № 12, გვ. 152—157.

ა რ ი ა ნ ე ფ ლ ა ვ ი უ ს, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო (ბერძნულიდან თარგმნა ნ. კეკელიძემ), თბ., 1961.

ბ ე რ ა ძ ე თ., ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, თბ., 1967, გვ. 135—141.

ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, I ტ., თბ., 1964.

ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი მ., ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის, თბ., 1969.

ბ ო ხ ო ჩ ა ძ ე ა., კოლხეთის სამეფოს დედაქალაქის ადგილმდებარეობისათვის ძვ. წ. IV—III სს., საქ. მეცნ. აკად. „მოამბე", XV, თბ., 1967, № 2, გვ. 547—552.

ბ ო ხ ო ჩ ა ძ ე ა., ადრეანტიკური ხანის სამარხები თეთრიწყაროს მახლობლად, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, III ტ., თბ., 1963, გვ. 27—28.

ბ რ ა გ ვ ა ძ ე ზ., კოლხეთის აღმოსავლეთი რეგიონების (ყვირილის ხეობის) ქართიზაციის საკითხისათვის, საქ. მეცნ. აკად. „მაცნე" (ისტ.... სერია), თბ., 1990, № 4, გვ. 137—150.

გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე გ., ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, თბ., 1982.

გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე გ., აზო-ფარნავაზის დროინდელი კოლხეთის ისტორიისათვის, საქ. მეცნ. აკად. „მაცნე" (ისტ. . . . სერია), თბ., 1985, № 3, გვ. 86—97.

გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე გ., მითრიდატე ევპატორი და კოლხეთ-იბერიის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, საქ. მეცნ. აკად. „მაცნე" (ისტ. . . . სერია), თბ., 1989, № 2, გვ. 59—69.

გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი გ., მითრიდატე პონტოელი, თბ., 1965.

გ რ ი გ ო ლ ი ა გ., ფ ხ ა კ ა ძ ე გ., ბ ა რ ა მ ი ძ ე მ., ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ვ., დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წ. მუშაობის შედეგები, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, V ტ., თბ., 1973, გვ. 17—38.

დ ი ო ნ კ ა ს ი ო ს ი, ცნობები საქართველოს შესახებ (ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა (ნ. ლომოურმა), თბ.. 1966.

დ უ ნ დ უ ა გ., იჭრებოდა თუ არა მონეტა ვანში?, საქ. მეცნ. აკად. „მაცნე" (ისტ. . . . სერია), თბ., 1974, № 2. გვ. 146—159.

დ უ ნ დ უ ა გ., ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე გ., მონეტები ვანიდან, კრებ. ვანი, III ტ., თბ., 1977, გვ. 119—152.

ზ ა ქ ა რ ა ი ა პ., ნოქალაქევში 1973—77 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში, კრებ. ნოქალაქევი-არქეოპოლისი, თბ., 1981, გვ. 77—119.

თ ო ლ ო რ დ ა ვ ა ვ., დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში, თბ., 1980.

ი ნ ა ძ ე მ., მცირე აზიის სატაძრო ქალაქების წარმოქმნა-განვითარების საკითხისათვის სტრაბონის ცნობების მიხედვით, კრებ. ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი, თბ., 1976, გვ. 136—144.
ი ნ ა ძ ე მ., აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია, თბ., 1982.
ი ნ ა ძ ე მ., სატაძრო ცენტრები ძველ კოლხეთში, საქ.მეცნ. აკად. „მაცნე" (ისტ. ... სერია), თბ., 1986, № 4, გვ. 32—53.
ი ნ ა ძ ე მ., ეგრისისა და ქართლის ურთიერთობისათვის, ჟურნ. „მნათობი", თბ., 1989, № 8, გვ. 154—164.
ი ნ ა ძ ე მ., ძველი კოლხეთის საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი, საქ. მეცნ. აკად. „მაცნე" (ისტ. ... სერია), თბ., 1987, № 4, გვ. 46—67.
ი ნ ა ძ ე მ., კოლხეთის სამეფოს სკეპტუხიათა საკითხისათვის, საქ. მეცნ. აკად. „მოამბე", XXVI ტ., თბ., 1961, № 6, გვ. 783—790.
ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ა., ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან, თბ., 1973.
კ ა კ ა ბ ა ძ ე ს., უძველესი ქართული ქალაქი, ჟურნ. „საბჭ. ხელოვნება", თბ., 1959, № 5, გვ. 29—35.
კ ა ხ ი ძ ე ა., საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ქალაქები, თბ., 1971.
კ ა ხ ი ძ ე ა., აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ძეგლები (ფიქვნარის ბერძნული სამაროვანი), ბათუმი, 1975.
ლ ა ნ ჩ ა ვ ა ო., ქუთაისის ძველი ისტორიისათვის, თბ., 1975.
ლ ი ჩ ე ლ ი ვ., ახალაღმოჩენილი ნაქალაქარი საყანჩიას ველზე, კრებ. ვანი, III ტ., თბ., 1977, გვ. 52—57.
ლ ი ჩ ე ლ ი ვ., ძვ. წ. III—I სს. შიდა კოლხეთის მატერიალური კულტურის შესწავლისათვის, საქ. მეცნ. აკად. „მაცნე" (ისტ. ... სერია), თბ., 1981, № 2, გვ. 41—51.
ლ ო მ ო უ რ ი ნ., კლავდიოს პტოლემაიოსის ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, თბ., 1955.
ლ ო მ ო უ რ ი ნ., ნოქალაქევი-ციხეგოჯი, კრებ. ნოქალაქევი-არქეოპოლისი, I ტ., თბ., 1981, გვ. 18—47.
ლ ო მ ო უ რ ი ნ., კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია, თბ., 1962.
ლ ო მ ო უ რ ი ნ., ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968.
ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ოთ., არქეოლოგია და საქართველოს ძველი ისტორიის ზოგიერთი საკითხი, საქ. მეცნ. აკად. „მაცნე" (ისტ. ... სერია), თბ., 1976, № 2, გვ. 110—128.
ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ოთ., ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966.
ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ოთ., ვანის ნაქალაქარი (გათხრები. ისტორია. პრობლემები), კრებ. ვანი, I ტ., თბ., 1972, გვ. 7—42.
ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ოთ., ვანის ნაქალაქარი (გათხრები. ისტორია. პრობლემები), კრებ. ვანი, III ტ., თბ., 1977, გვ. 13—27.
ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ოთ., მასალები ძვ. წ. V ს. კოლხეთის მხატვრული კულტურის ისტორიისათვის, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, თბ., 1971, № 1 (138), გვ. 51—63.
ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ოთ., „ვანის ქალაქი", ჟურნ. „ცისკარი", თბ., 1968, № 7, გვ. 133—143.
მ ა მ უ ლ ი ა გ., კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოების ჩამოყალიბება ძველ ქართულში, თბ., 1979.
მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი გ., საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965.

მიქელაძე თ., არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე, თბ., 1978.
მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977.
ნადირაძე ჯ., ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1975.
ნადირაძე ჯ., საირხე, საქართველოს უძველესი ქალაქი, თბ., 1990.
ნაკაიძე ნ., ძვ. წ. IV—III სს. ქვევრსამარხები დაჭრილების სამაროვნიდან, კრებ. კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1980, გვ. 28—41.
ვლუტარქე (თარგმნა და განმარტებები დაურთო ა. ურუშაძემ). თბ., 1957.
სანიკიძე ლ., პონტოს სამეფო, თბ., 1956.
საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I ტ., თბ., 1970.
ქართლის ცხოვრება (გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა), I ტ., თბ., 1955.
ქორიძე დ., თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, II, თბ., 1958.
ყაუხჩიშვილი თ., ჰერაკლიდე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, კრებ. აღმოსავლური ფილოლოგია, I, თბ., 1969, გვ. 186—190.
ყაუხჩიშვილი თ., ვანის ახლადაღმოჩენილი ბერძნული წარწერა, კრებ. ქართული წყაროთმცოდნეობა, VII, თბ., 1987, გვ. 131—143.
ყაუხჩიშვილი თ., აპიანე, თბ., 1959.
ყაუხჩიშვილი თ., სტრაბონის გეოგრაფია (ცნობები საქართველოს შესახებ), თბ., 1957.
ცქიტიშვილი გ., ანტიკური ხანის შორაპნის საერისთაოს საკითხისათვის, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, თბ., 1964, გვ. 71—106.
ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I წიგნი, თბ., 1963.
წერეთელი გ., არმაზის ბილინგვა, „ენიმკის" მოამბე, თბ., 1943, № 13, გვ. 1—83.
წერეთელი კ., არამეული ენა საქართველოში, ჟურნ. „მნათობი", თბ., 1976, № 6, გვ. 150—157.
წერეთელი კ., არამეული ენა, თბ., 1982.
ჭყონია ა., ვანის ნაქალაქარის ოქროს სამკაულები, კრებ. ვანი VI, თბ., 1931.
ხაზარაძე ნ., საქართველოს ძველი ისტორიის ეთნოპოლიტიკური პრობლემები (მოსხები), თბ., 1984.
ხახუტაიშვილი დ., უფლისციხე, თბ., 1970.
ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, II ტ., თბ., 1948.
ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, I ტ., თბ., 1960.
ჯანაშია ს., შრომები, II ტ., თბ., 1952.
ჯანაშია ს., შრომები, III ტ., თბ., 1959.
ჯაფარიძე ვ., ძველი ვარდციხე „ვარდიგორა", კრებ. ძეგლის მეგობარი, თბ., 1977, № 46, გვ. 43—50.
ჯაფარიძე ვ., ანტიკური ხანის შორაპნის ახალი არქეოლოგიური მონაცემები, (პრეპრინტი), თბ., 1990.

Апакидзе А., Николаишвили В., Гиунашвили Г., Манджгаладзе Г., Дзнеладзе М., Садрадзе В., Давлианидзе Р., Глонти Н. Археологические раскопки в Мцхета и ее округе, ПАИ, в 1982 г., Тб., 1985, с. 44—46.
Армянская география VII в., издал К. Патканов, С.-Петербург, 1877.
Ахвледиани Д., Черепица Грузии эллинистической эпохи по материалам Ванского городища (Автореферат канд. диссертации). Ереван, 1986.

Бузанд Фавстос, История Армении, Ереван, 1953.
Воронов Ю., Диоскуриада-Себастополис-Цхум, М., 1980.
Гагошидзе Ю., Самадло, Тб., 1979.
Гвинчидзе Г., Нововыявленный некрополь древней столицы Западной Грузии Цихе-Годжи-Археополиса, Тб., 1978.
Голенко К., Денежное обращение Колхиды в римское время, Лен., 1964.
Дундуа Г., Нумизматика античной Грузии, Тб., 1987.
Дундуа Г., Лордкипанидзе Г., Грузия и Митридат IV, сб. Причерноморье в эпоху эллинизма, III симпозиум в Цхалтубо, Тб., 1985, с. 601—608.
Инадзе М., Причерноморские города Древней Колхиды, Тб., 1968.
Капанадзе Д., Голенко К., К вопросу о происхождении колхидок, ВДИ, М., 1957, № 4, с. 88—95.
Качарава Д., Квирквелия Г., Города и поселения Причерноморья Античной эпохи. Тб., 1991.
Качарава Д., Город Гиэнос в античную эпоху (Автореферат канд. диссертации), Тб., 1972.
Кигурадзе Н., Даппарский могильник, Тб., 1976.
Куфтин Б., Археологические раскопки в Цалкинском районе, Тб., 1948.
Латышев В., Известия о Скифии и Кавказе, Записки классического отд. имп. археологического общества, С.-Петербург, 1904.
Ломоури Н., Возникновение Древнеберийского государства, сб., Проблемы античной культуры, Тб., 1975, с. 481—494.
Ломоури Н., К истории Понтийского царства, I ч., Тб., 1979.
Ломоури Н., Грузино-римские взаимоотношения, Тб., 1981.
Ломоури Н., Восточное Причерноморье и Рим в I в. н. э., Историко-филологические разыскания, I ч., Тб., 1980, с. 124—149.
Лордкипанидзе Г., О характере колхо-греческих взаимоотношений в VI—IV вв. до н. э., Материалы I симпозиума в Цхалтубо, Тб., 1979, с. 322—326.
Лордкипанидзе Г., К истории Древней Колхиды, Тб., 1970.
Лордкипанидзе Г., Колхида в VI—II вв. до н. э., Тб., 1978.
Лордкипанидзе О., Древняя Колхида (миф и археология), Тб., 1979.
Лордкипанидзе О., К проблеме греческой колонизации Восточного Причерноморья (Колхиды), Материалы I симпозиума в Цхалтубо, Тб., 1977.
Лордкипанидзе О., К локализации τὸ τῆς λευκοθέας ἱερον, ВДИ, М., 1972, № 2, с. 106—125.
Лордкипанидзе О., Наследие Древней Грузии, Тб., 1989.
Максимова М., Античные города юго-восточного Причерноморья, М., 1956.
Манандян Я., Маршруты Понтийского похода Помпея и путь отступления Митридата в Колхиду, ВДИ, М., 1940, № 3—4, с. 89—100.
Меликишвили Г., К истории Древней Грузии, Тб., 1959.
Микеладзе Т., О времени начала и характере колонизации в восточном Причерноморье, Ист.-Филол., разыскания, I, Тб., 1980, с. 164—170.
Молев А., Митридат Евпатор, Саратов, 1976.

Мусхелишвили Д., Некоторые проблемы источниковедческой критики грузинских средневековых источников, «Мацне», Известия АНГ, Тб., 1986, № 3, с. 57—70.
Немировский А., Понтийское царство и Колхида, сб. Кавказ и Средиземноморье, Тб., 1980, с. 154—160.
Придик Е., Новые кавказские клады, Материалы по археологии России, 34, Петроград, 1914.
Периханян А., Храмовые объединения Малой Азии и Армении, М., 1959.
Ранович А., Восточные провинции Римской империи I—III вв., М.—Л., 1949.
Саникидзе Л., Экспансия Рима в Понте и Закавказье (автореферат канд. диссертации), Кутаиси, 1953.
Трапш М., Труды, II т., Сухуми, 1969.
Тодуа Т., Колхида в составе Понтийского царства, Тб., 1990.
Утченко С., Кризис и падение Римской республики, М., 1965.
Хахутайшвили Д., Кахидзе А., Пичвнари в эллинистическую эпоху, сб. Причерноморье в эпоху эллинизма, III симпозиум в Цхалтубо, Тб., 1985, с. 517—519.
Хоштария Н., Археологические раскопки в Вани в 1959 г., сб. Полевые арх. исследования, Тб., 1960, с. 47—50.
Цкитишвили Г., Результаты работ на Цихиа-гора, ПАИ, Тб., 1976, с. 60—61.
Цицерон, Реч за закон Манилия, Хрестоматия по истории Древнего Рима (ред. С. Утченко). М., 1962, с. 172—175.
Шамба Г., Эшерское городище, Тб., 1980.
Шамба С., Монеты Эшерского городища, «Мацне», Сообщение АНГ (серия ист...), Тб., 1980, № 3, с. 142—145.
Шелов Д., Колхида в системе понтийской державы Митридата VI, ВДИ, М., 1980, № 3, с. 28—43.
Шелов Д., Аппиан — историк Митридатовых войн, сб. Проблемы античной культуры, М., 1986, с. 113—117.

Ciceronis M, Tullii, De imperio en Pompei sive pro Lega Manile, oratio ad Quirites (ed. A. Gofman). Part I, S.-Peterburg 1911.
Claessen H., Skalnik P., The Early State, Hague, 1978.
Bandinelli R., Archeologia e culture, Milan, 1961.
Gamkrelidze Gela, Travaux hydroarcheologiques de localisation de l'ancienne Phasis, Le Pont—euxin vu par les Grecs, Annales litteraires de l'Universite de Besancon, Paris, 1990, p. 223—226.
Jenkins A., Recent Acquisitions of Greck Coins by the British Museum, The Numismatic chronicle, London, 1959, p. 32—37.
Museum Caucasicum, V, (Ed. T. Radde), Tiflis, 1902.
The loeb classical library, London, 1957.
Reinach Th., Mitridate Eupator, roi de Pont, Paris, 1890.
Vallet Georges, La Colonisation Grecque en occident, XIII „Mejdunarodnii kongress istoricheskix nauk", I vol, III part, M., 1973. p. 53—72.

## შინაარსი


წინასიტყვაობა . . . . . 3

ბიოგეოგარემო და ისტორიული განვითარების მოდელი (ძველი კოლხეთის მაგალითზე) . . . . 5

საგარეო ფაქტორი კოლხეთის ისტორიული განვითარების პროცესში . . . . . 46

GELA GAMKRELIDZE

# HISTORICAL AND TOPOARCHAEOLOGICAL RESEARCHS

(Georgian lang.)

TBILISI
„METSNIEREBA"
1993

ГЕЛА АЛЕКСАНДРОВИЧ ГАМКРЕЛИДЗЕ

# ИСТОРИКО-ТОПОАРХЕОЛОГИЧЕСКИЕ РАЗЫСКАНИЯ

(на грузинском языке)

ТБИЛИСИ
«МЕЦНИЕРЕБА»
1993


დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

წიგნი გამოდის გამომცემლობა „ისტორიკოსის" და ფირმა „პაკოს"
ფინანსური ხელშეწყობით.

სბ 5072

გამომცემლობის რედაქტორი ს. ხ ა ნ ჯ ა ლ ა ძ ე
მხატვარი გ. ლ ო მ ი ძ ე
მხატვრული რედაქტორი ნ. კ ვ ი ნ ი კ ა ძ ე
ტექრედაქტორი ნ. ბ ო კ ე რ ი ა
კორექტორი გ. გ რ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი
გამომშვები ი. ს ა ხ ვ ა ძ ე

გადაეცა წარმოებას 23.12.92; ხელმოწერილია დასაბეჭდად 9.3.93;
ქაღალდის ზომა 60×84 1/16; ქაღალდი № 2; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 5.5;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.15;

ტირაჟი 200. შეკვეთა № 1510

ფასი სახელშეკრულებო

---

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

---

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19